619
1971



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დილა

№ 12 დეკემბერი 1971







ეროვნული ბიბლიოთეკა



გორი. მქსოველების ახალგაზრდული ბრიგადა. მარჯვნიდან მესამე — ბრიგადირი მერი კიკალიშვილი.

გორი. საქსოვი ფაბრიკის ლაბორანტები ნუნუ მინდიაშვილი და ნუნუ ქარქიშვილი.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 12 (421) დეკემბერი, 1971 წ.

გამოცემის წელი 49-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებმა ძალებისა და ენერგიის ახალი მოზღვავება, მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის მძლავრი აღმავლობა გამოიწვია. უკანასკნელ წლებში მოპოვებული დიდი წარმატებებისა და წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების გამოცდილების საფუძველზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები ჩაებნენ ბრძოლაში იმ სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც XXIV ყრილობის დირექტივებიდან გამომდინარეობენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

## მეცხრე ხუთწლედის მარშრუტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თქვენ გაგიმარჯოთ, ფეიქრებო!

### ზოგი რამ წინასწარ

ჩვენ დღეს გორელ ფეიქრებზე გესაუბრებით.

გორის ბამბეულის კომბინატი — ვეებერთელა საწარმოა. საკმარისია მარტო იმის აღნიშვნა, რომ აქ ხუთი ათასზე მეტი კაცი მუშაობს. აქ ისიც გაიხსენეთ, რომ ერთი საუკუნის წინ, 1878 წელს, კამერალური აღწერით მთელ გორში 6.000 სული ცხოვრობდა. ახლა კი — ეს მარტო ერთი საწარმოა.

ყოველდღე ეს საწარმო იმდენს ქსოვილს უშვებს, ორგზის გადაჰფარავს გზას გორსა და საქართველოს დედაქალაქს შორის, ხოლო თუ წელიწადზე ვიანგარიშებთ, აქაური ერთი წლის ნაქსოვი — ირგვლივ შემოეხვევა ეკვატორს და კიდევ დარჩება იმდენი, რომ ერთ დიდ ქვეყანას ჩააცვას და დახუროს.

ამ საწარმოს დიდ კოლექტივს არასოდეს უშრომია ისეთი შემართებით, ერთსულოვნებით და მონდომებით, როგორც ახლა, ამ დღეებში შრომობს და ცხოვრობს. ფეიქართა ეს ბეჯითი, თავდადებული შრომა შთაგონებულია იმ დიადი მიზნებით და გეგმებით, რომლებიც ჩვენი პარტიის XXIV ყრილობამ დაუსახა საფეიქრო მრეწველობის მშრომელებს.

* * *

გათენებამდე ჯერ კიდევ კარგა დროა. მზის პირველი სხივები ჯერ არ დასცემია გორის ციხის ქონგურებს. აღმოსავლეთიდან დაძრული გარიჟრაჟი უხმაუროდ, შეუმჩნევლად მიერეკება ქალაქის ქუჩებიდან დილის ბინდბუნდს. ფეიქართა დაბის ყველა უბანში კი უკვე იგრძნობა ფუსფუსი, დროდადრო ხმამაღალი გადაძახილიც, მერე მთელი ქუჩები ფეიქრებით ივსება. მიჰყვები ხალხის ტალღას და გული სიამაყით გევსება — გიხარია, რომ კარგი საქმისათვის გამოხვედი სახლიდან, გიხარია, რომ ნათელი სახეებით გესალმებიან ადამიანები, რომლებიც ცოტა ხნის შემდეგ შენთან ერთად დადგებიან დაზგებთან და მანქანებთან, შენთან ერთად იშრომებენ საქვეყნო საქმისათვის.

გორის ბამბეულის კომბინატის შესასვლელთან, ადმინისტრაციული სახლის წინ ფართო მოედანია. ვახტანგ გორგასალის, ლერმონტოვის, მშვიდობის, ბაქოს, ფეიქართა, ლომონოსოვის, მოსკოვის, ხახუტაშვილის ქუჩებით მომავალმა ფეიქრებმა საწარმოში შესვლის წინ ამ მოედანზე უნდა გადაიარონ. უცხო თვალი ყოველთვის შეამჩნევს: მოსკოვის ქუჩით მომავალი ნაკადი უფრო ხმაურიანია, ახალგაზრდობა სიცილ-კისკისით მოდის. ამ ქუჩაზეა ქალთა საერთო საცხოვრებლები და ვიდრე საამქროებში შევლენ, ქალიშვილებმა გული უნდა იჯერონ ხუმრობით, სიცილ-კისკისით. მერე ამის დრო აღარავის ექნება.

### ორი დოგილი — ლამარა და ეთერი

პირველი საქსოვი ფაბრიკის საქსოვ საამქროში ბევრი სახელოვანი ადამიანი შრომობს.

ფაბრიკის ვესტიბიულში სოციალისტური შეჯიბრებით გათვალისწინებული ვალდებულებაა გამოკრული. ეს არის დოკუმენტი, რომლის შექმნაში მონაწილეობა მიიღო ფაბრიკის თვითეულმა მშრომელმა, იმათ, ვინც ეს სიტყვები საქმედ უნდა აქციონ.

შედიხართ საამქროში და თვალსაჩინო ადგილებზე ამჩნევთ მოზრდილ ფურცლებზე გაკეთებულ ცხრილებს, რომლებთანაც ცვლის დაწყებისა და დამთავრების დროს ყოველთვის ხალხმრავლობაა. ამ ფურცლებზე ნაჩვენებია ცალკეული მუშების ვალდებულებები ყოველი თვის მიხედვით და მათი შესრულების პროცენტები. იშვიათად, რომ რომელიმე გვარის გასწვრივ შესრულების პროცენტი არ სჭარბობდეს ვალდებულების პროცენტს.

აგერ, 21-ე კომპლექტის ერთ საქსოვ დაზგაზე შავგვრემანი ქალიშვილი დახრილა და ჩაწყვეტილ ძაფს აბამს. ეს ლამარა კაკოიშვილია. ძაფი გადააბა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა მეორე დაზგისაკენ. ლამარა მუდამ დაუზარელი, ენერგიული, კეთილი და გულმართალი ქალიშვილია. ის აქ ყველას უყვარს.

ქვეოსტატი კარლო ბესტავაშვილი გვიყვება:

— ლამარას ჩვენს ფაბრიკაში ერთ-ერთს პირველს მიენიჭა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება; ოთხი წლის წინ საკავშირო მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსანის სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა, წელს კი „საპატიო ნიშნის“ ორდენი მიიღო. აი, ეს გოგოც მან გამოზარდა, — თქვა ქვეოსტატმა და იქვე შორიახლო მდგომ ეთერ პაპუაშვილზე მიგვანიშნა, — ეთერი დუშეთის რაიონიდან ჩამოვიდა, პროფტექნიკური სასწავლებელი დაემთავრებინა და ჩვენთან გამოგზავნეს სამუშაოდ. ლამარა უცებ დაუმეგობრდა თვრამეტი წლის გოგონას, თავისი გამოცდილება გაუზიარა, დაახელოვნა ქსოვაში, გაწაფა და გვერდში ამოიყენა. ახლა ორივე შესანიშნავი მქსოველები არიან, ოქროს ხელები აქვთ...

კარლო ცოტა ხანს შეჩერდა და მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, ისევ განაგრძო:

— ჰო, ძალიან კეთილი, გულიანი გოგოა! ერთოთახიანი ბინა რომ მიიღო, ეთერი მაშინვე თავისთან გადაიყვანა საერთო საცხოვრებლიდან. საამქროში ერთად ვართ, ბარემ აქაც ერთად ვიყოთო...



ელექტროსაამქროს უფროსი ბ. ჩალაური (მარჯვნივ) და ელექტრიკოსი ნ. ჯიოშვილი.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე ქეთევან ჯიოშვილი, მქსოველები — დაშა თაბაგარი და ნანული ხუციშვილი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

მქსოველები ეთერ პაპუაშვილი და ლამარა კაკოიშვილი.

— ვალდებულებები როგორი აიღეთ? — ვკითხე ქვეოსტატს.

— პირობა დავდეთ ყოველთვიურად გეგმაზე ორიათასი მეტრით მეტი მოვქსოვოთ.

— მერე, ასრულებთ პირობას?

— ლამარა და ეთერი მიცოცხლოს ღმერთმა! — თქვა ბესტავაშვილმა და გაიღიმა, — ყოველთვიურად 38 ათას მეტრსა ვქსოვთ. გოგონები სულ იმას ცდილობენ, არავინ გვაჯობოს, წინ არ გაგვისწროსო!

## გულის კარნახით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესებას რომ ითვალისწინებს, აქ ყველას მძლავრი სტიმული მისცა და ახალი ძალა შემატა. მქსოველებმა თავიანთ კრებებზე ბევრი სასარგებლო წინადადება წამოაყენეს საქმის გასაუმჯობესებლად; ამიერიდან უფრო ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება ყველა საწარმოო უბანზე. ცალკეულმა კოლექტივებმა ხელახლა გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი, აიღეს ახალი გაზრდილი ვალდებულებები. ამ საქმეს, როგორც ყოველთვის, სათავეში ჩაუდგნენ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

— დასამალი არ არის, რომ ჩვენს საწარმოში სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებები, — ამბობს პირველი საქსოვი ფაბრიკის გამგე ნ. იორამაშვილი, — პირადად მე თვრამეტი წელია ამ ფაბრიკაში ვმუშაობ და ძალიან კარგად ვიცი ჩვენი მუშაობის ავიც და კარგიც. ზოგჯერ ნაკლებად ვფიქრობთ რეზერვების ამოქმედებაზე, ხელით შრომის შემსუბუქებაზე. შეჯიბრება თავისებური შემოქმედებაა, იგი ყოველდღიურად ახალი შინაარსით ივსება და სადაც ერთხელ გაკვალულ გზებზე იწყებენ სიარულს, იქ ფორმალიზმიც იჩენს ხოლმე თავს.

სრული ჭეშმარიტებაა: სოციალისტური შეჯიბრება — ეს შემოქმედებითი შრომის სათავეც არის და საფუძველიც; ის, ვინც მეტ უნარს გამოიჩენს სიახლისათვის ბრძოლის გზაზე, თავისი ამხანაგის საქმესაც აკეთებს, ისე როგორც ამხანაგი — მის საქმეს. სოციალისტური შეჯიბრება მარტო მატერიალურ დოვლათს როდი ამრავლებს — ის სულიერადაც ზრდის ადამიანს, განამტკიცებს მის ახლებურ ხასიათს, სულიერად აწრთობს, ურღვევ მეგობრულ კოლექტივად ამჭიდროებს ადამიანებს. სწორედ აქ ჩანს „სოციალისტური შეჯიბრების სოციალური და აღმზრდელობითი როლი", აქ არის შრომის ის „მორალური სტიმულები", „მორალური წახალისება", რომელზეც ლაპარაკია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის სექტემბრის დადგენილებაში; ცენტრალური კომიტეტი მიგვითითებს, რომ ეს მორალური წახალისება, ჯეროვანად შეხამებული მატერიალურ წახალისებასთან — წარმოადგენს წინსვლისა და წარმატების უმყარეს საფუძველს.

გორის ბამბეულის კომბინატის კოლექტივის თვითეული წევრი, ხელმძღვანელიც და რიგითი მუშაც, შეჯიბრების უკეთ მოწყობაზე რომ ფიქრობს, პირველ რიგში ცდილობს გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედებას, მუშათა მორალური და მატერიალური წახალისების ფორმების იმგვარად გამოყენებას, რომ დავალების შესრულება რაღაც მოვალეობის მოხდას კი არ ჰგავდეს, არამედ ადამიანის შინაგანი მისწრაფება იყოს: მისი გულის კარნახი, მისი ყოველდღიური მოთხოვნილება.

## მზია არათანაშვილის მიმდევრები

კომბინატის მეორე სართავი ფაბრიკის მგრეხავებმა პირველი ფაბრიკის მგრეხავების ის ბრიგადა გამოიწვიეს შეჯიბრებაში, რომელსაც ახალგაზრდა ბრიგადირი ნორა ვალიშვილი მეთაურობს. ნორამ რომ ეს შეიტყო, მაშინვე გაეცნო მეზობლების მაჩვენებლებს, გაეცნო და ცოტა შეფიქრიანდა, ვაი თუ ჩემმა გოგონებმა ვერ გაბედონ ასეთივე ვალდებულების აღებაო; მერე ფიქრში ყველანი თვალწინ დაუდგნენ, თითქოს შორიდან გადახედა მათ და გულმა უკარნახა:

— არა, ესენი ტოლს არავის არ დაუდებენ!

ასეც მოხდა. ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი ბრიგადირს, მაშინვე შეადგინეს თავიანთი ვალდებულების ტექსტი და ხელმძღვანელებს გადასცეს — მეორე ფაბრიკის მგრეხავებს გაუგზავნეთო.

ვალდებულება ითვალისწინებდა ყოველთვიური გეგმების 108 პროცენტით შესრულებას, ნართის ხარისხის ამაღლებას, თვითღირებულების შემცირებას, ნედლეულის ეკონომიურად ხარჯვას, შრომის დისციპლინის გაუმჯობესებას, ბრიგადის წევრების ცოდნის დონის ამაღლებას.

ყველა მოუთმენლად მოელოდა პირველი თვის შედეგებს. როგორ გაიხარეს ნორა ვალიშვილის გოგონებმა, როცა მათ გეგმა 112 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით 1.800 კილო დაგრეხილი ნართი გამოუშვეს.

ახლა მეორე სართავი ფაბრიკის მგრეხავები იმუქრებიან — მოიცადეთ, ამ თვეში ვნახოთ, ვინ იქნება წინაო!

ვნახოთ.

გორელი ფეიქრები დიდი მოწონებით შეხვდნენ თბილისელი ახალგაზრდა ფეიქრის მზია არათანაშვილის პატრიოტულ თაოსნობას — ხუთი სამუშაო დღის ნორმა შეასრულოს ოთხ დღეში. მზიას მაშინვე გამოუჩნდნენ მიმდევრები.. ბევრმა გორელმა ფეიქარმა ივალდებულა ექვსი დღის სამუშაო ნორმა შეასრულოს ხუთ დღეში (კომბინატი 6 დღიანი სამუშაო კვირით მუშაობს). ამჟამად მზია არათანაშვილს გორის კომბინატში ასზე მეტი მიმდევარი ჰყავს.

## სიყვარული საქმისა, რომელსაც აკეთებ

აქ ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით იმის ცოცხალ მაგალითებს, თუ რამდენი რამ შეუძლია სოციალისტურ შეჯიბრებას. ამაზე მეტყველებს სოციალისტური შრომის გმირის — ნანული ჩერქეზიშვილისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მერი ტატურაშვილის, შესანიშნავი ქვეოსტატების — ირაკლი კობერიძის, ლავრენტი ვართუმაშვილის, დავით გოლოშვილის, კარლო ბესტავაშვილის და სხვათა შრომა და ცხოვრება. საწარმოს დიდ ოჯახში ჰპოვეს მათ ცხოვრების ნამდვილი აზრი, აქ განიცადეს ნამდვილი სიხარული. აქ ყველას ვერ შევეხებით. ამჯერად მეორე სართავი ფაბრიკის მოწინავე მრთველის მერი ტატურაშვილის შესახებ მოგითხრობთ.

როგორ მიაღწია ამ ჩვეულებრივმა, მოკრძალებულმა ქალიშვილმა კოლექტივის, მთელი ხალხის ასეთ სიყვარულს და დაფასებას?

კარგად მოგეხსენებათ, წარმატებასა და გამარჯვებაზე ლაპარაკიც ზედმეტია იმ საქმის სიყვარულის გარეშე, რომელსაც კაცი ემსახურება. მერის უსაზღვროდ უყვარს თავისი პროფესია. შრომას აქვს თავისი დიდი რომანტიკა. კარგად წერდა ამაზე ჩვენი გამოჩენილი მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე თავის წერილში „სიყვარულმა მათქმევინა“; მე არ ვიცი იცნობს თუ არა ის ჩვენს სახელოვან ფეიქარს, მაგრამ მისი წარმატების საიდუმლოება ხსენებულ წერილში კარგად იყო ახსნილი. სხვისთვის, გულაყრილი ადამიანისათვის, ცხოვრების გზაზე ისე რომ დადის, თითქოს გასართობ ექსკურსიაზე იყოს ჩამოსული, შესაძლოა ერთფეროვნების განცდას და მოწყენილობას იწვევდეს უზარმაზარი საამქრო; მაგრამ ოსტატს ეს თითქოსდა ერთფეროვანი გარემო სულ სხვანაირად წარმოესახება. დავიწყოთ უბრალოდან: მან იცის, რომ დადგენილი ნორმით ერთი მრთველი ორ მანქანას, ანუ 832 თითისტარს უნდა ემსახურებოდეს. მერიმ ისიც იცის, რომ ეს ნორმა სპეციალისტებმა დაადგინეს ხანგრძლივი დაკვირვებისა და საშუალო მომზადების მუშის შესაძლებლობის მიხედვით, მაგრამ ხომ შეიძლება საშუალოზე უკეთესად იმუშაოს კაცმა? რა თქმა უნდა, შეიძლება. და აქ იღვიძებს ინტერესი, სწრაფვა მეტის შეძლებისაკენ, ზღვრის გადალახვისაკენ. მერიმ მიაღწია იმას, რომ მომსახურების ზონა 1.080 თითისტრამდე გაზრდილიყო. ამან თავისებური სიამაყე, სიხარული და სიამოვნება მიანიჭა ხელმარჯვე ფეიქარს.

აქ როდი შეჩერდა სწრაფვა უკეთესისაკენ. 1.080 თითისტრით ცვლაში საშუალო კვალიფიკაციის მუშამ 150 კილოგრამი ნართი უნდა გამოუშვას, მაგრამ ნუთუ არ შეიძლება მეტის გამოშვება? ვცადოთ. თურმე შეიძლება, ოღონდ აქაც გულია საჭირო, გული, რომელიც სავსე იქნება სიყვარულით იმ საქმისადმი, რომელსაც ემსახურები, რომელიც შენი ადგილია ცხოვრებაში. ეს სიყვარული შეგაძლებინებს ყველაფერს — იმასაც, რომ ზედმიწევნით კარგად დაეუფლო დართვის ტექნოლოგიას, იმასაც, რომ უკეთ შეეგუო მანქანების მომსახურების მარშრუტს, და იმასაც, რომ ყველაზე კარგად იცოდე ძაფის გადაბმის წესები.

ახლა მოგითხრობთ ერთ დიდად საინტერესო და საგულისხმო შეჯიბრებაზე, რომელსაც მე თვითონ ვესწრებოდი. მრთველები ეჯიბრებოდნენ ერთიმეორეს, თუ ვინ უფრო სწრაფად გადააბამდა მანქანებზე გაწყვეტილ ძაფებს, ვინ უფრო ზუსტად და სწრაფად გამოიყენებდა შესაფერის ილეთებს.

მერიც ამ შეჯიბრების მონაწილე იყო.

შეჯიბრება ჯერ პირველ სართავ ფაბრიკაში ჩატარდა. რამდენიმე მრთველმა საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენა. ჟიურიმ ახლა მეორე სართავ ფაბრიკაში გადაინაცვლა. წინასწარ შერჩეული რამდენიმე მოწინავე მრთველი გამოიძახეს. გამოცდაზე პირველი მერი უნდა გამოსულიყო.

— ცხადია, პირველ ადგილს აიღებს, — ამბობდა ჟიურის თავმჯდომარე, კადრების მომზადების განყოფილების უფროსი ე. გიგაური.

— მეც ასე ვფიქრობ! — დაუდასტურა ჟიურის წევრმა.

შემდეგ ჟიურის ერთი წევრი გაჰყვა მანქანას და ყველა ძაფი გაწყვიტა. ჩაირთო წამმზომი. დატრიალდა მერი. უნდა მოასწროს, გადააბას ძაფები. ამოქმედდნენ მისი თითები. ყველა წამმზომს დასცქერის... მაგრამ ეს რა ხდება? მერიმ ისეთი დაბალი შედეგი აჩვენა, რომ ყველა გაოცებული დარჩა. გაოცებული იყო თვითონ მერიც. იდგა აწითლებული და ნერვიულად იმტვრევდა თითებს.

— რა მოგივიდა, გოგო? — მხარზე ხელს უთათუნებს და შინაურულად ეკითხება გიგაური.

მერი სდუმს.

— მე მგონი, აღელდა, დაიბნა, — ამბობს ვიღაც.

— მაშ გავიმეოროთ!

მერი ხელმეორედ მიდის გრძელ მანქანასთან, ხელმეორედ ჩაირთო წამმზომი. ჟიურის წევრებს გარდა უკვე სხვებიც, იქვე მომუშავე მრთველებიც მიაწყდნენ წამმზომს. საამქროში თითქოს წუთით შეწყდა მანქანების ხმაური, ყველას ესმის საათის წიკწიკი... აი, გადააბა უკანასკნელი ძაფიც და ღრმად ამოისუნთქა. ამოისუნთქა, მობრუნდა და გაიღიმა.

იცინიან ჟიურის წევრებიც. ისეთი სამხიარულო ჟრიამული ქკას, კარგ გამარჯვებას რომ შეჰფერის.

— ყოჩაღ, მერი!

— შესანიშნავია!

— კინაღამ გაგვაწბილე! — ისმის შეძახილები.

შეჯიბრება დამთავრდა და მერი ტატურაშვილის შედეგი ყველასათვის მიუღწეველი დარჩა.

ეს იმ დღეს, მაგრამ რამდენი წაახალისა, რამდენი შეაგულიანა მერის გამარჯვებამ, რაოდენ წინ წასწია საქმე, რაოდენი მადლი და ხალისი შემატა შრომას! შეჯიბრების აზრიც ხომ ის არის, ერთი წინ რომ წავა, ათასი და ათიათასი უნდა გაიყოლოს!

მერიმ კარგად იცის თვითეული საათის, თვითეული წუთის ფასი. სამუშაოზე ყოველთვის ნახევარი საათით ადრე მიდის, წესრიგში მოჰყავს სამუშაო უბანი. მოიმარაგებს ნედლეულს, დამხმარე მასალებს და შემდეგ იწყებს მუშაობას. რვა წლის მანძილზე ფაბრიკაში არ ახსოვთ, რომ მას უმიზეზოდ გაეცდინოს სამუშაო. უმიზეზოდ? რას ბრძანებთ? მაშინაც კი ეძნელება მანქანების მიტოვება, როცა საამისო მიზეზი აქვს.

კიდევ ერთი ამბავი მინდა გითხრათ. მერიმ ერთხელ თბილისში წასვლა გადასწყვიტა, პირადი საქმე ჰქონდა, ფაბრიკის გამგესთან მივიდა და სთხოვა ერთი დღით გაენთავისუფლებინა სამუშაოდან. შალვა ხმალაძე ასეთ მუშას უარს როგორ შეჰკადრებდა: რაკი განთავისუფლება ითხოვა, მაშასადამე, აუცილებელი საქმე აქვსო. მერი სამგზავროდ გაემზადა, დილით ადრე ქუჩაზე გამოვიდა და თბილისისაკენ მიმავალ ავტობუსს დაელოდა. ვიდრე ავტობუსი მოვიდოდა, მან თვალი მოჰკრა ქუჩაში სირბილით მიმავალ ფაბრიკის აღმრიცხველს. ჰკითხა — სად მიდიხარ, ხომ არაფერი მოხდაო? აღმრიცხველმა უთხრა: რამდენიმე მუშა ავადმყოფობის გამო სამუშაოზე არ გამოვიდა, მანქანები ცდება და ახლა გამოსაძახებლად მივდივარ იმ მრთველებთან, ვინც განრიგით დღეს ისვენებენო.

მერი კიდევ რამდენიმე წუთს იდგა. აღმრიცხველი თავის გზას გაჰყვა. ამასობაში ავტობუსიც მოვიდა. მერი კი იდგა და რაღაცას ფიქრობდა. მერე შემოტრიალდა და სწრაფად გაემართა საამქროსაკენ.

გაოცებულმა ფაბრიკის გამგემ მერი საამქროში, მანქანებთან რომ დაინახა, თქმით არაფერი უთქვამს, მაგრამ სახე ისე ბედნიერი და მლიმარე ჰქონდა, სიტყვა აღარც იყო საჭირო.

* * *

გორის ბამბეულის კომბინატის მუშების ცხოვრებაზე კიდევ ბევრი შეიძლება ითქვას. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ფაქტი ავიღეთ, მაგრამ აქედანაც ნათლად ჩანს, რაოდენ მჩქეფარე და დაუცხრომელია ამ დიდი საწარმოს მაჯისცემა.

ალექსანდრე ტაბატაძე.
გორი.

მოწინავე მრთველი მერი ტატურაშვილი.





ნანული ჩერქეზიშვილი და იზოლდა გავნიძე.

# როგორ იზრდებიან ზვრები

სოფელ ვეჯინში, შუა ქედის უბანში, გურჯაანისაკენ მიმავალ გზატკეცილზე, ხელმარცხნივ, თეთრი ორსართულიანი შენობა დგას. წინ ფართოდ გადაშლილი ალაზნის ველია. ამ შენობაში მოთავსებულია ვეჯინის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის დირექცია.

ჩვენი კორესპონდენტები ამ დღეებში ესტუმრნენ ვეჯინის სანერგე მეურნეობას და მის დირექტორს, იოსებ ინდაშვილს სთხოვეს ეპასუხა რამდენიმე შეკითხვაზე.

— ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში სოციალისტური შეჯიბრების თაობაზე, განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მშრომელთა მორალური წახალისების ჯეროვან შეხამებას მატერიალურ წახალისებასთან. როგორ არის ამ მხრივ საქმე თქვენს მეურნეობაში?

— ამ კითხვაზე პასუხი რომ გაგცეთ, ცოტა შორიდან მომიხდება დაწყება. ჩვენი სანერგე მეურნეობა რვა წლის წინ ჩამოყალიბდა მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის ფართობებისა და გურჯაანის სატყეო მეურნეობის ბაზაზე. სამიოდე წლის წინ ჩვენ სოფელ ვეჯინის კოლმეურნეობაც შემოგვიერთდა.

რა დასამალია, და ვეჯინის კოლმეურნეობა წლიდან წლამდე ჩამორჩენილთა რიცხვს ეკუთვნოდა. არ იყო მატერიალური დაინტერესება და ყველას გარე-გარე, რაიმე სარფიან სამუშაოსაკენ მიურბოდა თვალი.

გლეხკაცი კი, მოგეხსენებათ, სისხლითა და ხორცით არის დაკავშირებული მიწასთან. შეუქმენი მას ნორმალური პირობები, დააინტერესე მატერიალურად, და აბა მაშინ ვნახოთ! უფრო იოლ, უფრო სარფიან საქმეს მიატოვებს და თავის მიწას, მამაპაპისეულ კერას დაუბრუნდება. ეს კი უდიდესი მორალური სტიმულია.

ასე მოხდა ჩვენთანაც. ახლა აქ თავს აღარავინ არიდებს სოფელში მუშაობას. ამ რამდენიმე წლის წინ ახლო-მახლო სოფლებში სახლის მშენებლობაზე, ანდა სხვა რაიმე სამუშაოზე მეშაბაშეები რომ დასჭირდებოდათ, აქეთ, ვეჯინში ეძებდნენ. ახლა ნურას უკაცრავად! ორ იმდენს რომ დაპირდე, ვეჯინელ კაცს შაბაშზე ველარ გაიტყუებ, ახლა საბჭოთა მეურნეობაში არც .სამუშაო დღეს გააცდენს და არც თავისი მეზობლების წინაშე შეირცხვენს თავს.

აი, აქ არის მორალური წახალისების შეხამება. მატერიალურ წახალისებასთან.

ცხადია, რაც უფრო ძლიერი და მდიდარია საბჭოთა მეურნეობა, მით უფრო უკეთ და შეძლებულად ცხოვრობენ მისი მუშები. შარშან მეურნეობის შემოსავალი გეგმის მიხედვით 984.740 მანეთი უნდა ყოფილიყო, ფაქტიურად კი 1 მილიონ 102 ათასი მანეთი შემოსავალი მივიღეთ. წელს საბჭოთა მეურნეობის შემოსავალმა 1 მილიონ 250 ათასი მანეთი შეადგინა, ხუთწლედის ბოლოს კი ეს თანხა 8 მილიონ მანეთამდე გაიზრდება.

საბჭოთა მეურნეობაში ამჟამად 1800 მუშა გვყავს, რომლებსაც გარანტირებული ხელფასი აქვთ. ამ მუშებს შორის ცოტანი როდი არიან ისეთები, რომლებიც სისტემატურად იღებენ პრემია-დანამატებს. აი, მაგალითად, ს. ლაზარიშვილმა შარშან პრემია-დანამატის სახით 1.700 მანეთი მიიღო, რ. ჩიტაძემ — 1.496 მანეთი, შ. სვიმონიშვილმა — 1.246 მანეთი, ვ. სვიმონიშვილმა—616 მანეთი. ზოგიერთი მუშის საშუალო წლიური გამომუშავება 4 ათას მანეთს აღემატება.

მუშები, როგორც წესი, სისტემატურად იღებენ ახალ რძეს და ხორცს. სოფელში გახსნილი გვაქვს წერტები, სადაც მუშებს თავისუფლად შეუძლიათ სახელმწიფო ფასებში შეიძინონ რძე და ხორცი. ყოველწლიურად მეურნეობის მუშებს 400 ცენტნერ რძეს და 140 ცენტნერ ხორცს ვაძლევთ სახელმწიფო ფასებში.

ვზრუნავთ იმისათვის, რომ ჩვენს მუშებს არა გაუჭირდეთ რა. სოფელში, ძალიან ლამაზ ადგილზე საკუთარი სახსრებით ვაშენებთ 150 ადგილიან პანსიონატს. აქ ყოველგვარი საშუალება იქნება შექმნილი კარგი დასვენებისა და მკურნალობისათვის.

— თქვენი მეურნეობა სანერგეა. რა სპეციფიურობა ახასიათებს ამ მხრივ თქვენს მუშაობას?

— საქართველო, კარგად იცით, საუკეთესო სუფრისა და სადესერტო ღვინოების ქვეყანაა.



ახალი ვენახის გაშენება.

XXIV ყრილობის დირექტივებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მეცხრე ხუთწლედში ჩაის, თამბაქოს, ციტრუსებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებასთან ერთად, მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ყურძნის წარმოებაც.

სწორედ ამიტომ ახალი ზვრების გაშენებას ახლა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენს საბჭოთა მეურნეობაზე, რომელიც მთელს კახეთში ყველაზე დიდი სანერგეა, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კახეთის მევენახეობის წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრა.

ჩვენ აქ მწარე ძირზე ვამყნობთ კულტურული ვაზის ჯიშებს, უმთავრესად მწვანეს, საფერავსა და რქაწითელს. ნერგები სათბურში რჩება 14-15 დღე. სათბურიდან ნერგები ღია გრუნტში გადაგვაქვს და იქ ოქტომბრის ბოლომდე ვტოვებთ.

შარშან გეგმა წარმატებით შევასრულეთ, ნია-

დაგში 2 მილიონი საუკეთესო ხარისხის ნერგი გავიტანეთ. ნერგების გახარება 40 პროცენტს უნდა შეადგენდეს, ჩვენ კი ღია გრუნტში გატანილი ნერგების 42,5 პროცენტი გავახარეთ. ეს დამატებით გამოყვანილი ნერგები შეიძინეს გურჯაანის, სიღნაღის, თელავის და კახეთის სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა და ახალი ვენახები გააშენეს.

საბჭოთა მეურნეობაში გამოგვყავს აგრეთვე თუთის, ატმის, ბროწეულისა და სხვა ხილის ნერგები.

— პატივცემულო იოსებ, თქვენ ახლა ბროწეული ახსენეთ. გთხოვთ, ცოტა უფრო დაწვრილებით გვიამბოთ მასზე. საქმე ისაა, რომ ჩვენ აქ სპეციალური ინტერესიც გვაქვს. მიმდინარე წელს ჩვენს ჟურნალში გამოვაქვეყნეთ წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ჩვენს საკოლმეურნეო ბაზრებზე ბროწეული მხოლოდ აზერბაიჯანელებს შემოაქვთ და ყველა ხილზე უფრო ძვირად ჰყიდიან. ამავე დროს, კახეთის ბროწეული მუდამ განთქმული იყო. რა მოხდა, რატომ ამოიძულეს აქაურებმა ეს მშვენიერი ხილი?

— კახეთში ბროწეული მართლაც ძალიან გავრცელებული იყო. ახლაც, წითელწყაროს და სიღნაღის რაიონებში — პანტიშარას ხეობაზე, ლეკის წყალზე, ალაზნის სანაპიროებზე ველური ბროწეულის დიდი მასივებია. ბევრი განმარტება არ სჭირდება იმას, რომ ბროწეული ძალზე სასარგებლო ხილია. იგი არა მარტო სუფრის მშვენებაა. არამედ ძვირფასი სამკურნალო თვისებებიც აქვს. ქართველი დიასახლისი გვერდს ვერ აუვლის ბროწეულს. ბროწეულის წვენი, ბროწეულის სანელი, ბროწეულით შეკაზმული სხვადასხვა ნუგბარი საჭმელები ქართული სუფრის მშვენებაა.

მაღაზიებში ბროწეული იშვიათად თუ გამოჩნდება ხოლმე, ბაზრებში კი, მით უმეტეს ზამთრის თვეებში, ბროწეულის ფასი ძალიან მაღალია. და იგი თითქმის მთლიანად მოძმე რესპუბლიკებიდან შემოაქვთ.

საქართველო თავისი ბუნებრივი პირობებით ბროწეულის მოშენების საუკეთესო კუთხეა. თქვენ გაინტერესებთ რამ გამოიწვია ამ ძვირფასი და ასე საჭირო კულტურის შემცირება? ბროწეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყურადღების გარეშე დარჩა და თითქმის მთლიანი გაქრობისა და გადაშენების კარამდე მივიდა.

ჩვენ დავინტერესდით ამ საკითხით და გადავწყვიტეთ მოგვეშენებინა და გაგვემრავლებინა ეს ძვირფასი კულტურა. შედეგიც კარგი გვაქვს. შარშან 16 ათასი ბროწეულის ნერგი გავახარეთ, წელს კი 50 ათასი ნერგი მივყიდეთ კოლმეურნეებს. ვაზის ნერგის შესაძენად მოსულ კოლმეურნეებს ჩვენ სათანადო აგიტაციას ვუწევთ და, როგორც წესი, ხან ნებით, ხან კი იძულებით ბროწეულის ნერგებსაც ვატანთ თან.

ჩვენმა მუშებმა ერთი კარგი ინიციატივაც გამოიჩინეს. ტყეს ჩვენთან საკმაოდ დიდი ფართობი — 512 ჰექტარი უჭირავს. ჩვენც ავდექით და, ტყეებში სხვადასხვა ხილის დამყნობა დავიწყეთ. ვაშლი დავამყენით 5 ჰექტარზე, ზამთრის მსხალი — 2 ათასი ძირი, ბროწეული 8 ათასი ძირი გავაშენეთ. უახლოეს ხანში სოფლის თავში, წვიმისაგან ჩამორეცხილ ადგილებში, სხვათა შორის, ბროწეულს ასეთი ადგილები უყვარს, 10 ათას ძირ ბროწეულს გავახარებთ.

რამდენადაც ვიცი, ამ საქმეში ჩვენ მარტონი არა ვართ. ბროწეულის ფასი და მნიშვნელობა ახლა ბევრს ესმის კარგად. გაივლის ცოტა ხანი და მე შემიძლია გადაჭრით ვუთხრა ყველა დიასახლისს და ბროწეულის ყველა მოყვარულს, რომ ეს ხილი უხვად იქნება ჩვენს ბაზრებში და მაღაზიებში.

— როგორი პერსპექტივა ექნება ბროწეულს საერთო შემოსავლის თვალსაზრისით?

— ამ მხრივაც მას ძალიან კარგი პერსპექტივა ექნება. ეს ხომ მარტო ხილი არ არის — წამალიც არის, იხმარება კუჭ-ნაწლავის დაავადების სამკურნალოდ, უებარი წამალია გულ-სისხლძარღვთა დაავადების, ანგინის, ასთმის, ძნელად შესახორცებელი ჭრილობების განსაკურნავად, აუმჯობესებს მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეურნეობის დირექტორი იოსებ ინდაშვილი თანამშრომლებთან.



ვეჯინელი მექანიზატორები.

ფოტო თ. არჩვაძისა

შრომის ვეტერანები.





სოფელ ვეჯინის ახალგაზრდობა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთერ სვიმონიშვილი — მეურნეობის მუშაკი, რაიონული საბჭოს დეპუტატი.



ვაზის სანერგეში.

დას და ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლასა და საჭმლის მონელების გაუმჯობესებას. ცხადია, ეს ყველაფერი მას თავის ფასსა სდებს. სწორედ ფასსა და შემოსავალზე გამახსენდა. აილეთ ახლა ნიორი. ალბათ გახსოვთ, რომ ამ რამდენიმე წლის წინ მაღაზიებში ნიორს ვერ იშოვიდით, ბაზარზე კი ძალიან ძვირი იყო. რამ გამოიწვია ნიორის ასეთ დეფიციტურ პროდუქტად გადაქცევა?

საქმე ის იყო, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ნიორი არამომგებიან კულტურად ჩასთვალეს, უგულვებელყვეს იგი, თანდათან შეამცირეს მისი ნათესები და როგორც უკვე ვთქვით, მაღაზიებში ნიორი გაქრა, ბაზრებში კი მისმა ფასმა ერთიათად აიწია.

ახლა კი, გეცოდინებათ, ეს ბოსტნეული საკმაოდ არის მაღაზიებშიც; ბაზრებშიც ნიორს ნივრის ფასი ადევს.

— ნერგების გამოყვანის გარდა, კიდევ რა საქმიანობას ეწევა თქვენი კოლექტივი?

— ჩვენი მეურნეობის ზვრებს 450 ჰექტარი უჭირავს, აქედან 280 ჰექტარი სრულმოსავლიანია, 108 ჰექტარზე ხეხილის ბაღები გვაქვს გაშენებული; ვთესავთ ხორბალს, ქერს, სიმინდს, საერთოდ, მეურნეობაში 750 ჰექტარი სახნავ-სათესი ფართობი გვაქვს. მივდევთ მეღორეობას, მეცხვარეობას, გვყავს 450 მსხვილფეხა საქონელი.

ახალ ხუთწლედში ვენახების ფართობები 600 ჰექტარამდე უნდა გავზარდოთ, ხეხილისა — 180 ჰექტარამდე. შარშან თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 59 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ, წელს — 62 ცენტნერი, ხუთწლედის ბოლოსათვის კი საშუალო საჰექტარო მოსავლიანობას 70 ცენტნერამდე გავზრდით. მნიშვნელოვნად გაიზრდება აგრეთვე მარცვლეულის, ხორცის, რძის წარმოება. ხეხილის ნერგების წარმოებას 1.200 ათასი ცალიდან 2 მილიონ ცალამდე ავიყვანთ, ვაზის ნერგებისას კი წელს გამოყვანილი 2 მილიონ ცალიდან 3 მილიონ ცალამდე გავზრდით.

საბჭოთა მეურნეობაში ხუთწლედის მანძილზე გაიზრდება სათესი და სავენახე ფართობები. ეს მოხდება უნაყოფო მიწების ათვისების ხარჯზე. ცხადია, ახალი ფართობები მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების საშუალებას მოგვცემს, მაგრამ ამ პროდუქტების წარმოების გაზრდა ძირითადად მაინც საჰექტარო მოსავლიანობის ზრდის ხარჯზე უნდა მოხდეს.

როგორ მივაღწევთ ამას? აქ გადამწყვეტ როლს ვანიჭებთ მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვას. ჩვენი დევიზია: „თუ ერთმა შესძლო, სხვებიც შეიძლებენ“. მართლაც და, რატომ ვერ უნდა გააკეთოს სხვამ ის, რასაც აკეთებენ ჩვეულებრივი ადამიანები — სოლიკო. ლაზარიშვილი, როსტომ ჩიტაძე, შალვა სვიმონიშვილი, ვენერა სვიმონიშვილი, ანდა თუნდაც 61 წლის პენსიონერი დათა სეფიაშვილი, რომელმაც მოსავლელად მიჩენილ 50 ათასი ვაზის ნერგიდან 60 პროცენტი გაახარა, ისიც პირველი ხარისხისა!

აქვე მინდა გითხრათ, ადრე ითვლებოდა, რომ როგორც წესი, ვაშლისა და მსხლის ნერგი უნდა დაორწლიანდეს, ე. ი. ორი წელი უნდა დაჰყოს ნიადაგში. ხუთწლედით დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის, მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით ჩვენ გაბედული ექსპერიმენტი ჩავატარეთ. წინდაწინვე მინდა გითხრათ, რომ ამ ექსპერიმენტმა სასურველი შედეგი გამოიღო და ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ექსპერიმენტის მიზანი დროის მოგებასა და, მაშასადამე, მეტი ნერგის წარმოებაში მდგომარეობს.

ნიადაგებში გატანილი ნერგების მოვლისათვის ჩვენი მუშები განსაკუთრებულ აგროწესებს იყენებენ, რწყავენ, ნიადაგს უფხვიერებენ, დამატებით სასუქებს აძლევენ. ასეთი მუყაითი და მზრუნველი მოვლის შედეგად ნერგები ორი წლის ნაცვლად ერთ წელიწადში ასწრებენ მომწიფება-მომზადებას და სავსებით მზად არიან რეალიზაციისათვის. კოლმეურნეობებმა ჩვენს საბჭოთა მეურნეობაში ასეთი წესით დამზადებული მრავალი ნერგი შეიძინეს და ძალიან კმაყოფილები არიან. ჩვენ კი ნაკლები დანახარჯებით დროც მოვიგეთ და მეტი ნერგების გამოყვანის შესაძლებლობაც მოგვეცა.

ასეთია ჩვენი საქმიანობა. ახლა ყველაფერი ჩვენს უნარზე, ჩვენს მონდომებაზე და თავდადებულ შრომაზეა დამოკიდებული. ჩვენ ყოველგვარი პირობები გვაქვს შექმნილი, რათა დავიპყროთ ახალი მწვერვალები და წარმატებით განვახორციელოთ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები.

საუბარი ჩაიწერეს
**ოთარ დემეტრაშვილმა** და **ზაალ გახუტიშვილმა.**

სერგო კლდიაშვილი

# ათასმეერთე სასწაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

სასწაული ხომ ათასნაირია, და ერთიც ის იყო, იმ დღეს რომ მოხდა.

ყველაფერი ისე დაიწყო, როგორც გუშინ და გუშინწინ. დილით რომ თვალი გავახილე, უმალვე ჩვენი აყლაყუდა სინო მინდელის ხვრინი მომესმა. მაღვიძარას რეკვა ღმერთმა შეარცხვინოს ამასთან შედარებით.

ნეკნები მტკიოდა საბარგო ვაგონში ფიცარზე წოლისაგან. მაშ რა სიკეთე დამეყრებოდა, როცა ლეიბად მეფინა რამდენიმე ბლუჯა თივა, ხოლო საბნის მაგივრობას მიწევდა ინგლისური თხელი და ისე მოკლე მაზარა, რომ მუხლებამდე ძლივს მწვდებოდა.

ტყუილად გდებას ისევ ადგომა ვამჯობინე. ილოსაც გაღვიძებოდა და ქალაქში წასვლა გადავწყვიტეთ.

— სინო არ გავაღვიძოთ? — წავჩურჩულე.

— თავი დაანებე, ცოდოა.

გულაღმა გაშოტილ სინოს ისე ტკბილად ეძინა, თითქოს ბუმბულზე ისვენებდა და სიზმარში თავის სანატრელ რაჭას ხედავდა. ალბათ ასეც იყო, ის ხომ ცხადშიაც მუდამ მასზე ბოდავდა.

ფეხაკრეფით წავედით კარებისკენ. მაგრამ ერთმა ჯარისკაცმა, სანდრიკას რომ ვეძახდით და კურდღელივით ძილი იცოდა, მაინც შეგვამჩნია და გვკითხა, რომელი საათიაო. ახირებული ახალგაზრდა იყო და ჩვეულებად ჰქონდა, თორემ, აბა, რად სჭირდებოდა ამის გაგება. სულერთია შუადღემდე მაინც არ დგებოდა. იწვა და სულ რაღაცაზე დარდობდა, რაღაც ოცნებები არ ასვენებდა. კურდღელი კი იმიტომაც ვახსენე, გრძელი ყურები ჰქონდა. გამხდარ სახეზე პაჭუა ცხვირს რომ სათვალე უმალავდა და ჩამოშლილი ქოჩორი შუბლს უფარავდა, მხოლოდ მისი ყურები გეჩხირებოდა თვალებში. სანდრიკა სხვა ნაწილიდან იყო. პირველად აქ ვნახე, ბათუმში. ღამის გასათევი არსად ჰქონდა და შევიხიზნეთ. ჩვენ შორის ის ყველაზე უკეთესად იყო მოწყობილი. პირველი ღამე ტიტველ იატაკზე გაათენა საწყლად მოკრუნჩხულმა. მეორე დღეს კი ძველმანების საჯარობოზე ვიღაც დედაბრისგან ჰამაკი იყიდა და ვაგონის ერთ კუთხეში მივულურსმეთ. სხვა ვინმესი, ალბათ, შეგვშურდებოდა, მაგრამ ამ ჩვენ სანდრიკასადმი შური, აბა, ვის აღეძრებოდა. კონსერვატორიის სტუდენტი იყო, ვიოლინოზე დამკვრელი, ისეთი ნაზი და ფაფუკი, სითბოშიც ყოველთვის აწეული ჰქონდა მაზარის საყელო. ჭირშეყრილ ინდაურის ჭუკივით აფუღული მარტო პატრონი კი არა, ჩხირივით აფშეკილ მის ვიწრო მხრებზე ჩამოკიდებული ინგლისური მაზარაც საცოდავი და უმწეო ჩანდა. ღამით რომ ყველანი თავს მოვიყრიდით, სანდრიკა ხშირად თავის საყვარელ კომპოზიტორებზე საუბრით გვიმსუბუქებდა სევდიან საათებს და გაგვანდობდა ხოლმე იმ დღეზე ოცნებასაც, როცა საკუთარ კონცერტს გამართავდა.

— არა, ეს მალე არ იქნება, — თითქოს ბოდიშობდა ბოლოს, — მაგრამ ოდესმე ხომ იქნება!

— ეგ კარგი ხელობაა, — მაშინვე ჩაერეოდა სინო, — ჩვენში ერთი მესტვირეა, მისი სახელი შორსაა განთქმული. ის რომ სტვირს აალუღუნებს, ადამიანი კი არა, ჩიტიც სმენად იქცევა. ყველა კარი ღიაა მისთვის, ყველგან პურ-ღვინო ხვდება...

იტყოდა ამას და მერე ისევ თავისი მოუშორებელი ფიქრი აუშლიდა სალერღელს, ოცნებით მთელ რაჭას მოივლიდა, — ისევ ქვედრულა და ბარაკონი, ნაქერალა და ნიკორწმინდა, გლოლა, ჭიორა და, ვინ ჩამოთვლის, რამდენი სოფელი, ციხე-კოშკი და მდინარე...

ნავთობის რეზერვუარებთან სატვირთო სადგურის უბანი, სადაც ჩვენ ვიდექით, ვაგონებით არის გაჭედილი. ყველა ლიანდაგი მათ უჭირავს და ამ ლაბირინტს იმით დააღწევ თავს, თუ ბორბლებს შუა გაძვრები. აქა-იქ სხვა ჯარისკაცებსაც გაღვიძებოდათ და გარეთ დაბორიალობდნენ. ბევრ მათგანს ღია პლატფორმებზე ჰქონდათ ღამის გასათევი. ესენი, უმთავრესად, ციგნები იყვნენ. ასე იმიტომ შევარქვით, რომ უმეტეს დროს გარეთ დაფუსფუსებდნენ, სულ რაღაცას ეძებდნენ და დაღრიტინობდნენ. მათ უცბადვე გამოიცნობდი იმითაც, რომ მუდამ მზიან ადგილს ეტანებოდნენ. აბა რა ექნათ, ნოტიო ცისქვეშ ღამენათევთ სხვა რითი შეეთბოთ გაფიჩხული სხეული. არ მალავდნენ, რომ შურდათ ჩვენი და ამიტომ იყო, ბურჟუებს გვეძახდნენ. მართლაც და, ჩვენ ხომ ჭერქვეშ მაინც გვქონდა თავშესაფარი.

— ახლა საით? — იკითხა ილომ, ქუჩაზე რომ გავედით.

— აბა რა ვიცი, — სულერთი იყო ჩემთვის, — ვიაროთ და მივალთ სადმე.

ალალბედზე დავადექით გზას. სუფთა, მოკრიალებული გარემოა. თანაც ისე წყნარი, ხმამაღლა ლაპარაკს მოერიდები. თვითონვე შეგაწუხებს ხმა.

— ბაზარი იმ მხარესაა?

— მგონი... მერედა, რა გვინდა იქ?

შევყოყმანდით და მაინც მივაშურეთ.

მარტის ჩვეულებრივი დილაა. ამ წუთში რომ ღრუბელს მიეფარება მზე და დაგრილავს, მალე ისევ თბილად გამოიხედავს. ვერ ენდობი ცას, სულ ეჭვის თვალით უყურებ.

ბაზრის რამდენიმე ფარდულში სანოვაგის გამყიდველები იდგნენ. ერთგან რძე და ყველი, იქით ვაშლით სავსე კალათი, ზოგან პური და ჭადი...

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მაცდუნებელი იყო, მაგრამ მაინც ისე ჩავუარეთ გვერდი, თითქოს შეხედვასაც არ ვკადრულობდით

ერთ ფარდულთან კი მონუსხულივით შეჩერდა ილო.

— ეს რა, თამბაქოა?

კითხვა რაღ უნდოდა, ბავშვიც იტყოდა, რაც იყო. განიერად გაშლილ თავსაფარზე ხვავიანად ეყარა მწიფე ხორბლისფერი, წვრილად დაჭრილი თამბაქო, რომლის სურნელება ნესტოებს გვიღიზიანებდა.

— აბა ერთი გემოც გავუსინჯოთ. — თამბაქოში ხელი დარია ილომ, გაზეთის ნახევში ორი პაპიროსი დაგრიხა, ერთი თვითონ გააბოლა, მეორე მე მითავაზა, ნაფაზი დაარტყა და საქმიანი კილოთი შემეკითხა:

— რას იტყვი? ა? ძალიან რბილია, თორემ... ცოტა მეტი სიმაგრე რომ ჰქონოდა...

თქვა და გავშორდით. თუთუნი იქნებ ნამდვილად რბილი ეჩვენა, მაგრამ პაპიროსი მაინც პირში ეჩარა და მადიანადაც ქაჩავდა. არა, დასაწუნი არაფერი ჰქონდა, მთელ ტანში ჟრუანტელივით დამივლიდა ხოლმე ყოველ ნაფაზზე.

— არა უშავს რა, — თქვა ილომ, — ოღონდ ჩვენში, აი, ალაზან გაღმა რომ მოგვყავს, ისეთი მაგარი არაა...

ჰო, მაგრამ ძელგიც რომ ყოფილიყო, ჩვენ ვითომ რაო? გვენდობოდა და ნისიად გაგვატანდა, თუ რა?!

ისეთი მსხვილი იყო პაპიროსები, ზღვისპირის ქუჩამდე გაგვყვა. ზღვა მშვიდი იყო. ფერს კი იცვლიდა ხოლმე. ახლა რომ ჩამუქებული ჩანდა, მზე გამოიხედავდა თუ არა, უცბადვე გადაისარკებდა. წყალს ჭავლი მოდებოდა და ნაპირთან მიბმულ ნავებს აქანავებდა. ცარიელ პორტში თოლიები დაფარფატებდნენ და მათი ნაღვლიანი ყივილი ისმოდა. შორს რეიდზე სამი გემი იდგა. მეოთხე კი უფრო ახლოს იყო და გარკვევით ჩანდა რამდენიმე ტუჩგამოშვერილი ქვემეხი და ანძაზე უცხოეთის ალამი. გემი ოდნავ ირწეოდა და საკვამლე მილიდან შავ ბოლს უშვებდა.

უმიზნოდ ხეტიალს ისევ ჩვენს ვაგონში წოლა ვარჩიეთ. სიარულის თავიც აღარ გვქონდა.

როგორც იქნა მივაღწიეთ ჩვენს სასახლეს. შევიხედეთ და, რას ვხედავთ... ცარიელია. მარტო სანდრიკას სამთიობო ირხევა ორპირ ქარზე. სინო რომ მოვიკითხეთ, გარეთ მოხეტიალე ჯარისკაცებმა გვითხრეს: ჯერ აქ დაბორიალებდა, მერე კი სად გაქრა, არ ვიცითო. მგონი თქვენს საძებრად წავიდაო...

— ეგეც ახალი დარდი, — აბუზღუნდა ილო. — სად წაყანყალდა ის ღვთის გლახა! არ იცის თავისი ამბავი, უკან მოსასვლელ გზას რომ ვერ გამოაგნებს?

მეტი რა გვექნა, დავეგდეთ ჩვენს ბუმბულებზე. ილო ერთხანს გასუდრული იწვა, მერე თუთუნი ამოიღო და გააბოლა. ნაფაზს ნაფაზზე არტყამდა, ხარბად, გაუმაძღრად. ბოლომდე ჩაფერფლა და თქვა:

— მობრუნდება რა დროც იქნება. რა დაკარგავდა იმ ოყლაყს...

სინო ნაშუადღევს გამოჩნდა. მოულოდნელად მოადგა ვაგონში ამოსასვლელს, ჯერ კიდეზე დააწყო გაზეთებში გახვეული ორი შეკვრა და მერე თვითონაც ამოფოფხდა. ისეთი განათებული სახე ჰქონდა, შარავანდედით შემკობილ წმინდანებს რომ ხატავენ ეკლესიის კედლებზე. გაგვიღიმა, გახსნა ქაღალდები და, აი, სწორედ მაშინ გავხდით ღირსნი ის ათასპირველი სასწაული გვეხილა!

დავცქეროდით და თვალს არ ვუჯერებდით. როგორც ბედის დიდი წყალობა, გამოჩნდა ყველი, შიგნეულით გამოტენილი კუპატი, ჭადი და, ბოლოს, არყით სავსე ლიმონათის ბოთლი... სინოსთან ქრისტეც ვერ მოვიდოდა, თუმცა ერთი ღარიბი კაცის ქორწილზე წყალი ღვინოდ აქცია!

სინო თავს გვადგა და მასპინძლობდა, თუმცა სულ არ გვჭირდებოდა პატიჟი.

— დანაყრდით, ბიჭებო? — თვითონაც ხედავდა, რომ ნამცეცებიც აღარსად იყო და მაინც თავმომწონედ იკითხა, — მაშ ახლა გამიგონეთ, რა გითხრათ...

მაგრამ იმის ნაცვლად, რომ სიტყვა განეგრძო, გიმნასტურას ღილი შეიხსნა და ისევ რაღაც შეკვრა ამოაძვრინა.

ამ შეკვრაში ბონების სქელი დასტა იყო.

სინოს ხელში ამოდენა ფული! კაცს შეეძლო ამით ეყიდნა ლორის დაშაშხული ორი ბარკალი... სიზმარს გავდა ეს ამბავი და შიშიც კი დაგვებადა.

— ბიჭო, გაძარცვე ვინმე? — წუთიერი სიჩუმე დაარღვია ილომ.

ძნელად წარმოსადგენი იყო სინოს ბანდიტობა, მაგრამ აქამდე ისიც არ შეგვიმჩნევია, რომ ჯადოსნური ძალა ჰქონდა და უბეში ხელის ჩაყოფით კრეზი გახდებოდა. ნუთუ ეს კაცი, ცხვარივით უწყინარი და ბავშვივით უცოდველი, აქამდე ნიღაბს ატარებდა?!

— აბა ახლა თქვენც წადით და მიიღებთ, — გვახარა სინომ.

მე და ილო რომ ქალაქში ვიყავით, ვიღაც ჯარისკაცს ეთქვა მისთვის, რომ ყოფილ ჯარისკაცებს სალიკვიდაციოს ურიგებენო. მასთან ერთად წასულიყო იქ, სადაც ფულს იძლეოდნენ, ხოლო დაბრუნებისას ბაზარში გამოევლო.

— სია ვიღაც ნაზემდეგარს აქვს, — გვითხრა სინომ. — ჩვენს ძველ კაპტენარმუსსაც ნახავთ იქ. მიხვალთ და მაშინვე მიიღებთ... ჰო და, ბარემ გაუდექით გზას, არც ისე ახლო და ადვილი მისაგნებია ის ადგილი!

დიდხანს ძებნა რომ არ დაგვჭირვებოდა, სინოც გავიყოლიეთ და მაინც მზის გადახრამდე ვიბოდიალეთ, სანამ ქალაქის განაპირა უბანში ვიპოვიდით სადღაც მინდორზე აშენებულ ძველ ყაზარმას და, ბოლოს, იმ სასწაულთმომქმედ ოთახს, რომელშიაც ორი გლახაკი შევიდოდით, ხოლო იქიდან კი ორ კრეზად ქცეულნი გამოვიდოდით.

შევაღეთ კარი და, იღბლად, ზემდეგი იქ დაგვხვდა. წრიპა კაცი იყო და უჩვეულოდ დიდთავა. ეს იქნებ იმიტომ გვეჩვენა, რომ თავი ჭიაყელასავით გაწვრილებულ და გრძელ კისერზე ჰქონდა გამობმული.

— გამარჯობა კარგო კაცო! — ხმამაღლა, თამამად მიესალმა ილო.

ზემდეგმა წაუყრუა, რაღაც ფურცლებს დასცქეროდა და დროდადრო საანგარიშოს აჩხაკუნებდა.

— ჩვენ, ასე მოგახსენოთ, სალიკვიდაციოს მისაღებად მოვედით, — დატკბილულად მიმართა ილომ. — ასე რომ, მეშვიდე ათასეულიდან ვართ... აი, ორივენი...

ჩვენ ჩვენი ვინაობა რომ ვუთხარით, ზემდეგმა უჯრიდან დავთარი ამოიღო და, ანბანის მიხედვით, ჯერ ჩემი გვარის ძებნა დაიწყო. გული არ მითმენდა, ზევიდან დავცქეროდი და უცბადვე შევნიშნე, რომ თავში ვეწერე. საძებარი აქ არაფერი იყო, მაგრამ ზემდეგმა მაინც დაახანა, სანამ ბონებს გადმომცემდა.

— ესეც ეგრე... მშვიდობაში! — შემომღიმა ილომ და ჩემი ადგილი დაიჭირა.

— რა გვარი ხარ? — ჰკითხა ზემდეგმა.

— ჩიტოშვილი... რიგითი ჯარისკაცი ილო ჩიტოშვილი...

ზემდეგმა გადაფურცლა და თითი ჩააქროლა სტრიქონებს. გადაშალა მეორე გვერდი და იქაც ჩაასრიალა. მაგიდაზე თავდახრილი ილო, თუმცა ცდილობდა, ვერ ასწრებდა წაკითხვას.

— გაიწი, ადამიანო, რას დამადექი სულთამხუთავივით! — უკმაყოფილოდ ახედა ზემდეგმა.

— ჩემი თავი გენაცვალოს! — მოუბოდიშა ილომ. — ვიფიქრე, მივეხმარები, მალე გაპოვნინებ... ჩიტოშვილი ილო... კარგად დახედე.

ზემდეგმა ისევ ჩაახედულა ფურცელი, უეცრად დახურა დავთარი და განზე დადო.

— დაიცა, ეგ როგორ?! — სახეზე წამოაწვა ილოს. — ვერ იპოვე? ალბათ გამოგრჩა... ჩიტოშვილი... მომეცი, მე მოვძებნი...

— ვითომ რაო, ჩემზე უკეთესი წერა-კითხვა იცი? — დამცინავად უთხრა ზემდეგმა და დავთარი, რატომღაც, უჯრაში შეაგდო.

— მოიტა ვნახო. ნამდვილად გამოგრჩა, მაშ როგორ. — ხმას აუწია ილომ.

— გამომრჩა, როგორ არა! — გულმოსულად ახედა ზემდეგმა. — ჰო, თქვი კიდევ ჩიტოშვილიო. თაღლითი ხარ შენ, აი ვინ! მოკლულის მაგიერ გინდა ფული მიიღო? აგეთი რამ ჩემთან არ გაგივა!

— როგორ თუ მოკლულის?! — გაოცდა ილო. — ეს მე ვარ მოკლული?

— შენ კი არა, ჩიტოშვილი ილო... ასეა აქ აღნიშნული!

— გამაგიჟებს ეს კაცი! — აგერაც დარეტიანდება, ისე შემოგვაჩერდა ილო. — ხალხო, გაიგონეთ რა მითხრა? მე მოკლული ვარ?!

მეგობრის დასახმარებლად სინომ ჯერ მოიბოდიშა ზემდეგის წინაშე და მერე დაიწყო იმის მტკიცება, რომ სწორედ ეს კაცია ილო ჩიტოშვილი, რომ ის არ მოუკლავთ, ნამდვილად ცოცხალია, ორი საათის წინ ერთად ჭამეს პური, რომ, საერთოდ, ათასეულში არავინ მოკლულა, ვინაიდან ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღიათ. ილო რომ მოკლული ყოფილიყო, აქ ვერ მოვიდოდა და ვერც დაილაპარაკებდა...

კიდევ ბევრი სხვა დამაჯერებელი საბუთი აღნიშნა და მერე ჩემზე მოათითა:

— აი ამას კითხეთ, მართალს ვამბობ, თუ არა!

— ცრუ მოწმეებს ვენდო, არა? — ჩაიქირქილა ზემდეგმა.

სად იყო, სად არა, ოთახში შემოლანღალდა ჩვენი ძველი კაპტენარმუსი.

— შენ აგაშენა ღმერთმა, სულზე არ მომისწრო! — მის დანახვაზე უცბადვე გამოცოცხლდა ილო. — ამაზე უკეთესი მოწმე ვინ მოვიდოდა!

ილომ მოკლედ უამბო, რა დავა ჰქონდა ზემდეგთან.

— ჰო და, აი, გააგებინე ვინცა ვარ!

კაპტენარმუსმა ზემდეგს გადახედა და, რატომღაც, ოთახიდან გასვლა დააპირა.

— დაიცა, ადამიანო! — გზა გადაუჭრა ილომ. — ჯერ თქვი და მერე მიბრძანდი საცა გენებოს!

კაპტენარმუსი ჩუმად იდგა.

— რას დადუმდი? — თვალები აენთო ილოს. — ველარ მცნობ?

ზემდეგი მიხვდა, რატომ დუმდა კაპტენარმუსი და თამამად შეეკითხა:

— იცნობ ამ კაცს?

კაპტენარმუსი წამიერად შეყოყმანდა და ჩაილუღლუღა:

— პირველად ვხედავ...

— ჰო და, მაშ წადი ახლა! — ზემდეგმა გასასვლელისკენ მიუთითა ილოს და მერე მწყრალად მოგვმართა მე და სინოს: — თქვენც გამეცალეთ და წაიყვანეთ ეგ მაიმუნის ნაშიერი!

თვალის დახამხამება ვერ მოვასწარით, გაცოფებული ილო, სიტყვა რომ ყელში გაეჩხირა, წვდა ზემდეგს გიმნასტურაში, დათრევა მოუნდომა და, ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ამბავი, სინოს რომ არ ემარჯვნა.

— მოითმინე, ილოს ჭირიმე, მოითმინე! — ძლივს ხელში იჭერდა გაფთრებულს, — ისეც მორიგებით აჯობებს, ისევ მორიგებით!

— ღმერთი იწამე, მიმიშვი! — შფოთავდა ილო და ცდილობდა თავი დაეხსნა სინოს მარწუხებიდან. — სხვა არაფერი მინდა, ერთი წამით მიმიშვი! ერთი წამით, თათრის ლავაშივით გავაბრტყელო ეგ არაკაცი, ეგა!

სინო განძრევის საშუალებას არ აძლევდა.

— მონათლული არ ყოფილხარ, მირონი არ გცხებია? ფულს ჯანდაბა, თავში უხლია, ჩემს მშობელს მაიმუნს რად ეძახი! — ბრაზისგან აგერაც ატირდებოდა ილო და ზემდეგისკენ მიიწევდა. — ჩემ დედ-მამას რად მილანძღავ, შე ხოლერის ბაცილავ შენა! თუ გინებაზე წავიდა საქმე, შენ მაჯობებ ამაში, შე ქოფაკის [illegible] გამოწეკილო, შენა! შე ხელგაწვდილო მათხოვარო, შე ბრმების ლხინო, შენა! ახლავე მომეცი რაც მერგება, თორემ ვის უფრო ადრე შეიტანენ მოკლულთა სიაში, იმასაც ვნახავ! არ გეყოთ, გეცოტავათ შენ და შენ ძმობილს, რაც მაგ სიაში მოკალით? თქვენ გგონიათ, ქვეყანა ჩალითაა დახურული, ვერავისთან მივალ და თქვენს ცუღლუტობას ვერ გავამჟღავნებ?

— მოიშორე თავიდან, მიაშავე! — უეცრად ხმა ამოიღო კაპტენარმუსმა, რომელსაც გვერდიდან არ იცილებდა დაფრთხალი ზემდეგი. — რა შარიანია, არ იცი. შარშან, ცხრაასოცში, ავლაბრის ყაზარმებში რომ ვიდექით, მაგან ისეთ დავიდარაბას გადამკიდა რაღაც ძველი ფეხსაცმელების გამო, ძლივს გადავრჩი...

— ოჰო, მოგაგონდი? — სიმწრისაგან სახე დაელრიცა ილოს, — მაშ, თურმე გახსოვარ, ვაჟბატონო?

ზემდეგმა უკმაყოფილოდ შეავლო თვალი თავის ხელქვეითს. კაპტენარმუსმა მხოლოდ ახლა მოისაზრა, რომ უმუხთლა და თავის გასამართლებლად ჩაიდუდუნა:

— არ ვიცოდი, თუ აქამდე ჩამოიყვანეს, თორემ... უნდა მისცე, მეტი რა გზაა...

— არა! — შეჰყვირა და მაგიდას მუშტი დაახალა ზემდეგმა. — საბუთი მომიტანოს, რომ ნამდვილად ჩიტოშვილია და ცოცხალია! მონახოს ასეულის უფროსი და მან დაადასტუროს!

ბევრი ვეჩიჩინეთ ილოს დათანხმებულიყო ამაზე. დავპირდით, რომ დღეს თუ ხვალ სადმე მივაკვლევდით ყოფილ კაპიტანს და მოვაგვარებდით საქმეს. ილო მაინც უარზე იდგა და იძახდა, მიმიშვით, მე თვითონ გავუსწორდები ორთავესო. მაგრამ სინო ხელს არ უშვებდა და განძრევის საშუალებას არ აძლევდა.

ზემდეგმა და კაპტენარმუსმა ისარგებლეს იმით, რომ ილოსთან ლაპარაკით გართული ვიყავით და ისე გაიპარნენ, არ შეგვიმჩნევია. მეტი რა ძალა იყო და, ჩვენც დავტოვეთ იქაურობა.

მთელი გზა ოხრავდა და ბორგავდა ილო. ისე მოაბიჯებდა, თითქოს ბრმა მარტოდ მიდისო ქუჩაში.

— არა, მართალი მითხარით, ძმებო! იქნებ ნამდვილად მოკლული ვარ და ტყუილად ვეჩხუბე იმ კაცს? ჰო, მაგრამ ეს ხომ სახლია? —არც თუ სავსებით დარწმუნებულმა ახედ-დახედა ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ შენობებს და მერე გარემოს მიმოავლო თვალი: — აი ეგერ ზღვა ჩანს, მაგნოლიის ხეები... ასე არ არის? ჰო და, თქვით, ძმებო, მკვდარი კაცი დაინახავდა?!

— ვერა, ვერ დაინახავდა... — უმოწმებდა სინო. — მკვდარ კაცს აღარც თვალი უჭრის, აღარც სმენა აქვს და არც ლაპარაკი შეუძლია...

ცოტათი გულზე მოეშვა ილოს მხოლოდ მაშინ, როცა ზღვისპირი ჩავათავეთ და ბაზარი მიმოვიარეთ. ფარდულებში ახლა მეტი გამყიდველი იდგა. იმდენი საჭმელი და დასალევიც ვიყიდეთ, იქნებ საჭიროც არ იყო. მაგრამ ოღონდ კი ილო დაგვემშვიდებინა და გვესიამოვნებინა, თავი არ დავზოგეთ. ბოლოს და ბოლოს, თუ იმ არამზადა ზემდეგის ჯიუტობას ვერ გავტეხდით, მე და სინოს, ხომ, ჯერ კიდევ გვქონდა ფული და ილოს, აბა, როგორ დავამადლიდით რაიმეს!

1970 წ.



მთელი ქართველი ხალხი, ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობა ღრმა გულისტკივილით გამოეთხოვა ალიო მირცხულავას — რევოლუციის სახელოვან პოეტს, ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ ფუძემდებელს, სიტყვის შესანიშნავ ოსტატს, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე მხარში ედგა გამარჯვებულ ქართველ ხალხს ლხინშიცა და განსაცდელშიც, უმღეროდა მის გმირულ შრომასა და ბრძოლას ნათელი სამყაროს, კომუნიზმის დასამკვიდრებლად.

მომავლის ისტორიკოსი ალიო მირცხულავას სახელს მუდამ მოიხსენიებს მათ სახელებს შორის, ვინც დააფუძნა, განამტკიცა და განავითარა ახალი ქართული საბჭოთა ლიტერატურა.

ეს იყო არა მარტო დიდი პოეტი, არამედ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეც — წლების მანძილზე სათავეში ედგა საქართველოს მწერალთა კავშირს, იყო „მნათობის“ მთავარი რედაქტორი, წიგნის პალატის დირექტორი... სამოციანი წლების დასაწყისში იგი რედაქტორობდა ჩვენს ჟურნალ „დროშას“ და ჩვენ, ამ ჟურნალის თანამშრომლებს არასოდეს დაგვავიწყდება ეს წყნარი, კეთილშობილი, გულისხმიერი ადამიანი, საქმისადმი მუდამ ერთგული და პრინციპული, ადამიანებთან დამოკიდებულებაში — გულთბილი, დამხმარე, მოყვარული, გამამხნევებელი. როცა ის სხვა სამუშაოზე გადავიდა, მაინც ხშირი, სასურველი სტუმარი და უახლოესი თანამშრომელი იყო ჩვენი ჟურნალისა და ეს ჩვენთვის მუდამ საამაყოდ დარჩება.

ალიო დღეს აღარ არის ჩვენთან, მაგრამ მუდამ ცოცხალი იქნება მისი მღელვარე სიტყვა, მისი შესანიშნავი ლექსი, მისი მგზნებარე პოეზია, რომელმაც ესოდენ მკაფიოდ და ნათლად გამოხატა ქართველი ხალხის ყველაზე უგულითადესი მისწრაფებანი.

ჟურნალ „დროშის“ რედაქცია

# სამშობლოს მადიდებელი

ჩვენმა მწერლობამ დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა — წაიქცა ახალი ქართული პოეზიის ერთ-ერთი ბურჯი, გარდაიცვალა ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ალიო მირცხულავა.

ახალგაზრდობიდან მოყოლებული, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, ალიო მირცხულავა შთაგონებით უმღეროდა სამშობლოს და ეს სიმღერა მას არ შეუწყვეტია იმ ტრაგიკულ წუთამდე, როცა იგი თავისი საყვარელი ლექსის კითხვისას დაეცა.

ალიო მირცხულავამ მარტო თავისი შემოქმედება კი არა, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მშობელი ხალხის ერთგულ სამსახურს მიუძღვნა; იგი იყო ახალი საბჭოთა საქართველოს ენთუზიასტი-მშენებელი და მისი დიდებისა და გამარჯვების მომღერალი, მგზნებარე პატრიოტი, თავდადებული მოქალაქე.

პოეტი ლამაზი ფერებით ხატავდა სამშობლოს მთასა და ბარს, მისი ცისა და მიწის განუმეორებელ მშვენიერებას. იგი ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და ბედნიერების პოეტურ მატიანეს წერდა და ხალხთა ძმობისა და მეგობრობის საგალობლებით ამდიდრებდა ჩვენს პოეზიას. და როცა ჩვენს ქვეყანას თავს დაესხა ფაშისტური გერმანია, ალიო მირცხულავას პოეზია მტრისადმი შეურიგებელი ზიზღითა და მძულვარებით განიმსჭვალა. იმ მრისხანე დღეებში ალიო მირცხულავას ლექსები ფრონტისა და ზურგის მებრძოლებს მტერზე გამარჯვების რწმენას შთააგონებდნენ და სამშობლოსათვის თავგანწირვის ცეცხლით აღაგზნებდნენ.

პოეტის ხალასი ნიჭი, მისი ლექსის ლაღი ბუნებრიობა და მელოდიურობა ადვილად უკვლევდნენ მათ გზას მკითხველთა ფართო მასებისაკენ და გამოქვეყნებისთანავე ხალხის საკუთრებად ხდებოდნენ. ამ მხრივაც ალიო ერთ-ერთი უბედნიერეს პოეტთაგანი იყო; მან სიცოცხლეშივე უხვად მიიღო ხალხის აღიარება და დაფასება, ეს დიდი სახალხო სიყვარული, რომელზედაც ყველა მწერალი ოცნებობდა და ოცნებობს.

ჭეშმარიტი პოეტი მუდამ კეთილშობილი ადამიანიც არის და ალიო მირცხულავა ამ მხრივაც სამაგალითო იყო. იგი ჩვენი გულისხმიერი და კეთილისმსურველი მეგობარი, ახალგაზრდობის მოამაგე და სხვათა გამარჯვებით გულწრფელად გახარებული უანგარო ადამიანი იყო.

ალიო მირცხულავას პოეზია, მისი პიროვნება არასოდეს არ იქნება დავიწყებული, იგი ჩვენი ხალხის სულიერ თანამგზავრად, მისი ბედნიერების მომღერლად დარჩება მრავალი თაობის ფიქრსა და ხსოვნაში.

გრიგოლ აბაშიძე

ისაკ ქორთუა

## თეთრი ვერხვი

კლდეზე ვდგავარ თეთრი ვერხვი...
ალიო მირცხულავა

მოტყდა ჩვენი თეთრი ვერხვი,
მეხმა უმტრო ადრიანად...
ხორგაც, — მისი ნააკვნარი
ადრე დაადარდიანა.
მოტყდა ჩვენი თეთრი ვერხვი,
თეთრი ფრთების შრიალითა...
სიჭაბუკე, გულის ეშხი
სულ სიმღერას შეალია.
მოტყდა ჩვენი თეთრი ვერხვი
და მტრედებიც ლონდებიან...
ღუღუნი თუ კვლავაც გვესმის,
მისი მწვანე ტოტებია.
მოტყდა ჩვენი თეთრი ვერხვი —
ვერ შრიალებს უთენია...
მას რამდენი თეთრი ღამე
სანთელივით უთევია,
საქართველოს სიყვარული
სიმღერებად უქცევია,
ღრმად გაუდგამს დედაფესვი,
მხოლოდ მზისთვის უმზერია...
ფიქრებისგან დანავერცხლი
აიტაცა ცაში ლექსმა...
მოტყდა ჩვენი თეთრი ვერხვი,
და თბილისმა დაიკვნესა...

მოტყდა ერთი თეთრი ვერხვი...



ალიო მირცხულავა „დროშის“ რედაქციაში
(1960 წ.)

# ვისია ლექსი

„ტყეებს ნუ სჩეხავ, ძმობილო!"

ვისაც ქართული პოეზია უყვარს, არ შეიძლება არ მოიხიბლოს მშვენიერი ხალხური ლექსით — „ტყეებს ნუ სჩეხავ, ძმობილო", ხოლო, როცა ამ ლექსის ტექსტზე მუსიკაც დაიწერა, იგი საყოველთაოდ პოპულარული გახდა საქართველოში.

საინტერესოა, ვინ იყო ამ ლექსის თავდაპირველი ავტორი? პერიოდულ პრესაში თუ სხვა გამოცემებში, მის შექმნას სხვადასხვა ავტორს მიაწერენ. ასე, მაგალითად ,1938 წელს ეს ლექსი აპ. მახარაძეს ჩაუწერია სოფელ იყალთოში ს. მაკარაშვილისაგან; 1965 წელს გამოცემულ „ხალხური სიბრძნის" მეოთხე ტომში კი ავტორად დასახელებულია მარტყოფელი ს. ახალკაციშვილი, რომლისგანაც ლექსი უ. ცინდელიანს ჩაუწერია 1961 წელს. გაზეთ „სოფლის ცხოვრების" 1971 წლის 28 აგვისტოს ნომერში მოთავსებულია ცნობა, რომლის ავტორიც ნ. ჩოკოლაშვილი ამტკიცებს, რომ ეს ლექსი პირველად დაუწერია 1931 წელს თიანეთის რაიონის სოფელ ჯიჯეთის მცხოვრებ ნიკო მოკვერიშვილსა და იმავე წელს გამოუქვეყნებია ზარიძეების სასოფლო საბჭოს კედლის გაზეთში.

მაგრამ ამ ლექსის ავტორად არ შეიძლება ჩაითვალოს არც ს. მაკარაშვილი, არც ს. ახალკაციშვილი და არც ნ. მოკვერიშვილი; მისი ავტორია თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ხოპისის მცხოვრები ვასო აფციაური.

პირველად ეს ლექსი ვასო აფციაურის ხელმოწერით დაიბეჭდა 1926 წელს ჟურნალ „ახალი სოფლის" მე-4 ნომერში, შემდეგ — საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ კრებულში — „ტყის დღე". 1952 წელს გამოქვეყნდა თეთრიწყაროს რაიონულ გაზეთ „საკოლმეურნეო გზაში", 1955 წელს — „ლიტერატურულ გაზეთში". ეს ლექსი, ვ. აფციაურის სხვა ხელნაწერებთან ერთად, დაცულია გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმის ფონდებში.

საინტერესოა ამ ლექსის ავტორის ვინაობაც: ვასო (ბასილ) შიოს-ძე აფციაური დაიბადა 1869 წელს, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ნამტვრიანში; ბავშვობა მან მწყემსობაში გაატარა. დიდ ქართველ პოეტს ვაჟა-ფშაველას იგი თონეთის სკოლაში წაუყვანია, წერა-კითხვა უსწავლებია და ქართული ლექსიც შეუყვარებია. გასული საუკუნის დამლევს მან ტყის მცველად დაიწყო მუშაობა მაიორ თარხნიშვილთან მანგლისში, შემდეგ კი თეთრწყაროში; საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც უკვე ხანში შესულ აფციაურს არ მიუტოვებია საყვარელი საქმიანობა და ერთგულად ემსახურებოდა ტყეების დაცვა-გაშენებას.

პირველი რევოლუციის წლებში ვასო აფციაური გაეცნო და დაუმეგობრდა სახალხო გმირს არსენა ჯორჯიაშვილს. არსენა მას პროკლამაციებს აძლევდა, ხოლო ვასო აფციაური გლეხობაში ავრცელებდა, ამის გამო იგი ერთხანს დაპატიმრებულიც იყო.

ბუნების ულრმესმა სიყვარულმა, დიდ ვაჟასთან სიახლოვემ ხელი შეუწყო მისი პოეტური ნიჭის გაშლას; ტყის მეგობარი და მოსიყვარულე, ბუნების დიდი მოტრფიალე, კარგი მონადირე და მოლექსე, ვასო აფციაური სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა ხალხში. იგი 50 წელი ემსახურა ტყეს. საბჭოთა მთავრობამ სათანადოდ დააფასა მისი ღვაწლი და პერსონალური პენსია დაუნიშნა.

ვასო აფციაური გარდაიცვალა 1955 წლის 24 მაისს, 86 წლის ასაკში. მან ბევრი საინტერესო მოგონება დაგვიტოვა ვაჟა-ფშაველას, არსენა ჯორჯიაშვილისა და გიორგი ლეონიძის შესახებ.

ვაქვეყნებთ ამ ლექსს იმ სახით, როგორც იგი დაიბეჭდა პირველად, 1926 წელს ჟურნალ „ახალ სოფელში":

### ვასო აფციაური

#### ნუ სჩეხავ ტყესა

ტყეებს ნუ სჩეხავ, ძმობილო,
მთა გატიტვლდება, ბრალია,
ია და ვარდი დაზრება,
ფესვებს მოუთხრის ქარია.
ტყე შეუნახე შვილებსა,
მამა ხარ, შენი ვალია,
თორემ ჩამორეცხს ავდარი,
კლდე-ღა დარჩება სალია.
მთის ცივი წყარო დაშრება,
ყანას მოგიჭამს კალია;
ვეღარც იშოვი ხე-ტყესა,
გამოგეთხრება თვალია,
დაგლუპავს, დაგანიავებს
ძლიერი ზენა ქარია.
ტყეს გაუფრთხილდი, ძმობილო,
ტყე მუდამ შენი ფარია,
მას ნუ ექცევი მტრულადა,
მოყვრულად მოიხმარია,
შვილების ცოდვას ნუ იდებ,
გამოახილე თვალია.

ასეთია ამ ერთი მშვენიერი ლექსის თავგადასავალი.

სერგო გიგაური,
ჟურნალისტი.

## ლექსები

### ოთარ კუპრავა

#### ითხვისის ცაცხვი

მილიონ ცაცხვში გამახსენდება
ერთი ბებერი ცაცხვი ითხვისის,
დღემდე მოსული რაღაც ლეგენდად,
ამაღლებული მგოსნის სიტყვისთვის.

ცაცხვთან ქვევრები და ქვის მაგიდა,
და გაქვავებული ძველშავით ხაპი...
ცაცხვის ჩეროში უცებ აგრილდა,
განდევნილია ივლისის ხვატი.

ამ ცაცხვთან ლექსში ვერვინ გაგვიძლებს,
ლექსს არ უხდება ღვინით ხუმრობა...
და უხარიათ ძვირფას მასპინძლებს
თორმეტი მგოსნის ერთად სტუმრობა.

გაღებულია წერეთლის ეზო
და ახდილია ქვერი ნისლების...
ლექსს ხანჯალივით შიგ გულში გვასობს
მოკაფიავე ძმა ითხვისელი.

ლექსი ცაცხვს თითქო მკვრივ ტოტებს ურხევს,
ხან ხევსურული, ხანაც ფშავური...
მთებიც უუჩობენ, რომ დაიქუხებს
„ხევსურთა ლხინით" ჯაბუშანური.

არის ხორხოცი სიტყვის მოსწრებით,
ღვინის შხეფები ხშირ ფოთლებს წინწკლავს.
ჯამებით სვამენ ღვინოს მგოსნები
და ლუკმად თითზე იხვევენ წიწმატს.

ერთად თორმეტი ვერვინ დატორა,
მჭიდებს ირტყამენ ვაჟები გულზე,
მაგრამ
რომ სჭექა ცაცხვის პატრონმა,
ყველა ჯიბეში ჩაისვა უცებ...

...ჩვენ რუსთაველის მიწაზე ვსახლობთ,
ყველა ჩვენ-ჩვენი ლექსის მეზვრე ვართ...
და დათვის ტორის მოხვედრად მახსოვს,
როგორ დაგვჭაბნა იმ მხვნელ-მთესველმა.

შენ იქნებ კარგად ფლობ ლექსის ერქვანს,
ბრძენ მელექსეთა ხვედრს იზიარებ,
მაგრამ, მგოსნებში თუნდ ვეფხვი გერქვას,
ქართველ გლეხებში ფრთხილად იარე...

მილიონ ცაცხვში გამახსენდება
ის უხუცესი ცაცხვი ითხვისის,
დღემდე მოსული რაღაც ლეგენდად,
ამაღლებული ფრთიან სიტყვისთვის...

#### ჩემი სათიბი

ადამის შვილებს გვყავდა პრომეთე,
პრომეთეს ცეცხლით კვლა გვინთია...
მაგრამ მე მყავდა კიდევ მინდია...
და ვეჯიბრები ამაყ პოეტებს.

მე ასალები მაქვს ის ჭიუხი, —
ჩემს გარდა ქვეყნად არავინ იცის...
ვარ მე ნაწილი მშობელი მიწის,
დამძიმებული ფიქრთა სიუხვით.

მოზომილი მაქვს ჩემი სათიბი,
ჩემი ვენახიც — შემომესრილი...
ციცნათელებად შემომესიენ
გარდაცვლილ ძმათა ხატის სანთლები.

ჩემად ვიგულე მათი ჭაპანიც,
უნდა როგორმე გავიდე ბოლოს.
არა ვყოფილვარ ჭირში ჯაბანი
და მათი სული ჩემს სულში ბოლავს.

ცეცხლის ნაპერწკალს მაწვდის პრომეთე,
ხმას მიფოლადებს დასაქუხებლად,
მე ჩამუხლების არ მაქვს უფლება
და ვეჯიბრები ამაყ პოეტებს.

მერი ფიჩხაძე

# დ ე დ ა

მ ი ნ ი ა ტ უ რ ა

ორი კვირაა, რაც ზეინაბი ინსტიტუტში დადის. უკვე მიეჩვია ამხანაგებს. მაგრამ დღეს ძალიან ღელავს, შეხვედრას უწყობენ თავიანთ ლექტორ-მასწავლებლებს, ზეინაბმა კი სიტყვა უნდა წარმოთქვას.

დედა მაინც იყოს აქ, გაამხნევებდა, შეაგულიანებდა.

ეძნელება ამდენი ხალხის წინაშე გამოსვლა.

ტროლეიბუსს ბევრი ხალხი ელოდა. ისევ ფეხით არჩია წასვლა.

ქუჩები სავსეა, ზოგი სასეირნოდ გამოსულა, ზოგიც საქმეზე მიიჩქარის. ზეინაბიც ჩქარობს და თითქმის სირბილით მიდის, ისევ დედის სახე უდგას თვალწინ.

თითქოს ყურში ჩაესმის: „იცოდე, შვილო, ქალაქი დიდია, უნდა მიეჩვიო უჩემოდ ყოფნას".

უცებ რაღაც ბოროტმა ხმამ ჩასძახა: „არ არის ის დედაშენი, არა, არა, რით ვერ გაიგე".

უცებ შესძულდა ყველაფერი, მოდუნდა, ხალისი დაკარგა.

თვალებში ცრემლი მოადგა. ო, როგორ უნდა ტირილი, იტირებდა, ეს ზღვა ხალხი რომ არა!

... მეექვსე კლასში იყო მაშინ ზეინაბი... დედა მასზე ადრე წავიდა სკოლაში, მაშინ ლიტერატურას ასწავლიდა და პირველი გაკვეთილები მისი იყო; ზეინაბმა ის იყო გამოაღო კარი, როცა ჩასაფრებულივით დაუხვდა მეზობლის ქალი, ბიცოლა კატო. ეს ქალი ლანდივით დასდევდა ზეინაბს, ვერ ხვდებოდა ბავშვი რა უნდოდა მისგან. ზეინაბს ეშინოდა კიდეც მისი, უცნაური თვალები ჰქონდა ბიცოლა კატოს, უკითხავად სულში რომ გიძვრებიან. ასეთი თვალები აქვს ალბათ სანადიროდ გამოსულ მელას. ეშინოდა მისი, თუმცა ბიცოლა კატო სულ ეფერებოდა, ახლაც წასწვდა გოგონას, აკოცა და ჩასჩურჩულა:

— როგორ მეცოდები, ობოლო, დატანჯულო!

ვერაფერი ვერ გაიგო ზეინაბმა, რატომ არის ობოლი, დედაც ჰყავს და მამაც. ან რა აქვს შესაცოდებელი, ვერაფერი გაიგო, მაინც თავზარი დაეცა. გაიქცა სკოლისაკენ, შევარდა სამასწავლებლოში და აბღავლებული ჩაეკრა მკერდში ქალს, რომელიც ყველაზე ძალიან უყვარდა მთელ ქვეყანაზე.

— რა იყო, გოგო, რა დაგემართა, შვილო!

ზეინაბს ცრემლები ახრჩობდა, დედამ შინ წაიყვანა. ჰკითხა ტირილის მიზეზი.

— შენი დედა ვარ, შენი, შვილო, აბა ვისი?

გაახსენდა ზეინაბს — აი, ის პაწია გოგოა, კოხტად გამოაწყო დედამ და პირველად წაიყვანა საბავშვო ბაღში, როგორ დაჰკანკალებდა თავს, გენაცვალოს დედა, ჩემო ლამაზო გოგო, არ წაიქცე, არაფერი იტკინოო!

ასე იყო მეექვსე კლასამდე. ახლა კი მთელი ცხოვრება უკულმა დაუტრიალა მეზობლის შხამიანმა სიტყვამ.

მეორე დღესაც იგივე ჩასჩურჩულა მეზობლის ქალმა.

... მიაბიჯებს ახლა ზეინაბი ქალაქის ქუჩებში და ისევ მეზობლის სიტყვები ჩასწივის ყურში — ეგ დედაშენი არ არისო!

— ზეინაბი მოდის, ზეინაბი! — თანაკურსელები ყიჟინით შეეგებნენ.

სახეგაბრწყინებული მიეგება ამხანაგებს, ყველამ სააქტო დარბაზისაკენ გასწია. სცენა განათებული იყო და ყვავილებით მორთული.

მასაც უნდა წარმოეთქვა სიტყვა. ფიქრებში გართულმა ვერც კი გაიგონა როგორ გამოაცხადეს მისი გვარი და სახელი, მერე ვიღაცის ხმაც გაიგონა: „ზეინაბ, ახლა შენი რიგიაო".

როგორ გაჩნდა სცენაზე, არ ახსოვს. შორს, დარბაზის ბოლოს, დედას მოჰკრა თვალი. გაუბრწყინდა სახე, აღელვებულმა კიდევ უფრო ბეჯითად გაიხედა იმ მხარეს, ხომ არ მეჩვენებაო. — არა, ნამდვილად დედა იყო, საყვარელი დედა.

ლაპარაკობს ზეინაბი დედაზე, მასზე, ვინც ზრდის ყველას, ყველა პატარას. ალბათ, ძალიან მოეწონათ მისი სიტყვა. აღარ თავდება ტაში.

კულისებში ამხანაგები შემოეხვივნენ, დედაც აქეთ წამოსულა. შენ გენაცვალე, ჩემო სიხარულო! — მკერდში იკრავს დედა.

დედა-შვილი ნელი ნაბიჯებით მიდიან განათებულ ქუჩაში.

— როგორი ბედნიერი ვარ, უკვე დიდი მყავხარ, როგორ კარგად ილაპარაკე, შვილო!

აი, ჰიშკარიც. აქ ცხოვრობს ზეინაბი.

აივნიდან ხელისგულივით მოჩანს ელნათურებით გაჩირაღდნებული ქალაქი.

დედა-შვილი დიდხანს უსიტყვოდ გასცქერიან ქალაქს.

## და გროვდებოდეს

მე მინდა ბაღი არა ისეთი,
შენ რომ ახარე,
შენ რომ დაჰხარი...
ვარდ-ყვავილებში გასალექსავებს,
ორ ქალს დაჰქონდეს ორი სამხარი.

ჩემი სათიბი შენსას არ ჰგავდეს,
ჩემი მინდორი — შენეულ მინდორს,
მზე ზრდიდეს ჩემი ბაღის ნარგავებს,
შენს ნარგავებსაც მზე ჩაემკვიდროს.

ჩვენ ჩვენებურად ვხარჯავდეთ წამებს,
თითოს ჩვენ-ჩვენი გვყავდეს გუგული.
მე — ჩემი ცეცხლის გუგუნი მწვავდეს,
შენ — შენი ცეცხლის გწვავდეს გუგუნი.

შენს ბაღში მწიფდეს თურაშაული,
წითელი ვაშლი ჩემს ბაღშიც მწიფდეს.
ჩრდილს შევხვდე, შენს ბაღს როცა ჩავუვლი,
ჩრდილი შენთვისაც ჰქონდეს ჩემს წიფელს.

ერთმანეთს შევხვდეთ მუდამ ღიმილით,
ოღონდ თავს ვისმე შევაყვარებდეთ!..
მე მახარებდეს შენი ღიღინი,
ჩემი ღიღინი შენ გახარებდეს..

შენ იყო შენი სასახლის მეფე,
მე სხვა სასახლე მედგას, ლამაზი,
შენს კართან შენი ნაგაზი ჰყეფდეს,
ჩემს კართან ჰყეფდეს ჩემი ნაგაზი.

შენ დარახტული გყავდეს ქურანი,
ჩემი ქურანიც ლაგამსა ხრავდეს,
ორივემ ერთად გადავუქროლოთ
საწუთროების უფსკერო ხრამებს.

შენ სიყვარულის ყადრი იცოდე,
მეც სიყვარულით ვიყო უძლები.
ერთ დიდ ბუხარში ერთად იწვოდეს
მუხის კუნძები,
წიფლის კუნძები.

უხვად ისხამდეს ვენახი შენთან,
ჩემი ვენახიც იდგეს ძალაში...
და გროვდებოდეს ბადაგი ერთად
ქვეყნიერების უძლებ მარანში...

მე მინდა ბაღი არა ისეთი,
შენ რომ ახარე,
შენ რომ დაჰხარი...
მთის ყვავილებში გასალექსავებს,
ორ ქალს დაჰქონდეს ორი სამხარი...

რასულ გამზათოვი

## ს ი ტ ყ ვ ა

— შიმშილის ჟამს, ძმაო, შენ რას ითხოვ, მითხარ?
— შენაყრება მინდა... მკლავს სურვილი მწველი...
— რაზე ფიქრობ სუსხში, უსახლკაროს გკითხავ?
— თავშესაფარს ვნატრობ... მინდა მქონდეს ჭერი...
— რა საწადელს ელტვი, გეკითხები მწყურვალს?
— ჰიქა წყალი არის ჩემი საწადელი...
— რა დაგიცხრობს, კაცო, შენ, ტკივილს და ურვას?
— სანუგეშო სიტყვა... სიტყვა სანატრელი.

* * *

— დილიდანვე რად მიუჩდით ჩიორებო?
— წვიმს და გვიხმო საოცნებოდ მწვანე მუხამ...
— პოეტებო, თქვენ რატომღა განაბულხართ!
— გვინდა ახლა რომ ჩვენც ჩუმად ვიოცნებოთ...

თარგმნა რამაზ ბარკალაიამ



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხატვარი და რევოლუცია

1951 წელი... ოპერის თეატრის გაჩირაღდნებული დარბაზი. აუდიტორიაში ტევა აღარ არის. საზეიმოდ, ნელ-ნელა ადის ზევით ფარდა. მთელი სცენა სავსეა ქართული კულტურის ოსტატებით, მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრებით; წინა პლანზე, სავარძელში ზის მხცოვანი მხატვარი მოსე თოიძე. ხალხი მისი დაბადების 80 წლისთავსა ზეიმობს.

მოსე თოიძე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდა ქართული მხატვრობის წინსვლისა და გამარჯვებისათვის. სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილმა წევრმა, პროფესორმა მოსე თოიძემ დიდი ღვაწლი და ამაგი დასდო მთელს ჩვენს კულტურას.

თოიძემ ამ სახელსა და დიდებას მიაღწია არა ერთბაშად. მან განვლო ცხოვრების დიდი და მძიმე გზა. ახლაც დგას ჩუღურეთში ის სახლი, სადაც იგი დაიბადა; შემდეგ მოსე სწავლობდა რკინიგზის სახელოსნო სკოლაში. დღემდე შემონახულია თოიძის მიერ ამ სკოლაში გამოცემული და გაფორმებული ხელნაწერი ჟურნალი „ანკარა“. ყდაზე დახატულია გრდემლთან მდგომი მუშა და იქვეა მიწერილი მხატვრის მიერ შეთხზული ლექსი:

**მუშის გული, ჭირნახული**  
**ჯერ ვერ დაღრღნა ისე ჟანგმა,**  
**რომ იგი ვერ აალღვოს**  
**ხელოვნების უკვდავ ჰანგმა.**

სახელოსნო სკოლაში ყოფნისას გაეცნო მოსე იმ დროის საზოგადო მოღვაწეებს: ძმებს ჩიტაძეებს, ცნობილ ისტორიკოსსა და გამომცემელს ზაქარია ჭიჭინაძეს, ხალხოსან მწერალს ანტონ ფურცელაძეს, ახალგაზრდა მაქსიმ გორკის. ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ ე. წ. „კვირაცხოვლის კომუნის“ სხდომებზე.

1893-1895 წლებში თოიძე, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კაცი, თანამშრომლობას იწყებს „კვალში“. ამ ჟურნალის სათაური მან დახატა, ამავე წლებშივე შეასრულა ხალხში ფართოდ გავრცელებული ლიტოგრაფიული პორტრეტები ქართველი მწერლებისა (შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალ. ყაზბეგი, ეგ. ნინოშვილი, რაფ. ერისთავი).

იმავე ხანებში მოსე პეტერბურგს მიემგზავრება სამხატვრო აკადემიაში შესასვლელად.

პეტერბურგში ჩასული თბილისელი ახალგაზრდა მხატვარი მეცადინეობას იწყებს რეპინის სახელოსნოში. თოიძე აქ პირველ ხანებში აკეთებს ასლებს რეპინის სურათებიდან: „იოანე მრისხანე და მისი შვილი“, „ზაპოროჟელები წერილს წერენ სულთანს“. ამ სახელოსნოში, რეპინმა თავის სურათში „განვედ ჩემგან, სატანავ“ მოსე თოიძის სახის მიხედვით ჩაწერა მაცხოვრის სახე. აკადემიაში, რეპინის კლასში, მალიავინის ჯგუფში შეასრულა მოსემ ფერწერული ეტიუდები: „რუსი გლეხი“, „მოხუცის პორტრეტი“, „თანაკურსელი“.

აქვე, პეტერბურგის აკადემიაში მოსე თოიძე ხატავს ეტიუდებს თავის სადიპლომო სურათისათვის „მცხეთობა“. „მცხეთობა“ ახალი ქართული მხატვრობის დიდი გამარჯვება იყო. სურათზე გამოსახულია ხალხმრავალი დღეობა სვეტიცხოვლის ეზოში. ეს იყო დიდი ეპიკური ქმნილება, რომელიც ასახავდა კოლორიტულ ქართულ ხასიათებს.

მოსე თოიძე, როგორც პეტერბურგის სტუდენტთა გაფიცვის მონაწილე, აკადემიიდან გარიცხეს და თბილისში ეტაპით გადმოგზავნეს.

1901 წელი... მუშტაიდის ბაღში, სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მოეწყო. ამ გამოფენაზეა თოიძის „მცხეთობა“; სურათმა ყურადღება მიიქცია თავისი კოლორიტით, პერსონაჟთა დახასიათების კონტრასტულობით და კომპოზიციური გადაწყვეტით. მაშინ მას ოქროს მედალი მიენიჭა.

სამშობლოში ჩამოსულ მხატვარს მეფის მოხელეები კვლავ სდევნიან და ავიწროებენ. იგი ცხოვრობს ისევ ჩუღურეთში, თავისუფალ დროს დადის და ხატავს თბილისის უბნებს, უფლისციხეს, ქუთაისის თეთრსა და წითელ ხიდებს, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს. იმავე ხანებში შეასრულა მან სურათი მრეცხავი ქალების ცხოვრებიდან; მხატვრის ტილოები ასახავენ საქართველოს ყოფას; ქართული ფერწერა მოსეს აჰყავს იმ დონეზე, რომელზეც იდგა მაშინ რუსული და ევროპული ფერწერა.

მოსე თოიძეს ტილოზე გადააქვს თბილისელი მდაბიო მოქალაქის ყოფა, ჩადის ცხინვალში და იქაურ ღარიბ ებრაელს ხატავს. საქართველოში იგი პირველი ამკვიდრებს საპლენერო ფერწერას. მხატვრის შემოქმედების მთავარ თემას საქართველოს წარსული და აწმყო წარმოადგენს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

1915 წელი. თოიძის პერსონალური გამოფენა ქართულ კლუბში, სასახლის ქუჩაზე. ამ გამოფენას მაღალი შეფასება მისცეს დავით კაკაბაძემ, გერონტი ქიქოძემ, დავით კასრაძემ, ვახტანგ კოტეტიშვილმა, ვალერიან სიდამონ-ერისთავმა, მთელმა ქართველმა ხალხმა. გამოფენას აურაცხელი მაყურებელი მიაწყდა, დილით თუ საღამოთი ხალხი საათობით იდგა სურათებთან: მხატვრის სურათებმა — „დარბაზი“, „რევოლუცია“, „სასიძოს სტუმრობა“, „ბაზაზხანა“, „მაიდანი“, „ძველი თბილისი“, „მხატვრის ოჯახი“, „ღარიბის სახლი“, მთელმა მისმა გამოფენამ, მაყურებელს აჩვენა საოცრად პოეტური და ტემპერამენტული ფერწერა. ეს გამოფენა ცხოვრების ხილვით შთაგონებული ფერთა ნამდვილი დღესასწაული იყო.

მოსე თოიძემ აჩვენა სრულიად ახალი მიდგომა საპეიზაჟო, ჟანრული, პორტრეტული და თემატური სურათის გადაწყვეტისას. სინამდვილეს იგი ასახავს დიდი პოეტურობით, ფართო ფერწერული ასპექტით.

მ. თოიძემ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა სამხატვრო საშუალო განათლებას. მან დიდად წასწია წინ უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელში კადრების აღზრდის საქმეც — არაერთ შესანიშნავ მხატვარს გაუკაფა გზა ფართო შემოქმედებითი ასპარეზისაკენ. უჩა ჯაფარიძე, კორნელი სანაძე, სილოვან კაკაბაძე, დარეჯან ძნელაძე, სევერიან კეცხოველი, სოლომონ ვირსალაძე, სევერიან მაისაშვილი, ნიკოლოზ ჩერნიშკოვი, ტრდატ ნალბანდიანი მხატვრობის ანბანს ეზიარნენ იმ შენობაში, ჩუღურეთში, კალინინის ქუჩის დასაწყისში, სადაც 1922-1928 წწ. მოთავსებული იყო მოსე თოიძის სახალხო-სამხატვრო სტუდია.

მოსე თოიძეს გრიბოედოვის ქუჩაზე, სამხატვრო აკადემიაში ჰქონდა თავისი სახელოსნო. აქ ის კვლავ დაუღალავად ზრუნავდა ახალგაზრდა მხატვრების აღზრდა-დაოსტატებაზე. ამ სახელოსნოსთან არის დაკავშირებული სახელები მთელი რიგი მხატვრებისა (გიორგი ჯაში, შოთა მეტრეველი, გივი გულისაშვილი, ვალენტინ შერპილოვი, კოტე კიკნაძე, ეკატერინე ბაღდავაძე, გურამ გელოვანი, დ. ხოლუაშვილი, დ. გაბიტაშვილი, ლ. შენგელია და სხვ.).

მოსე თოიძე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე მხარში ამოუდგა გამარჯვებულ ხალხს. მისი ქმნილებები ზრდიან ჩვენს მაყურებელში სამშობლოს სიყვარულის უწმინდეს გრძნობას.

ამ პერიოდში შექმნილ ნაწარმოებთაგან უნდა დავასახელოთ „ქეთევან დედოფლის წამება“, „აჯანყება“, „მუზა და პოეტი“, „ზესიკი და ანა აივანზე“ და სხვ.

მოსე თოიძის შემოქმედებითი ცხოვრების ბოლო პერიოდის სურათები გამსჭვალულია სოციალისტური მშენებლობის პათოსით და მაღალი საბჭოთა პატრიოტიზმით; თოიძეს ეკუთვნის დიდი სამამულო ომის ბრძოლებისა და გამარჯვებათა ამსახველი სურათები — „წერილი ფრონტიდან“, „თბილისელი ქალები საჩუქარს უმზადებენ ფრონტს“ და „გამარჯვების სიმღერა“. ამავე ხანებში ქმნის მოსე თოიძე შესანიშნავ სურათებს: „ალექსანდრა თოიძე ეკატერინე ჭავჭავაძის როლში“ და თამარ ციციშვილის პორტრეტს.

სახალხო მხატვარმა მოსე თოიძემ, ფერმწერალმა და პედაგოგმა წარუშლელი კვალი დატოვა საბჭოთა ქართული ფერწერის ისტორიაში. მან არაერთი შესანიშნავი ქმნილება შემატა ახალი ქართული მხატვრობის საგანძურს.

მოსე თოიძემ ბრწყინვალედ დაიცვა და გააგრძელა ქართული ხელოვნების უძველესი ეროვნული ტრადიციები, მის ტილოებზე გამოიხატა დიადი ისტორიული გარდატეხა, დიდი რევოლუციური ძვრები, რომელთაც წინ, ნათელი მომავლისაკენ წაიყვანეს ჩვენი ქვეყანა.

**შალვა კვასხვაძე,**  
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



უხვი მოსავალი.



ძველი თბილისი.

# მოსე თოიძე

დარბაზი.



# გოგი ოჩიაური



მხატვრის პორტრეტი.



ნულზან-საბა ორბელიანი
(მედალიონი)

ვახტანგ გორგასალი.



ნადირობა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოგი ოჩიაური

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფალიაშვილის ძეგლის ესკიზი.



ნატურა.



# მწერლის გზა

**დემნა შენგელაიას დაბადებიდან 75 წლისთავის გამო**

დაახლოებით ამ სამოციოდე წლის წინ, თბილისის მუშათა უბანში, ნაძალადევში, იმ ადგილას, სადაც ახლა რკინიგზელთა კულტურის მშვენიერი სასახლეა აღმართული, იდგა ერთი საცოდავი ქოხი, ჩამომპლვრეული და სარაიასავით წაგრძელებული. მის ახლოს, ორმოცდაათ ნაბიჯზე, აუზის ქუჩაზე ცხოვრობდა რკინიგზის მოხელე კონსტანტინე შენგელაია, ჰყავდა ცელქი და მოუსვენარი პატარა ბიჭი, რომელიც დაბრუნდებოდა თუ არა სკოლიდან, შეჰყრიდა თავის ტოლ გოგო-ბიჭებს, მუშების ბავშვებს და ყველანი ერთად, ყიჟინით, ჟრიამულით გამოსწევდნენ სარაიის ფართო ეზოსაკენ; აქ ერთობოდნენ ისინი. ბიჭები წრე-ლახტს თამაშობდნენ, ჭიდაობდნენ, ხოლო გოგონები თავიანთ დედოფალებს ეფერებოდნენ და კაბებს უკერავდნენ.

მაგრამ ამ პატარებს უმალ მიავიწყდებოდათ ხოლმე ყველა თამაში და თავშექცევა, როგორც კი ამ სარაიაში სცენისმოყვარე მუშები წარმოდგენას გამართავდნენ. ბავშვების სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა.

და აი, ერთხელ რკინიგზელმა მუშებმა გადაწყვიტეს იმ ქოხის ადგილზე კლუბი აეშენებინათ. ეს იყო დიდად საძნელო საქმე, მძიმე დრო იყო, მაგრამ სიყვარულით სავსე გული რას არ შეიძლებს! ბედზე, მუშა-კაცს ნაცნობი არც კალატოზებში დაელევა და არც დურგლებში, არც მებათქაშეებსა და არც მჩითავეებში. ყველა ჯურის ოსტატი უმალ მოძებნეს, მაგრამ გასაგებია, რომ შრომას ვერ აუნაზღაურებდნენ. მაშინ კალატოზებმაც, დურგლებმაც, ყველამ მოხალისეებად გამოაცხადეს თავი... და უცებ, უფროსებისათვის მოულოდნელად, ეს პატარა ბიჭებიც, მოხალისე მშენებლები გახდნენ — შავი მუშებიც ხომ სჭირდებოდა მშენებლობას. დაიკაპიწეს მკლავები პატარა დემნამ და მისმა ტოლ-ბიჭებმა, შეებნენ ხელის საზიდრებში, მოჰქონდათ ქვა და ლორლი, ზოგი აგურს აწვდიდა კალატოზს, სხვები დურგლებს ეხმარებოდნენ, მაგრამ როგორი ხალისით მუშაობდნენ ბიჭები, თუმცა ისინი არავის შეუკრებია, არავის მიუწვევია — ან რა საჭირო იყო მიწვევა — ისინი ხომ თავიანთ საოცნებო თეატრს აშენებდნენ.

და აი, დამთავრდა შენობა, გაიჩარხა თეატრის საქმე, და რა გამოირკვა? ბიჭების ბრიგადა თურმე მომავალ სპექტაკლებზე დასწრების უფლებას იხვეჭდა და მომავალი ბილეთების ფასში მუშაობდა. ამიერიდან თეატრის კარი მათთვის მუდამ ღია იყო.

ასეთი იყო დემნა შენგელაიას ბავშვობის წლები. იმ წლებმა წარუშლელი კვალი დააჩნიეს მის სულს, აქ გაიცნო და შეიყვარა მომავალმა მწერალმა მუშა-კაცის ალალი გული, აქ შეიცნო მან მადლი მისი მარჯვენისა. გაივლიან წლები და ეს შთაბეჭდილებანი საფუძვლად დაედებიან მის რომანებს — „შთაგონებასა“ და „ირმის ნახტომს“, რომლებშიაც ესოდენ ცოცხლად და განუმეორებლად არის ასახული ჩვენი დედაქალაქი, მისი მუშური და ხელოსნური უბნები.

დემნა შენგელაია ფუძემდებელია ქართული საბჭოთა პროზისა, ავტორია პირველი ქართული საბჭოთა რომანისა, რომელსაც „სანავარდო“ ეწოდება და რომლის გამოქვეყნებითაც დაიწყო თავისი ისტორია პირველმა ქართულმა საბჭოთა სქელტანიანმა ჟურნალმა „მნათობმა“. ამბავი, რომელიც მოთხრობილია „სანავარდოში“, იწყება ძველად, რევოლუციამდელ ქართულ სოფელში, დაჭაობებულ კოლხიდაში, შემდეგ გრძელდება პეტერბურგში, სადაც რამდენიმე წელს ატარებს თავადი ბონდო ჭილაძე, მთავარი გმირი ამ რომანისა. აქ იგი გაეცნობა დასავლეთის დეკადენტურ ფილოსოფიას და ჩვენ ნათლად ვგრძნობთ რატომ ებღაუჭება ღვიძლი შვილი არისტოკრატიული წოდებისა ამ ფილოსოფიას. მას ეჩვენება, რომ მისი წოდების დაღუპვა, ეს მთელი სამყაროს დაღუპვაა, მეორედ მოსვლაა. ბონდო უხსნის თავის მამას მოხუც ყარამანს, რომ ყველაფერი ამქვეყნად მირაჟია მხოლოდ, რომ მთელი სამყარო — შეშლილის ბოდვაა; მოხუცი თავადი ვერ გაიგებს ამას, მაგრამ ის სამაგიეროდ კარგად გრძნობს, რომ მისი დრო წასულია, რომ ირღვევა ძველი სამყარო და არ არის ქვეყნად ძალა, რომელსაც მისი ხსნა შეეძლოს.

მწერალს ამ რომანით არ დაუწყია თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა. ჯერ ისევ 1914 წელს 18 წლის ყმაწვილი იყო, როცა მან გამოაქვეყნა თავისი პირველი მოთხრობა „ნირვანა“, რომელმაც კრიტიკის მაღალი შეფასება დაიმსახურა. და მაინც, ნამდვილი შემოქმედებითი ბიოგრაფია დემნა შენგელაიასი იწყება სწორედ „სანავარდოთი“, რომელმაც, როგორც ვთქვით, სათავე დაუდო ახალ საბჭოთა პროზას. თავისთავად ცხადია, რომ აქ დემნა შენგელაია მარტო არ იყო, მასთან ერთდროულად გამოვიდნენ სიტყვის შესანიშნავი ოსტატები. ახალი რომანის შინაარსისა და ფორმის დადგენა ერთ მწერალს არ შეეძლო, ეს იყო მთელი თაობის საქმე; იმავე ხანებში შექმნეს თავიანთი პირველი რომანები კ. გამსახურდიამ, მ. ჯავახიშვილმა, ს. კლდიაშვილმა, კ. ლორთქიფანიძემ... და ყოველი მათგანი თავისებურად გამოხატავდა იმ დიად გარდაქმნებს, რომელიც ჩვენი ხალხის წიაღში ხდებოდა.

„სანავარდოს“ თან მოჰყვა მთელი ციკლი მოთხრობებისა სამოქალაქო ომზე. ქართული ლიტერატურისათვის ეს თემა ახალი იყო. დემნა შენგელაიამ აგვისახა მძიმე დღეები, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა იბრძოდა და იგერიებდა ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების ურდოებს, რომლებიც ყოველი მხრიდან ესეოდნენ მას. საბჭოთა ხალხი გმირულად იცავდა ოქტომბრის მონაპოვარს. სამოქალაქო ომის თემას მწერალმა მიუძღვნა მოთხრობები: „პორტი“, „გურამ ბარამანდია“, „პატარა ქალი“ და სხვები.

დემნა შენგელაია ფართო დიაპაზონის მწერალია; თავის ნაწარმოებებში ის ერთნაირი სიცხადითა და პლასტიკურობით გვიხატავს, როგორც აწმყოს, ისე შორეული თუ ახლო წარსულის სურათებს. მოთხრობა „შემოქმედს“ მეთორმეტე საუკუნეში გადავყავართ. აქ ფაქიზად, შესანიშნავად არის ნაჩვენები ის იდუმალი მოძრაობა სულისა, რასაც შემოქმედება ეწოდება და რის შედეგადაც იბადება ხელოვნების ქმნილება, რომელიც საუკუნეებს უძლებს. მოთხრობის მთავარი გმირი — უბადლო ოსტატი ბეშქენ ოპიზარია. ის ხატავს ღვთისმშობლის სურათს. მოდელად აულია სამონასტრო გლეხის ახალგაზრდა ქალიშვილი, სავსე მიწიური სიხარულითა და ჯან-ღონით. აი, მან დაამთავრა სურათი და გრძნობს, რომ კედელი, რომელზეც ფრესკაა გამოხატული, თითქოს სუნთქავს, თითქოს ცოცხლობს... ალბათ ასე კვნესოდა მიწაც, როცა პირველ ადამიანს ქმნიდნენ; ხელოვნების ნაწარმოების შექმნა აქ შედარებულია თვითონ სიცოცხლის დაბადებასთან.

ეს არის რენესანსის სულისკვეთება, მართლაც ბრძნული მოთხრობა იმაზე, თუ როგორ იწყებდა ნამდვილი რეალიზმი თავის ისტორიას.

დემნა შენგელაიას შემოქმედებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს „ბათა ქექიას“; ეს რომანი ქრონოლოგიურად საკმაოდ დიდ მანძილს მოიცავს: ბათას ახსოვს ბატონყმობის დრო, ხოლო მისი შვილები და შვილიშვილები — საკოლმეურნეო მოძრაობის პირველი ენთუზიასტები არიან. ადრე დაობლებული გლეხის ბიჭი პატარაობიდან იძულებულია იხეტიალოს ლუკმა-პურის საძებნელად. ყველასაგან შეურაცხყოფილი, დაჩაგრული ბიჭი ოცნებობს ჰქონდეს თავისი, თუნდაც ღარიბი, მაგრამ მაინც თავისი კერა. მაგრამ ვიდრე ამ სიკეთეს მოიპოვებდეს, მან ცხოვრების ყველა განსაცდელი უნდა გაიაროს. აქ მწერალმა ალბეჭდა არა ერთი პიროვნების, არამედ მთელი ხალხის ბედი, გვიჩვენა მისი გზა თავისუფლებისაკენ. „ბათა ქექიაში“ დემნა შენგელაია წარმოსდგა როგორც ბრძენი, ჩაფიქრებული ხელოვანი, რომლის ნაწარმოებში ყოველი ეპიზოდი მჭევრმეტყველურად ხსნის ცხოვრების შინაგან აზრს. რომანი გამოხატავს იმ იდეას, რომ ხალხი უკვდავია, თვითონ ბათა ამბობს — მე მუხა ვარ და ვიდრე ვდგავარ, ჩემი კერაც არ დაიქცევა, ტოტები ცისაკენ მაქვს აწ-

ვდილი და ფესვები ღრმად მაქვს მიწაში გადგმულიო. ეს ქართველ ხალხზეა ნათქვამი, მის გამძლეობაზე, მის უკვდავებაზე.

ქალაქური ცხოვრების თემას მიუძღვნა მწერალმა რომანი „ირმის ნახტომი“, რომელმაც წარმოგვისახა ძველი თბილისი, მისი ხელოსნების კოლორიტული ყოფით. მწერალმა აქ აღძრა დიდი სოციალური პრობლემები, გვიჩვენა კაპიტალიზმის შეჭრა ქართველი ხელოსნის ყოფაში; „ირმის ნახტომი“ იყო ჰიმნი მშრომელისადმი, მისი მარჯვენისადმი. ოსტატი შიო დარაშვილი ბევრი რამით გვაგონებს ძველ ოსტატებს, რომელთათვისაც შრომა შემოქმედება იყო. შრომის თემას აქ ორგანულად ერწყმის თემა რევოლუციური ბრძოლისა: მწერალი გვიჩვენებს როგორ იბადება, მტკიცდება, ირაზმება, საქართველოს მუშათა კლასი. საქართველოს მუშათა კლასის დაბადება დემნა შენგელაიაზე უფრო ნათლად, უფრო მკაფიოდ, უფრო თვალდასანახად არავის არ დაუხატავს. ამ მხრივ მან მეტად დიდი ხარვეზი შეავსო ჩვენს ლიტერატურაში, რომელიც უმთავრესად სოფლის თემას დასტრიალებდა თავს.

ასევე ქალაქის თემას მიუძღვნა მწერალმა თავისი მეორე რომანი — „შთაგონება“. მასში ასახულია ჩვენი დედაქალაქი, მისი აღმშენებლების ცხოვრება. ვკითხულობთ რომანს და ჩვენს თვალწინ იშლება ეს წარმტაცი ვეებერთელა ქალაქი თავისი ფართო მოედნებით და ქუჩებით, მრავალსართულიანი სახლებით და, რაც ყველაზე მთავარია, ვხედავთ მის ახალ ადამიანებს, გესმით მათი შრომის რიტმი, მათი გულისცემა. აქვე ავტორი რეტროსპექტიულად იხსენებს სურათებს იმ ბრძოლისას, რომელიც წარმოებდა იმ აწმყოს დასამკვიდრებლად, რომელსაც ეს ადამიანები აშენებენ. რომანში ავტორი აღწერს 1905 წლის 18 დეკემბრის ღამეს, როცა ნაძალადევის მუშები იარაღით ხელში გამოვიდნენ კაზაკებისა და მეფის ჯარების წინააღმდეგ. სახელოვანი წარსულის რომანტიკა აქ აბრწყინვებს სახელოვან დღევანდელობას. გმირული წარსული და გმირული აწმყო ორგანულად არიან შერწყმული ერთიმეორესთან. ერთ მხარეს — თაობათა ოცნებაა, მეორე მხარეს — ამ ოცნებების განხორციელება.

დიდი სამამულო ომის წლებში დემნა შენგელაია მოქმედი არმიის რიგებში იყო, მსახურობდა საარმიო გაზეთში. თავის რომანში „წითელი ყაყაჩო“ მან დახატა ჩვენი ხალხის თავგანწირული ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ვრცელ მოთხრობაში „განძი“ ავტორმა დიდი გამოცდის წინაშე დააყენა თავისი გმირი — ახალგაზრდა კოლმეურნე საულია, რომელიც ოქრომ დააბრმავა, დაუხშო ყველა ადამიანური გრძნობა, მაგრამ ბოლოს, როცა კაცი გამოფხიზლდა ამ ბურუსისაგან, შეძრწუნდა, მიხვდა რა საშინელი უფსკრული ყოფილა, რა მძიმე ცოდვის წყარო ყოფილა სიყვარული მოხვეჭისადმი.

დიდია და ფართო წრე თემებისა, რომლებსაც მწერალი ეხება. და რაზედაც არ უნდა წერდეს იგი, ჩვენ თვალწინ მუდამ ჰკვიანი, დაკვირვებული მხატვარია. დემნა შენგელაიას შემოქმედება გამსჭვალულია ხალხური სიბრძნით და სისადავით. ესაა მწერალი მაღალი პროფესიული კულტურისა, დიდი ერუდიციისა, ღრმად თვითმყობადი ოსტატი, რომელმაც დიდად გაამდიდრა ქართული ლიტერატურის საგანძური.

დემნა შენგელაია ავტორია მეტად საინტერესო ფილოლოგიური გამოკვლევებისა, ფოლკლორისა თუ ლიტერატურისმცოდნეობის სფეროდან; მან აქაც ბევრი ახალი რამ შესძინა თვით ჩვენი შორეული წარსულის კვლევას, კერძოდ ამირანის და საერთოდ წარმართული ეპოქის საიდუმლოებათა ამოხსნას.

გამოჩენილი მწერალი, ქართული სიტყვის შესანიშნავი ოსტატი, აკადემიკოსი დემნა შენგელაია, მიუხედავად ხანდაზმულობისა, დღეს კვლავ ახალგაზრდული ენერგიით ეძლევა საყვარელ საქმეს. ძალიან სასიხარულოა, რომ მისი გული კვლავ ხალისით სავსეა, თავის ბათა ქექიასავით მას სიბერე ვერ ერევა და ვერც მოერევა, სიბერეს, ჩვენი დემნა, იმავე ბათასავით, ხუმრობით იგერიებს, თავიდან იცილებს — ჯერ შენთვის არა მცალიანო. ქართველი მკითხველი კვლავ მოელის მისგან ახალ, შთაგონებით სავსე მხატვრულ ნაწარმოებებს.

ვუსურვოთ ჩვენს საყვარელ დემნას, ჩვენს უფროს ძმასა და მეგობარს დღეგრძელობა და ახალი შემოქმედებითი წარმატებანი ჩვენი ხალხისა და ჩვენი კულტურის საკეთილდღეოდ.

გიორგი ნატროშვილი

---

ვახტანგ გორგანელი

## ახალო წელო

ოქროს აკვანი მოგიმზადე,
ახალო წელო!
ბალიში მთვარით მოგიქარგე,
ახალო წელო!
შიგ ჩაგიფინე, რაც ბულბულებს
სიმღერა უთქვამთ,
ზედ არტახებად შემოვავლე
მინდვრების სუნთქვა.
სადაც კი ნიავს მახარობლად
დასძრავს ტყე-ველი,
ის არის შენი სიხარულის
აკვნის მრწეველი.
მეძახის შენთვის რამდენ კვირტშიც
სიცოცხლე ფეთქავს,
თუ სადმე ვარდმა გაიღიმა,
შევკარი ერთად.
შევკარი ერთად და ამას გთხოვ,
ახალო წელო:
კვლავ თავის ბუდეს დაუბრუნე
წასული წერო.
მწიფე თავთავებს ააცდინე
ამინდი მრუმე,
მხოლოდ გვალვაში გამოუხმე
საავდრო ღრუბელს.
დანიშნულ ქორწილს ნუ გადასდებ,
ახალო წელო!
შრომის დიდებას უდარაჯე
ახალო წელო!
სინათლის ტალღა ფანტე მხოლოდ
მშვიდობის გზებზე,
ატომის ღონე მიუმატე
სიკეთის მძებნელს.
იარე, გასწი, შენს იმედს და
რჩეულ ოცნებას,
შენ შემართებას, შენი გულის
ზღვათა მოქცევას,
შენს გაქანებას და უბადლო
აზრთა ნიაღვარს,
წინ მიუძღოდეს სიყვარული
ადამიანთა!

---

# საკოლმეურნეო დასასვენებელი სახლი

სოფელ შრომაზე ბევრი რამ დაწერილა, ბევრჯერ აუწერიათ ბედი ამ ოდესღაც ღატაკი სოფლისა — მიქელ გაბრიელისა, დღეს მთელ საბჭოთა კავშირში რომ გაითქვა სახელი შრომით, სიმდიდრით, მაღალი კულტურით... შეიცვალა სოფელი, კაცი, შეიცვალა აქაური ბუნებაც კი — ადრე უნაყოფო ბორცვებზე მწვანე ხალიჩასავით გადაიშალა ჩაის ბუჩქთა მწკრივები, მანდარინის, ფორთოხლის ხეივნები...

დიდი გაცნობა არც ამ სოფლის სახელოვან თავკაცს — მიხაკო ორაგველიძეს სჭირდება. ახსენეთ მარტო მისი სახელი და ყველაფერი გასაგებია. ყველა იცნობს მის შესანიშნავ საქმეებს, წაუკითხავს მისი წიგნები — მიხაკო ახლის მშენებელიც არის და ახლის მეისტორიეც. ღრმა, აზრიანი თვალები აქვს, ღიმილი გულღია და ალალი, გამოხედვაც — რბილი, ალერსიანი, ბევრჯერ უთქვამთ გურულებს — მიენდე და მერე მისი იმედი გქონდესო.

ბევრი დაწერილა სოფ. შრომის მკვიდრთა ახალ ყოფაზე, მათს ახალ კოხტა სახლებზე, კულტურის სახლზე და მუზეუმზე, ჩვენ აქ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, გვინდა მხოლოდ კიდევ ერთ სიახლეზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება: 1969 წლის ივნისიდან მწყობრში ჩადგა კოლმეურნეობის დასასვენებელი სახლი, რომელსაც მისმა დამფუძნებლებმა „მეგობრობა“ უწოდეს. ეს სახლი დგას შავი ზღვის სანაპიროზე, ურეკში. კოლმეურნეებმა უკვე შეიყვარეს იგი, ძალიან კმაყოფილი არიან მომსახურე პერსონალის საქმიანობით. მთავარი მკურნალი ექიმი ნიკა ქარცივაძე — მათივე სოფლის მკვიდრია. ადრეც ნიკა იყო მათი გაჭირვების ტალკვესი და ახლაც ის დაუღალავად ზრუნავს თავის თანასოფლელთა ჯანმრთელობაზე.

ნიკა ქარცივაძე ფართო ერუდიციის ადამიანია. იგი დიდი ხანია აწარმოებს დაკვირვებას, სწავლობს ურეკის მიდამოების და შავი ზღვის სანაპიროს ამ მონაკვეთის საკურორტო პირობებს, მავის ზეგავლენას, ე. წ. მაგნიტურ ქვიშას და ა. შ. აქაური რბილი, იონიზებული ჰავა დადებითად მოქმედებს ნერვული სისტემის, გულსისხლძარღვთა, სასუნთქი ორგანოების, ძვალკუნთოვანი სისტემის, ბავშვთა სხვადასხვა დაავადებაზე. ნ. ქარცივაძეს განზრახული აქვს წიგნის გამოცემა ამ საკითხებზე.

დასასვენებელი სახლის შთაბეჭდილებათა წიგნი სავსეა მადლობის და აღტაცების გამომხატველი ჩანაწერებით. აქ ჩამოსული მშრომელები განსაკუთრებით ემადლიერებიან ექთან ლუბა ქორთუას, რომელიც კარგად უძღვება თავის საქმეს.

„მეგობრობა“ კეთილმოწყობილი სამკურნალო დაწესებულებაა, აქვს მას საბაზანო კორპუსი, თბილი წყლის აბაზანებს ღებულობენ. აქ ყველა პირობაა შექმნილი ნორმალური დასვენებისა და მკურნალობისათვის.

ნელი ჩაჩავა.

წლევანდელი წლის ნოემბერში ჩვენმა ხალხმა, მთელმა მოწინავე კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნა დიდი რუსი მწერლისა და მოაზროვნის თევდორე მიხეილის ძე დოსტოევსკის დაბადების 150 წლისთავი. დოსტოევსკი დაიბადა მოსკოვში, 1821 წლის 30 ოქტომბერს (ახალი სტ. 11 ნოემბერს); 1843 წელს დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო-საინჟინრო სასწავლებელი, 1844 წლიდან იგი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე.

დოსტოევსკის პირველ ნაწარმოებს „საბრალო ადამიანებს“ აღტაცებით და მოწონებით შეხვდა როგორც მკითხველი, ისე ლიტერატურული საზოგადოებრიობა; ამას მოჰყვა დოსტოევსკის საქვეყნოდ სახელგანთქმული რომანები — „დამდაბლებულნი და შეურაცხყოფილნი“, „დანაშაული და სასჯელი“, „იდიოტი“, „მოზარდი“, „ძმები კარამაზოვები“, „ეშმაკნი“ და მრავალი სხვა. ეს ქმნილებები სამართლიანად აღიარებულია მსოფლიო ლიტერატურის უბრწყინვალეს შედევრებად.

დოსტოევსკის შემოქმედებაში ნათელი და სრულყოფილი გამოხატულება ჰპოვა რუსი ხალხის ცხოვრებამ, ხალხის გმირულმა ბრძოლამ ქვეყნად თავისუფლებისა და სამართლიანობის დასამყარებლად.

დოსტოევსკი გარდაიცვალა 1881 წლის 28 იანვარს (9 თებერვალს ახალი სტილით).

**თ. დოსტოევსკი**

# ნაძვისხე და ქორწილი

### უცნობის ჩანაწერებიდან

ამ დღეებში ქორწილს შევესწარი... ძალიან მომეწონა... ამ ქორწილს რომ ვუყურებდი, არ ვიცი როგორ და რანაირად, ნაძვისხე გამახსენდა. აი, როგორ მოხდა ეს. ზუსტად ხუთი წლის წინათ, ახალწლის წინადღეს ბალზე მიმიწვიეს. მასპინძელი ბრძანდებოდა ერთი საქმიანი, დიდი ნაცნობ-მეგობრობითა და ხრიკებით ცნობილი კაცი; ასე რომ, შეიძლებოდა გეფიქრათ, ბავშვების ბალი მშობლებმა თავშეყრისა და სხვადასხვა საინტერესო თემაზე უწყინარი, შემთხვევითი, ანაზდეული ბაასის საბაბად გამოიყენესო. მე გარეშე პირი გახლდით, სალაპარაკო არაფერი მქონდა და ამიტომ მთელი საღამო თითქმის ჩემთვის ვიყავი.

აქ ნახავდით კიდევ ერთ ბატონს, მგონი, მარტოხელა კაცს და ამ ოჯახურ ზეიმზე ჩემსავით შემთხვევით მოხვედრილს. იგი ყველაზე ადრე შევამჩნიე. მაღალ-მაღალი გამხდარი კაცი იყო, ფრიად სერიოზული, რიგიანად ჩაცმული. მაგრამ ეტყობოდა, სრულებით არ ეხატებოდა გულზე ეს მხიარულება და ოჯახური ბედნიერება: როცა სადმე კუთხეში მიდგებოდა, სახეზე მაშინვე უქრებოდა ღიმილი და ხშირ შავ წარბებს ჰმუხნიდა. აქ მასპინძლის გარდა არავის იცნობდა. როგორც ჩანდა, ძალზე მოწყენილი იყო, მაგრამ მამაცურად, ბოლომდე ასრულებდა ერთობ მხიარული და ბედნიერი კაცის როლს. შემდეგ გავიგე, რომ იგი ერთი პროვინციელი ბატონი იყო და დედაქალაქში რაღაც ფრიად მნიშვნელოვანი, თავსატეხი საქმის გამო ჩამოსულიყო, სარეკომენდაციო წერილი მოეტანა ჩვენი მასპინძლისათვის, რომელიც დიდად არ მფარველობდა მას და თავისი ბავშვების ბალზეც ზრდილობის გულისათვის მოეპატიჟებინა. ბანქოს არ ეთამაშებოდნენ, მისთვის არც სიგარა შეუთავაზებიათ, არც საუბარს უბამდა ვინმე, შესაძლოა მიხვდნენ რა ხვითოც ბრძანდებოდა.

ამ პიროვნების გარდა, ასე და ამგვარად რომ მონაწილეობდა ხუთი ჩასუქებული ბიჭის პატრონი მასპინძლის ოჯახურ ბედნიერებაში, მომეწონა კიდევ ერთი ბატონი. მაგრამ ეს უკვე სულ სხვანაირი კაცი გახლდათ. ეს იყო წარჩინებული გვამი. მისი სახელი და მამის სახელი — იულიან მასტაკოვიჩი. ერთი შეხედვით შეამჩნევდით, რომ იულიან მასტაკოვიჩი საპატიო სტუმარი ბრძანდებოდა... ოჯახის მამა და დიასახლისი ქათინაურებს არ იშურებდნენ მისთვის, ელაციცებოდნენ, ასმევდნენ, თავს ევლებოდნენ, მასთან გასაცნობად მიჰყავდათ სტუმრები, ხოლო თვითონ არავისთან არ მიჰყავდათ. შევამჩნიე, რომ მასპინძელს ცრემლი აუციაგდა თვალებში, როცა იულიან მასტაკოვიჩმა თქვა, ასე სასიამოვნოდ, როგორც ამ საღამოს, იშვიათად ვატარებო დროს. მე როგორღაც შიში მომგვარა ასეთი გვამის გვერდით ყოფნამ და ამიტომ, როცა ბავშვების ცქერით გული ვიჯერე, სავსებით ცარიელ პატარა სასტუმრო ოთახში გავედი და მოვიკალათე დიასახლისის ყვავილების ფანჩატურში, რომელსაც თითქმის ნახევარი ოთახი ეკავა.

ყველა ბავშვი წარმოუდგენლად მიმზიდველი გახლდათ და სრულიადაც არ სურდათ დიდებს დამსგავსებოდნენ, აღმზრდელებისა და დედიკოების შეგონების მიუხედავად. მათ თვალის დახამხამებაში გაძარცვეს მთელი ნაძვისხე, უკანასკნელი კამფეტიც მოაცილეს და უკვე ნახევარი სათამაშოების დამსხვრევა მოასწრეს, ვიდრე გაიგებდნენ, რომელს რა დანიშნულება ჰქონდა. განსაკუთრებით კარგი იყო ერთი შავთვალა, ხუჭუჭთმიანი ბიჭი, რომელსაც სულ უნდოდა თავისი ხის თოფით მოვეკალი.

მაგრამ ყველაზე უფრო იქცევდა ყურადღებას მისი და, თერთმეტი წლის გოგონა, ამურივით მშვენიერი, წყნარი, ჩაფიქრებული, ფერმკრთალი, დიდი და ფიქრიანი, გადმოკარკლული თვალების პატრონი. მას ბავშვებმა როგორღაც აწყენინეს, ამიტომ სწორედ იმ სასტუმრო ოთახში შემოვიდა, სადაც მე ვიჯექი, და კუთხეში თავის თოჯინას დაუწყო თამაში. სტუმრები ერთმანეთს მოწიწებით უთითებდნენ ერთ მდიდარ მოიჯარეზე, მის მშობელზე, ზოგზოგიც ჩურჩულით შენიშნავდა, გოგონასთვის მზითევად უკვე სამასი ათასი მანეთია გადადებულიო. მე შევტრიალდი, რომ თვალი შემევლო ასეთი გარემოებით დაინტერესებულთათვის და ჩემი მზერა შეჩერდა იულიან მასტაკოვიჩზე, რომელსაც ხელები უკან შემოეწყო, თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა და როგორღაც განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა ამ ბატონების მასლაათს. შემდეგ არ შემეძლო არ გავკვირვებულიყავ მასპინძლების სიბრძნით, ბავშვების საჩუქრების დარიგებისას რომ გამოიჩინეს. გოგონას, რომელსაც მზითვად სამასი ათასი მანეთი ჰქონდა, მდიდრული თოჯინა შეირთვეს. შემდეგ საჩუქრების ხარისხი იკლებდა ამ ბედნიერი ბავშვების მშობელთა რანგის კლების მიხედვით. დასასრულს, ბოლო ბავშვმა, ათი წლის გამხდარმა, პატარა და ოდნავ ჭორფლიანმა, წითურმა ბიჭმა მიიღო მხოლოდ ერთი წიგნი მოთხრობებისა, დაწერილი ბუნების სიდიადეზე, ცრემლნარევ მგრძნობიარობასა და სხვა რამეებზე. წიგნი დასურათებული არ იყო, ვინიეტიც კი არ ჰქონდა. ბიჭი, მასპინძლის ბავშვების აღმზრდელის, ერთი ღარიბი ქვრივის შვილი, მეტისმეტად დაბეჩავებული და დაშინებული გახლდათ. ეცვა უბადრუკი ნაშურისგან შეკერილი ქურთუკი. წიგნის მიღების შემდეგ დიდხანს დადიოდა სათამაშოების მახლობლად. ერთი სული ჰქონდა სხვა ბავშვებთან ერთად ეთამაშა, მაგრამ ვერ ბედავდა; ეტყობოდა, უკვე გრძნობდა და ესმოდა თავისი მდგომარეობა.

მე ძალიან მიყვარს ბავშვებზე დაკვირვება. უაღრესად საინტერესოა მათი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი ცხოვრებაში. ჰოდა, შევამჩნიე, რომ წითური ბიჭი ისე მოხიბლა სხვა ბავშვების მდიდრულმა სათამაშოებმა, განსაკუთრებით წარმოდგენამ, რომელშიც უთუოდ უნდოდა რაიმე როლის შესრულება, გადაწყვიტა ეცუღლუტა. იგი იღიმებოდა და ელაციცებოდა ბავშვებს, თავისი ვაშლი მისცა ერთ დაბიყვინებულ ბიჭს, რომელსაც საჩუქრებით სავსე ხელსახოცი ეკიდა, ისიც კი გაბედა, ერთ-ერთი ბიჭი ზურგზე შეისვა და გაეტარ-გამოეტარებინა, ოღონდაც წარმოდგენიდან არ გაეგდოთ. მაგრამ ერთი წუთის შემდეგ რომელიღაც შფოთისთავმა ლაზათიანად მიტყიპა. ბიჭმა ტირილი ვერ გაბედა. ამ დროს გამოჩნდა დედამისი, და უბრძანა, სხვა ბავშვებისათვის თამაშში ხელი არ შეეშალა. ბიჭი იმავე სასტუმრო ოთახში შემოვიდა, სადაც გოგონა იყო. გოგონამ შემოუშვა და ორივე ფრიად გულმოდგინედ შეუდგა მდიდრული თოჯინას მორთვას.

მე უკვე ნახევარი საათი ვიჯექი სუროს ფანჩატურში, ყურს ვუგდებდი თოჯინასთან მოფუსფუსე წითური ბიჭისა და სამასი ათასი მანეთის მფლობელი მზეთუნახავის ტიტინს და თითქმის ჩავთვლიმე, რომ უცებ ოთახში შემოვიდა იულიან მასტაკოვიჩი. იულიან მასტაკოვიჩს ბავშვების ჩხუბის სკანდალური სცენით ესარგებლა და ჩუმად გამოსულიყო დარბაზიდან. შევამჩნიე, რომ იგი მომავალი მდიდარი საცოლის ახლახან გაცნობილ მამიკოს ერთი წუთის წინ ფრიად მგზნებარედ ელაპარაკებოდა, თუ რა უპირატესობა ჰქონდა რომელიღაც სამსახურს მეორე სამსახურთან შედარებით. ახლა იულიან მასტაკოვიჩი დაფიქრებული იდგა და თითქოს რაღაცას ითვლიდა თითებზე.

— სამასი... სამასი, — ჩურჩულებდა იგი. — თერთმეტი... თორმეტი... ცამეტი და ასე შემდეგ, თექვსმეტი — ხუთი წელი! ვთქვათ ყოველ ასიდან ავიღეთ ოთხი, ეს იქნება თორმეტი, ხუთჯერ თორმეტი უდრის 60-ს, ამ 60-ით კი... კარგი, ვთქვათ, სულ ხუთი წლის შემდეგ იქნება ოთხასი. დიახ! აი... ასიდან ოთხ-ოთხი კი არ მოდის, ყალთაბანდი! შესაძლოა, რვას ან ათს იღებს ასიდან. კარგი, ხუთასი, ვთქვათ ხუთასი ათასი, ეს მაინც უეჭველია; კარგი, ნამეტი ჩაცმა-დახურვას დასჭირდეს, ჰმ...

იულიან მასტაკოვიჩმა ფიქრი დაასრულა, ცხვირი მოიხოცა და უკვე ოთახიდან გასვლას აპირებდა, რომ უცებ გოგონას შეხედა და შეჩერდა. მცენარეებიანი ქოთნების უკან მე ვერ შემამჩნია. მომეჩვენა, უაღრესად აღელვებული იყო. მასზე გამოანგარიშებამ იმოქმედა თუ სხვა რამემ, ხელებს კი ისრესდა და ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა. მისი მღელვარება nec plus ultra[1] გაიზარდა, როცა შეჩერდა და მომავალ საცოლეს მეორეჯერ თამამად შეხედა. ის იყო, წინ წასვლა დააპირა, მაგრამ ჯერ ირგვლივ მიმოიხედა. შემდეგ თითქოს თავს დამნაშავედ გრძნობსო, ფეხაკრეფით მიუახ-

[1] უკიდურესად (ლათ.).

ლოვდა ბავშვს. ღიმილით მივიდა მასთან, დაიხარა და თავზე აკოცა. გოგონა თავდასხმას არ ელოდა და შიშისაგან წამოიკივლა.

იულიან მასტაკოვიჩმა მიიხედ-მოიხედა, სახეზე ხელი მოუთათუნა და ჩურჩულით ჰკითხა:

— კი მაგრამ, აქ რას აკეთებთ, საყვარელო ბალღო?

— ვთამაშობთ...

— ა? ამასთან? — იულიან მასტაკოვიჩმა ალმაცერად გადახედა ბიჭს.

— შენ კი, ჩემო კარგო, წასულიყავი დარბაზში, — უთხრა წითურ ბიჭს.

ბიჭი დუმდა და თვალებდაჭყეტილი უცქეროდა. იულიან მასტაკოვიჩმა კვლავ მიმოიხედა ირგვლივ და კვლავ დაიხარა გოგონასკენ.

— კი მაგრამ, ეს რა გაქვთ, საყვარელო ბალღო, თოჯინა?

— თოჯინა, — მიუგო შეჭმუხნილმა და ოდნავ დამფრთხალმა გოგონამ.

— თოჯინა... მერედა იცით, საყვარელო ბალღო, რისგანაა გაკეთებული თქვენი თოჯინა?

გოგონამ მთლად დახარა თავი და ჩურჩულით მიუგო:

— არ ვიცი...

— ჩვრებისგან, ძვირფასო, — უპასუხა იულიან მასტაკოვიჩმა, მერე ბიჭს მკაცრად შეხედა და უთხრა: — შენ კი, ბიჭო, წასულიყავი დარბაზში, შენს თანატოლებთან. — გოგონა და ბიჭი შეიჭმუხნენ და ერთმანეთს ჩაებღაუჭნენ. მათ არ სურდათ დაშორება.

— მერედა იცით, რატომ გაჩუქეს ეს თოჯინა? — ჰკითხა გოგონას იულიან მასტაკოვიჩმა. ის სულ უფრო იდაბლებდა ხმას.

— არ ვიცი.

— იმიტომ, რომ თქვენ მთელი კვირა საყვარელი და ზნეკეთილი ბავშვი იყავით.

ამ დროს უზომოდ აღელვებულმა იულიან მასტაკოვიჩმა ირგვლივ მიმოიხედა, ხმა უფრო და უფრო დაიდაბლა; ბოლოს ჩუმი, მღელვარებისა და მოუთმენლობისგან თითქმის მთლად ჩამქვდარი ხმით ჰკითხა:

— გეყვარებით კი, საყვარელო ქალიშვილო, როცა თქვენს მშობლებს სტუმრად ვეწვევი?

ეს თქვა იულიან მასტაკოვიჩმა და საყვარელ ქალიშვილს კიდევ ერთხელ დაუპირა კოცნა, მაგრამ წითურმა ბიჭმა დაინახა, რომ გოგონა აგერ-აგერ ატირდებოდა, ხელზე ხელი ჩასჭიდა და მისდამი სრული თანაგრძნობის გამოსახატავად აფშლუკუნდა. იულიან მასტაკოვიჩი ძალიან გაჯავრდა.

— გასწი, გასწი აქედან, გასწი! — ეუბნებოდა ბიჭს. — გასწი დარბაზში! გასწი იქ, შენს თანატოლებთან.

— არა, არაა საჭირო, არა! თქვენ წადით აქედან, — უთხრა გოგონამ. — დაეხსენით მაგას, დაეხსენით! — ამბობდა თითქმის მთლად ატირებული.

კარებში ვიღაცამ გაიხმაურა. იულიან მასტაკოვიჩმა მაშინვე წამოსწია თავისი დიდებული ტანი და ელდა ეცა. მაგრამ წითური ბიჭი უფრო შეშინდა, გოგონას თავი მიანება და სასტუმრო ოთახიდან ჩუმად, კედელზე აკრული გავიდა სასადილოში. იულიან მასტაკოვიჩიც გავიდა სასადილოში, რადგან არ უნდოდა ვინმესთვის რაიმე ეჭვი აღეძრა. კიბოსავით წითელი იყო და სარკეში რომ ჩაიხედა, თითქოს თავისი თავისა შერცხვა. შესაძლოა ეწყინა, რამეთუ სიფიცხე და მოუთმენლობა გამოიჩინა. შესაძლოა იმთავითვე ისე განაცვიფრა თითების ანგარიშმა, ისე მოხიბლა და შთააგონა, მიუხედავად თავისი სიდარბაისლისა და წარჩინებულობისა, გადაწყვიტა ბიჭივით მოქცეულიყო და პირდაპირ მიეტანა იერიში თავის საგანზე, თუმცაღა ეს საგანი შეიძლებოდა ნამდვილი საგანი ყოფილიყო ხუთი წლის შემდეგ მაინც. პატივცემულ ბატონს სასადილოში შევყევი და უცნაური სურათი ვიხილე: წყენისა და ბოღმისაგან მთლად გაჭარხლებული იულიან მასტაკოვიჩი წითურ ბიჭს აშინებდა. ბიჭი სულ უფრო შორდებოდა და უკვე აღარ იცოდა, შიშისაგან სად ეკრა თავი.

— გასწი, რას აკეთებ აქ, გასწი, შე საძაგელო, გასწი! აქ ხილს იპარავ, ჰა? ხილს იპარავ? გასწი, საძაგელო, გასწი, ცინგლიანო, გასწი, გასწი შენს თანატოლებთან!

შეშინებულმა ბიჭმა გადაწყვიტა უკიდურესი საშუალებისთვის მიემართა და მაგიდის ქვეშ თავის შეფარება სცადა. უზომოდ გაცეცხლებულმა მდევარმა გრძელი ბატისტის ცხვირსახოცი ამოიღო და მაგიდის ქვეშ გაბუსუნებულ ბავშვს ქნევა დაუწყო, გარეთ გამოდიო. უნდა შევნიშნო, რომ იულიან მასტაკოვიჩი ცოტა მსუქანი იყო. ეს გახლდათ ნაპატიები, ღაჟღაჟა, ჩაფსკვნილი, პატარა ღიპიანი, ბარკლებგასივებული კაცი, ჩაკუნტებული, ერთი სიტყვით, კერკეტივითაა, რომ იტყვიან ისეთი. იგი გაოფლიანდა, ქშინავდა და საშინლად წითლდებოდა. ბოლოს თითქმის გაავთრდა, ისე დაჯაბნა აღშფოთებამ და შესაძლოა (ვინ იცის) ეჭვმაც. მე მთელი ხმით გადავიხარხარე. იულიან მასტაკოვიჩი შემოტრიალდა და მიუხედავად თავისი ღირსებისა, საშინლად შერცხვა. ამ დროს მოპირდაპირე კარიდან მასპინძელი შემოვიდა. ბიჭი მაგიდის ქვემოდან გამოძვრა და მუხლებისა და იდაყვების წმენდა დაიწყო. იულიან მასტაკოვიჩმა სასწრაფოდ მიიტანა ცხვირთან ხელში ცალი ბოლოთი ჩამოკონწიალებული ცხვირსახოცი.

მასპინძელმა ცოტა არ იყოს გაოცებით შეგვხედა სამივეს, მაგრამ როგორც კაცმა, რომელსაც ცხოვრება გაეგება და მას სერიოზულად ეკიდება, მაშინვე ისარგებლა იმით, რომ სტუმარი მარტო დაიხელთა.

— აი, ბატონო ჩემო, ის ბიჭი, — უთხრა და წითურ ბიჭზე მიუთითა, — ვის შესახებაც პატივი მქონდა მეთხოვა...

— ა? — მიუგო ჯერ კიდევ გაოგნებულმა იულიან მასტაკოვიჩმა.

— ჩემი შვილების აღმზრდელის ვაჟია, — თხოვნის კილოთი განაგრძო მასპინძელმა, — საბრალო ქალია, ქვრივი, ერთი პატიოსანი ჩინოვნიკის ცოლი და ამიტომ... იულიან მასტაკოვიჩ, თუ შესაძლებელია...

— აჰ, არა, არა, — აჩქარებით დაიყვირა იულიან მასტაკოვიჩმა. — არა, მომიტევეთ, ფილიპ ალექსეევიჩ, ყოვლად შეუძლებელია, ჩემო ბატონო, გავიკითხ-გამოვიკითხე, თავისუფალი ადგილი არაა, მაგრამ რომც ყოფილიყო, სულ ერთია უკვე ათი კანდიდატია, რომელთაც მაგაზე გაცილებით მეტი უფლება აქვთ... ძალიან მწყინს, ძალიან...

— მწყინს, ჩემო ბატონო, — გაიმეორა მასპინძელმა, — ბიჭი მორიდებულია, წყნარი...

— როგორც ვატყობ, დიდი ეშმაკია, — მიუგო იულიან მასტაკოვიჩმა და ისტერიკულად დამანჭა პირი. — წადი, ბიჭო, რას უდგეხარ, წადი შენს თანატოლებთან! — უთხრა ბიჭს.

ამ დროს იულიან მასტაკოვიჩმა, ეტყობა, ვეღარ მოითმინა და ცალი თვალით შემომხედა. მეც ვერ მოვითმინე და გადავიხარხარე. იულიან მასტაკოვიჩი მაშინვე შებრუნდა და მასპინძელს ჩემს გასაგონად ჰკითხა: ვინაა ეს ახალგაზრდა? ისინი აჩურჩულდნენ და ოთახიდან გავიდნენ. შემდეგ დავინახე, იულიან მასტაკოვიჩი მასპინძელს რომ უსმენდა, რარიგ უნდობლად აქნევდა თავს.

როცა ხარხარით გული ვიჯერე, დარბაზში დავბრუნდი. იქ მამებით და დედებით, ოჯახის უფროსითა და დიასახლისით გარშემორტყმული დიდი მამრი რაღაცას მგზნებარედ ეუბნებოდა ერთ ბანოვანს, რომელსაც იგი ეს-ესაა წარუდგინეს. ბანოვანს ხელი ჩაევლო გოგონასთვის, ვისთანაც იულიან მასტაკოვიჩს ათი წუთის წინ სასტუმრო ოთახში უსიამოვნება შეხვდა. ახლა იულიან მასტაკოვიჩი საყვარელი ბალღის სილამაზეზე, ნიჭზე, სინარნარისა და ზრდილობაზე აღფრთოვანებით ლაპარაკობდა და ქება-დიდებას ასხამდა. იგი აშკარად ელაქუცებოდა გოგონას დედიკოს. დედა აღტაცებისაგან ლამის თვალებზე ცრემლმომდგარი უსმენდა. მამას ტუჩებზე ღიმილი გადაფენოდა. მასპინძელს ახარებდა საყოველთაო სიხარულის გამოვლენა. უკლებლივ ყველა სტუმარი თანაგრძნობას გამოხატავდა, ბავშვების თამაშიც კი შეწყდა, რომ საუბარს ხელი არ შეშლოდა. მთელი ჰაერი მოწიწებით იყო გაჟღენთილი. შემდეგ მესმოდა, ლამაზი გოგონას უაღრესად გულაჩვილებული დედიკო საგულისგულო სიტყვებით როგორ სთხოვდა იულიან მასტაკოვიჩს მისთვის განსაკუთრებული პატივი დაედო, მისი ოჯახი თავისი ძვირფასი ნაცნობობით გაებედნიერებინა. მესმოდა, იულიან მასტაკოვიჩი რაოდენ გულწრფელი აღფრთოვანებით დათანხმდა მიწვევაზე და შემდეგ ზრდილობისამებრ სხვადასხვა მხარეს დაძრული სტუმრები როგორ ასხამდნენ გულის ამაჩუყებელ ხოტბას მოიჯარადრეს, მის ცოლს, გოგონას და განსაკუთრებით იულიან მასტაკოვიჩს.

— ცოლიანია ეს ვაჟბატონი? — თითქმის ხმამაღლა ვკითხე იულიან მასტაკოვიჩთან ყველაზე ახლო მდგომ ერთ ნაცნობს.

იულიან მასტაკოვიჩმა გამომცდელად და ღვარძლიანად შემომხედა.

— არა! — მიპასუხა ნაცნობმა, უაღრესად შეწუხებულმა ჩემი წინასწარ გამიზნული უხერხული საქციელით...

ამას წინათ ...-ს ეკლესიას გვერდით მივდიოდი; ხალხმა და შეკრებილობამ განმაცვიფრა. ირგვლივ ქორწილზე ლაპარაკობდნენ. მოქუშული დღე იდგა, ცრიდა. მე ეკლესიაში შევაღწიე და დავინახე სასიძო. ეს იყო ტანდაბალი, ჩაკუნტებული, ნაპატივები, პატარა ღიპიანი, ფრიად მორთული კაცი. ის აქეთ-იქით დარბოდა, ფაციფუცობდა და განკარგულებებს იძლეოდა. ბოლოს თქვეს, საცოლე მოიყვანესო. ხალხში გავაღწიე და დავინახე კალმით ნახატი ასული, რომელსაც ეს-ესაა პირველი გაზაფხული დადგომოდა, მაგრამ ასული გაფითრებული და დასევდიანებული იყო, დაბნეულად იყურებოდა; ისიც კი მომეჩვენა, რომ ცოტა ხნის წინათ დადენილი ცრემლებისგან თვალები დასწითლებოდა. სახის ყოველი ნაკვთის ანტიკური დახვეწილობა რაღაცნაირ მედიდურობას და სიდიადეს ანიჭებდა მის სილამაზეს. მაგრამ ამ დახვეწილობასა და მედიდურობაში, ამ სევდაში გამოკრთოდა პირველი ბავშვური, უბიწო იერი; ვლინდებოდა რაღაც უაღრესად გულუბრყვილო, დაუმდგარი, ყმაწვილური, რაიც თითქოსდა თავისთავად ევედრებოდა შეწყალებას.

ამბობდნენ, თექვსმეტი წელი ძლივს შეუსრულდაო. სასიძოს ყურადღებით შევხედე და უცებ ვიცანი იულიან მასტაკოვიჩი, რომელიც ზუსტად ხუთი წელი არ მენახა. შევათვალიერე... ღმერთო ჩემო! ეკლესიიდან საჩქაროდ გამოვუტიე გარეთ. ხალხი ამბობდა: საცოლე მდიდარია, ხუთასი ათასი მანეთი მზითევი აქვსო... და ამდენის და ამდენის ჩასაცმელ-დასახურავიო...

„კარგად კი უანგარიშია!“ — გავიფიქრე გარეთ გამოსულმა...

თარგმნა აკაკი ბრეგაძემ.

# დიდი მსახიობის გახსენება


ეროვნული ბიბლიოთეკა

1962 წელი. თბილისი. სახლი გურამიშვილის ქუჩაზე... ჩვენს წინ, ჭაღარა, ფერმიხდილი ქალია. მას საოცრად შვენის დახვეწილი ქართული პროფილი. მხრებში მოხრილა, მაგრამ, როგორც კი თეატრზე დაიწყებს საუბარს, შეუმჩნევლად ისე წამოიმართება, თითქოს ეს-ეს არის სცენაზე გასვლას აპირებსო. ამ დროს ემჩნევა, რომ ცდილობს გამოიყურებოდეს უფრო მხნედ, უფრო ენერგიულად, ვიდრე სინამდვილეშია. წლებმა ვერ წაართვეს ეს სიხალისე. ზოგჯერ ხუმრობს კიდეც და გულუბრყვილო ბავშვივით თავათვე ეცინება. მის ფართოდ გახელილ თვალებიდან ისევ ანათებს შუქი, მაგრამ ფერფლწაყრილ ნაღვერდალივით მოკლებულია იგი ელვარებას. მასში იგრძნობა რაღაც დიდი სევდა, უცნაურად თბილი და ალერსიანი სევდა.

სავარძელში ღრმად ჩაშვებული იჯდა და მიყვებოდა თავგადასავალს, თითქოს არც კი სჯეროდა, რომ შეიძლებოდა მე, როგორც ახალგაზრდას, რაიმე მცოდნოდა მის შესახებ. აკი შემახსენა კიდეც — თქვენ მე სცენაზე არ გინახივართო.

მოსაგონარი მას კი მართლაც ბევრი ჰქონდა. ვუყურებდი და ვფიქრობდი: იყო მღელვარე ცხოვრება, სცენა, კულისები, ახალი როლები და ახალი ძიება... მერე წავიდნენ წლები და მაყურებლის თვალსაც მოეფარნენ ის სახეები, ტიპები, ადამიანები... თითქოს ყველაფერს ბინდისფერი გადაეკრა. მხოლოდ მოგონებებს, მნახველთა გადმოცემებსა და ფერწასულ ფურცლებს შემორჩა იმ სახეთა ელვარება. არის აქ რაღაც ორმხრივად ტრაგიკული: მაყურებლისთვის, რომელსაც არ შეუძლია უშუალოდ იხილოს და განიცადოს „ძველი" სცენური სახე და მეორე, თვით შემოქმედისთვის, რომელმაც წელთა მიღმა დასტოვა თავისი სულის ორეული. ამგვარმა ფიქრებმა შემიპყრეს, როცა ნინო ჩხეიძის სახეს შევცქეროდი. იგი საუბრობდა დინჯად და პაუზებით. ძალიან ფრთხილად და მორიდებით იგონებდა გარდასულის სურათებს. ჯერ ერთ ამბავს იტყოდა და ვიდრე მეორეს გაიხსენებდა, ისე შეჩერდებოდა, თითქოს, ეს არის წარსულის შორეულ სიღრმეებიდან გამონახმობ ამბავსო. ეს ფრაგმენტული მოგონებანი პატარ-პატარა ნოველებს ჰგავდნენ, იგი როლსაც ისე იგონებდა, როგორც ნაცნობ-მეგობარს; იგონებდა მის მიერ სულჩადგმულ სახეებს: ზეინაბს, ივდითს, ოფელიას...

იგი ხომ სამოცდახუთი წლის მანძილზე მოუთხრობდა ქართულ აუდიტორიას ქალის ღირსებასა და პატიოსნებაზე. მოუთხრობდა იმაზე, თუ როგორ პოეტურად მოკვდა სიხარულის მოზღვავებისას მარგარიტა გოტიე, როგორი სიმძაფრით აღზევდა ტრაგიკული მედეა, ან რა ნაზი, ლირიკული მთრთოლვარებით გამოეთხოვა დეზდემონა ოტელოს, რომელმაც თავისივე ხელით მოკლა მშვენიერებისადმი რწმენა და ამ დარღვეული ჰარმონიის მსხვერპლი გახდა თავადაც. ქართულ სცენაზე იშვიათად თუ გამოსახულა ტრაგიკული ბედი ქალისა, ისე როგორც ეს ნინო ჩხეიძის შემოქმედებაში იყო. იგი მუდამ იცავდა ქალის უფლებას და ამ ბრძოლაში, ხშირად ფარივით ჰქონდა თავისი გმირის მშვენიერება და სიკეთე.

ნინო ჩხეიძე მკაფიო ეროვნული სტილის მსახიობი იყო. მის სახეთა დრამატულ პათოსში გამოიხატა დიდი სულიერი მღელვარება და სინატიფე, მან ესთეტიკური განცდის დიდი ძალა მიანიჭა ქალთა სახეებს და ახალი მხატვრული სამყარო დაუმკვიდრა ქართულ თეატრში. ასეთი იყო მისი ანტიგონე და კრუჩინინა, ლაურენსია და იოკასტე, ლედი მაკბეტი, რუქაია, ლუიზა... და მრავალი სხვა.

ნინო ჩხეიძის ბეატრისა ჩვენამდე ფოტოსურათით მოვიდა, მასში გადმოცემულია ერთი პოზა და ერთი განწყობა. ბეატრისას გულზე ხელები დაუკრეფია, დიდი ნაწნავები ჩამოშლია წელამდე. სევდიანი თვალები უსაზღვრო სივრცისაკენ აღუპყრია და ისე გარინდულა, თითქოს ეს-ეს არის ფრესკიდან გადმოვიდა და მრევლს შეერია სალოცავადო...

ბეატრისას გახსენებამ მსახიობს თავისი ერთი საოჯახო ალბომი მოაგონა. — გინახავთ ეს ალბომი? — მკითხა მან და ისე გამომიწოდა, პასუხს აღარ დაელოდა. ალბომი მისი მოღვაწეობის 25 წლისთავზე შეუდგენიათ. ვფურცლავ მას და ვგრძნობ, რომ არ მშორდება მოხუცი მსახიობის მზერა. „წაიკითხე, წაიკითხე", მეუბნება ის, მე ვჩერდები დავით კლდიაშვილის ჩანაწერთან: „ნინო ჩხეიძე ერთი იმათთაგანია, რომელიც თავგანწირულობით ემსახურებოდა ქართველ ერს, საშინელ მონობაში მყოფობის დროს მისი სულიერი გაღონიერებისათვის. ოცდახუთი წლის განმავლობაში იგი მძიმე პირობებში მოქცეული შრომობდა და თავის მომხიბლავი ნიჭის ძალით უამებდა ტკივილებს მონა-ერს, გადაგვარებისაკენ მიქანებულ ქართველობას აგონებდა მის ვინაობას, აყვარებდა თავის სახეს, ამხნევებდა მას, ულვიძებდა თავის რწმენას და პატივისცემას, მოსავდა იმედით და მის დაცემულ სულს მაღლა სწევდა".

ვკითხულობ ხმამაღლა, მინდა ერთხელ კიდევ მოისმინოს დიდი მწერლის სიტყვები... მერე სხვების აღტაცებული სტრიქონებიც გადავიკითხე. აგერ პაოლო იაშვილის ჩანაწერი: „თეატრი ჩემთვის პრობლემაა! ქართული თეატრიც ალბათ! მაგრამ მე მიყვარდა სიარული ქართულ თეატრში! რისთვის? მიყვარდა ხილვა ნინო ჩხეიძის. მისი ხმა! -- მისი ხმა! — მისი ხმა!

მორის მეტერლინკს რომ ესმინა იგი, უფრო ინტიმურად აატირებდა ბეატრისას. როცა მე ვტირი — მაგონდება ნინო ჩხეიძე. როდესაც მე ვამბობ, — მსურს ვუთავაზო ნახევარი სიხარულისა ნინო ჩხეიძის სევდას.

გაიგონეთ! გაიგონეთ! ქართულ სცენაზე მწამს 1919 წლის პირველი ივლისის იუბილარი".

არ მიკვირს ამ პოეტური შეძახილის, ნინო ჩხეიძე სავსებით იმსახურებდა მას.

ორი საუკუნის თეატრალური მოვლენების მოწამე გახდა იგი. მოწამე კი არა, უშუალოდ განიცადა ხანგრძლივი სცენური ცხოვრების მთელი სიმძიმე. მაინც სად ჰქონდა ამდენი ემოცია, სულიერი და ფიზიკური ენერგია?! ამბობენ დიდი მიზანი დიდ ენერგიას წარმოქნისო, და იგი ხომ თავის ხალხს ემსახურებოდა უანგაროდ, გატაცებით, სავსებით...

არ შეუძლია მშვიდად, აუღელვებლად მოიგონოს ლადო მესხიშვილი. ნინო მისი მოწაფე იყო და უსაყვარლესი მოწაფე. ახსოვს, ცოცხლად ახსოვს პირველად ცამეტი წლისამ რომ ითამაშა ლ. მესხიშვილის ბენეფისზე. გრიმი ეფემია მესხმა გაუკეთა. მაინც რა არის ეს სცენა, — იგონებს იგი, — ვიდრე კულისებში ვიყავი, ხმა ვერ ამოვიღე, დავმუნჯდი, შემეშინდა, ძალით გამიყვანეს და უცებ ყველაფერი მომაგონდა, მალე დავიწყე ჩემი „პატარა სცენური ცხოვრება". ეს იყო დიდი გზის დასაწყისი.

ადვილი როდია სამასამდე სხვადასხვა ადამიანის ფიქრითა და განცდით იცხოვრო. განიცადო ამდენი სიხარული და ტკივილი. სცენაზე სახის შექმნა ხომ სხვა ადამიანად ქცევას ნიშნავს და რამდენი მხატვრული ფერი და საშუალება უნდა ჰქონოდა ერთ მსახიობს, რომ ასე მოეხიბლა მაყურებელი?!

ქართველი ქალი დედაც არის და მებრძოლიც. ასეთი ხვედრი არგუნა მას ისტორიამ. ეს მებრძოლი ბუნება დიდებულად აისახა ნინო ჩხეიძის შემოქმედებაში. მან გვიჩვენა როგორ უნდა ადამიანის ღირსების დაცვა. მაღალი პატრიოტული განცდა აძლევდა მის შემოქმედებას სტიმულს...

ჩვენი საუბარი კარგახანს გაგრძელდა. „მგონი დაგღალე", რაღაც ამგვარი მობოდიშებით ვთქვი [illegible] ოდნავ გაეღიმა და თითქოს ენერგია [illegible]ემატებოდა, ისევ გამოიხმო თავისი სახეები. ახსენა ზეინაბი, ნორა... ისევ მედეა... მერე ხალისიანად აათამაშა თითები. ერთი ორჯერ თამამად დაარტყა იგი სავარძლის სახელურს. თითქოს რაღაცას შემოსწყრა, რატომ სხვებიც არ მომაგონდნენ ასე უცებო, — მერე წამოდგა თავისი „მბრძანებლური გარეგნობით" და გამოგვეთხოვა.

რამდენიმე თვის შემდეგ გარდაიცვალა ოთხმოც წელს გადაცილებული.

ვასილ კიკნაძე.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

პროფ. შოთა რევიშვილი

# ისევ ჩვენი მწერლობის გერმანელ მკვლევარებზე*

ეროვნული

ჩვენ რამდენიმეჯერ გვქონდა შესაძლებლობა გველაპარაკა მსოფლიო ლიტერატურის გერმანულ ისტორიებში, ან სხვა მონოგრაფიებში ქართული მწერლობის ისტორიის საკითხების გაშუქებაზე. ამჯერად კი გვინდა ვისაუბროთ ქართულ ლიტერატურაზე დაწერილი იმ ძველი, თუ ახალი შრომების შესახებ, რომლებიც ჩვენი საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი იყო. ამის მიზეზი კი იყო ხელმიუწვდომობა იმ წიგნთსაცავებისადმი, სადაც შეიძლებოდა ამ შრომების გაცნობა. ამიერიდან, შეიძლება ითქვას, ეს ხარვეზიც შეივსო. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ნაშრომი ოთხი ავტორისა, რომელთაგან პირველია ა. ბაუმგარტნერი, მეორე — ა. ბარტელსი, მესამე — პ. ვიგლერი და მეოთხე — ი. ასფალგი.

1897 წელს ფრაიბურგში გამოვიდა ალექსანდრე ბაუმგარტნერის „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის" ორტომეული; პირველ წიგნში მსჯელობის საგნადაა ქცეული აღმოსავლეთის ხალხთა ძველი ქრისტიანული ქვეყნების ლიტერატურა. აი, სწორედ აქაა საგანგებო თავად შეტანილი „ქართული ლიტერატურაც". სქოლიოში დართული შენიშვნებიდან ირკვევა, რომ ავტორს მასალად გამოუყენებია ძირითადად მარი ბროსეს და არტურ ლაისტის შრომები. აქვე დასახელებულია დ. ბაქრაძის „ისტორია საქართველოსი", მთის მცხოვრებთა ა. ყაზბეგისეული აღწერა, აგრეთვე, მაქს მიულერის, პ. კლაპროთის, ა. ცაგარელის, რ. ერკერტისა და სხვათა შრომები.

ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაზე შრომაში ლაპარაკი იწყება საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობისა და თვით ქართველთა ისტორიული ბედის დახასიათებით. აქ ავტორი გვაწვდის საკმაოდ ბუნდოვან და ზოგჯერ არაზუსტ ცნობებს ცალკეული ქართველური ტომებისა და ქართული ენის დიალექტების ურთიერთმიმართებაზე. შემდეგ ლაპარაკია ქართული ლანდშაფტის სილამაზესა და სიუხვეზე, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს ნაირფეროვნებასა და სიმდიდრეზე, ამ მხარის ბინადართა ძალასა, სილამაზესა და სიმამაცეზე. საქართველო აღიარებულიაო ყველა სხვა ქვეყანაზე უფრო ლამაზ მხარედ (გვ. 257).

ა. ბაუმგარტნერი ჰყვება უძველეს ცნობებს მირიანის მეფობის დროს საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებაზე, ლაპარაკობს ვახტანგ გორგასალის სახელმწიფოებრივ საქმეებზე, სხვადასხვა საუკუნეში დიდი ხუროთმოძღვრული ძეგლების აგებაზე; სამშობლოში სირიიდან მეექვსე საუკუნეში ასურელი მამების დაბრუნებასა და მოღვაწეობაზე, მითითებულია იმაზეც, რომ ქართულმა ეკლესიამ ანტიოქიისა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოებიდან შეირჩინა ავტოკეფალია და მეტიც: შემდგომ განვითარდა კათოლიკური ეკლესიისა და მისი ცენტრის — რომისაგან სრულიად მოწყვეტით.

შრომაში ლაპარაკია მოძალადე სარკინოზების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი ხალხის შემართებაზე, კერძოდ დავითისა და კონსტანტინეს გმირობაზე, სახელმწიფოს სათავეში ბაგრატიონთა დინასტიის მოსვლასა და სელჯუკების წინააღმდეგ ბრძოლაზე. მეტად ლაკონიურადაა დახასიათებული ქართველი მეფეების — დავით აღმაშენებლისა და თამარის სახელმწიფოებრივი საქმიანობა. შრომაში ლაპარაკია საქართველოში მონგოლების შემოსევით დატრიალებულ უბედურებაზე, შემდეგ რუსეთზე აღებული ორიენტაციის თანდათან გაძლიერებასა და საბოლოოდ, შეერთებაზე..

სიმცირის მიუხედავად, ნათქვამია, შრომაში, ქართველები არასოდეს ყოფილან სამუდამოდ დამონებულნი სპარსელებისა და არაბების, მონგოლებისა და თურქების მიერ. მათ შეძლეს შეენარჩუნებინათ თავიანთი ენა და შეექმნათ მდიდარი სიტყვაკაზმული მწერლობა. პირველი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლი არისო ბერძნულიდან თარგმნილი ბიბლია. საერთოდ ბევრი სასულიერო წიგნი ითარგმნა ბერძნულიდან. სულიერმა მამებმა შექმნეს მრავალი ორიგინალური თხზულებაც. შემდეგ ავტორი გადადის საეკლესიო პოეზიის მიმოხილვაზე.

საერო მწერლობა, — აღნიშნავს ა. ბაუმგარტნერი, — შედარებით მოგვიანებით განვითარდა და უმაღლეს მწვერვალს დიდებით მოსილი თამარის მეფობის ხანაში მიაღწია. მისი პირველი მრჩეველი და მეჭურჭლეთუხუცესი იყო შოთა რუსთაველი. აქ მკვლევარი საჭიროდ მიიჩნევს დაწვრილებით ილაპარაკოს შოთასა და მის პოემაზე, აღნიშნოს ავტორის ჯეროვანი განსწავლულობა მეცნიერების მრავალ სფეროში და მკითხველთა შორის პოემის დიდი პოპულარობა მისივე ღრმა იდეური შინაარსისა და მაღალი მხატვრული ფორმის გამო.

ამავე ხანებში თამარის სასახლეში ცხოვრობდაო ორი დიდი მგოსანი: შავთელი და ჩახრუხაძე — ორივე თამარის მეხოტბე. შეიქმნა სხვა ძეგლებიც. „ვისრამიანი" — ძველი სპარსული რომანის ქართული დამუშავება და „როსტომიანი" — აგრეთვე სპარსული რუსტემის თქმულების ქართული ვერსია. საქართველოში ფართოდ გავრცელდაო ფირდოუსის თხზულება, რომლის ცალკეული ეპიზოდები საგანგებოდ იქნა დამუშავებული (გვ. 265).

მონგოლების შემოსევის შედეგად საქართველოში ლიტერატურული განვითარება დიდი ხნით შეწყდა, მაგრამ მთლად იგი არ ჩამკვდარა. ეროვნული ცხოვრების გამოცოცხლების შემდეგ, აღორძინდა კაზმულსიტყვაობა; მეფე თეიმურაზ პირველმა დაწერა პოემა ქეთევან დედოფლის უბედური ცხოვრების გამო. ვახტანგ მეექვსის დროს შეიქმნა მდიდარი ლიტერატურა, გარდა იმისა, რომ დაიბეჭდა ძველი ლიტერატურის ბევრი ძეგლი.

ამ გარდამავალი პერიოდის ძვირფასი ძეგლი, — აღნიშნავს ა. ბაუმგარტნერი, — არის დ. გურამიშვილის „დავითიანი", რომელშიაც ჩაქსოვილია „ავტორის იდეები და ცოდნა", სხვადასხვა საზომით დაწერილ ლექსებში მოცემულია ფილოსოფიური მსჯელობანი და მორალური სენტენციები, ლოცვანი და ბიბლიური წარმოდგენები, თანამედროვე მოვლენათა აღწერანი და პოეტის პირადი განცდები, მხიარული ნამღერები და მსუბუქი იუმორი. „დავითიანი" არისო ენციკლოპედია, რომელიც ასე თვალნათლივ გვაჩვენებს ქართველთა განათლების მაღალ დონეს. მასში განსაკუთრებით საინტერესოა მსჯელობანი ქვეყნის პოლიტიკურსა და საომარ მოვლენებზე, რომელთა ცენტრშიც მოქცეული იყო თავად პოეტი. დ. გურამიშვილის ბიოგრაფიის თხრობისას, რა თქმა უნდა, აღნიშნულია მისი დატყვევება შვიდწლიანი ომის დროს, კიუსტრინთან ბრძოლაში და მოთავსება მაგდებურგის ციხეში (გვ. 266).

მეცხრამეტე საუკუნეში, — განაგრძობს ა. ბაუმგარტნერი — როგორც რუსეთში, ისე საქართველოში ბევრი თაყვანისმცემელი გამოუჩნდაო ლორდ ბაირონს, რომლის გავლენას განიცდიდნენ ახალი დროის ლირიკოსები. არ შეწყვეტილა ძველი ეროვნული მოგონებები, რომელთაც თავიანთი მეხოტბე ჰპოვეს აკაკი წერეთლის სახით. გიორგი ერისთავმა და აკაკი წერეთელმა დიდი ღვაწლი დასდეს ქართული თეატრის დაფუძნებას და მისთვის ეროვნული რეპერტუარის შექმნას. სტატიის დასასრულს ლაპარაკია ისტორიული რომანისა და ლირიკის უახლოეს მდგომარეობაზე. აქვე მოხსენებულია გრიგოლ ორბელიანი და მთლიანადაა მოტანილი მისი ლექსი — „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში" (არტურ ლაისტისეული თარგმანი).

ა. ბაუმგარტნერის „ქართული ლიტერატურა", სამწუხაროდ, არაა დაზღვეული შეცდომებისაგან. ავტორი ვერ პოულობს განსხვავებას ცნება „ქართველებსა" და „ქართლელებს" შორის. ამას გარდა, ავტორი იმოწმებს მეცნიერების მიერ ამჟამად უკვე საბოლოოდ უარყოფილ ზღაპარს ქართული ანბანის შექმნაზე, თითქოს იგი მესროპის სახელთან იყოს დაკავშირებული (გვ. 256).

ა. ბაუმგარტნერის შრომა სცოდავს ისტორიული ფაქტების ზუსტად დალაგებისა და გაშუქების თვალსაზრისითაც. მან არ იცის, რომ ბაგრატიონთა დინასტია იყო ქართული და არა უცხოური წარმოშობის (გვ. 259); არც ისაა მართებული, თითქოს აჭრე ქართველთა პოეზია იყო მარტოოდენ საეკლესიო-რელიგიური ხასიათისა (გვ. 262). აქ, რა თქმა უნდა, დავიწყებულია უმდიდრესი ხალხური პოეზია თავისი უძველესი ტრადიციებით. საერთოდ, ა. ბაუმგარტნერი საჭიროდ არ მიიჩნევს ჩვენი ფოლკლორის ნიმუშებზე მსჯელობას. არ ასახელებს ქართული დრამის არც ერთ ნიმუშს. და ბოლოს, მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის განხილვის დროს მოხსენებული არ არიან ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა.

ბაუმგარტნერის წიგნი, მართალია, კარგა დიდი ხნის წინ არის გამოცემული, მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ მიგვეთითებინა ავტორის შეცდომებსა და უზუსტობაზე — ეს არასწორი მოსაზრებანი უნებურად ახალი დროის ცალკეულ მკვლევარებსაც გადააქვთ თავიანთ ნაშრომებში.

შემდეგ წერილში ჩვენ შევეხებით ბარტელსის, ვიგლერის და ასფალგის წიგნებს.

* A. Baumgartner, Geschichte der Weltliteratur, Bd. I–II, Ereiburg.

# „შირაზის ხანის ქებასა..."

თეიმურაზ I თავის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა" წერს:

შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი,
მდაბალი, ტკბილი, მოწყალე, აქებენ სულად ქვენანი,
ღირსეული ღვთისაგან, მითა სცავს ძალთა ზენანი...

ამ სტრიქონებში ხოტბაშესხმული შირაზის ხანი არის გამაჰმადიანებული ქართველი, იმამყული-ხან უნდილაძე, ფარსის ბეგლარბეგი, ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა შაჰ-აბას I-ის დროინდელი სეფიანთა ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე, აღჭურვილი უდიდესი გავლენითა და ავტორიტეტით, ფაქტიურად მეორე კაცი სახელმწიფოში.

თვით შაჰ-აბასი ასეა დახასიათებული თეიმურაზის პოემაში: „მძლავრი და უწყალო მეფე, ქრისტიანთა მტანჯველი, უბრალოს სისხლთა მჩქეფელი, ეროდიას წილ მჯდომელი". აქ არაფერია გასაკვირი და მოულოდნელი. სხვაგვარად როგორ მოიხსენიებდა უბედური მეფე-პოეტი თავის მოსისხლე მტერს, ვერაგსა და დაუნდობელ მბრძანებელს, რომელმაც აუწიოკა სამშობლო და სასტიკი წამება არგუნა წილად მის ღვიძლ შვილებსა და დედას.

„შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი"...

ცოტა არ იყოს, უცნაურად გამოიყურება ამ შემაძრწუნებელი გულწრფელობით დაწერილ პოემაში ქება შირაზის ხანისა, რომელიც შაჰ-აბასის უახლოესი დიდმოხელე და სარდალი იყო, და რომლის სამფლობელო ქალაქში აღასრულა თავისი სიცოცხლე ქეთევან დედოფალმა.

რა თქმა უნდა, შირაზის ხანის ქართველობა არ იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რომ მისი სახელი და ქება სამუდამოდ აღბეჭდილიყო ქართული ლიტერატურის, შეიძლება ითქვას, ყველაზე ტრაგიკულ ძეგლში.

ზემოთ მოტანილ სტრიქონებს თავისი ისტორია აქვს...

იმამყული-ხან უნდილაძე ირანის პირველი ყულარაღასისა და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ალავერდი-ხანის უფროსი ვაჟიშვილი იყო. შაჰ-აბასი უდიდეს პატივს სცემდა ალავერდი-ხანს და თურმე მამას ეძახდა. მისი სიკვდილის შემდეგ შირაზის ხანობა იმამყული-ხანს უბოძა. ირანში ასეთი თანამდებობა მემკვიდრეობით როდი გადადიოდა და აშკარაა, რომ იმამყული-ხანმა თავისი პირადი ღირსებებით დაიმსახურა შაჰის წყალობა.

შირაზის ხანის ქება უცხოურ წყაროებსაც შემოუნახავს. აი, რას წერს ინგლისელი თომას ჰერბერტი: „ეს კაცი არის წარმოშობით ქართველი, სარწმუნოებით მაჰმადიანი, ერთ-ერთი ტეტრარქი, რომელიც განაგებს შაჰ-აბასის იმპერიას. მისი სამფლობელოები აღწევს თითქმის ოთხას მილს ყოველი მიმართულებით". ჰერბერტი ჩამოთვლის იმამყული-ხანის მრავალრიცხოვან ტიტულებს და ასე ამთავრებს: „დიდი ბეგლარბეგი, მეთაური თორმეტი სულთნისა, ორმოცდაათი ათასი მხედრისა, მსახური შაჰ-აბასისა და ვარდი ალტაცებისა".

იტალიელი პიეტრო დელა ვალე აღნიშნავს, რომ იმამყული-ხანი არის „ბეგლარბეგი ფარსისა, რომელიც წარმოადგენს ირანის ყველაზე მნიშვნელოვან პროვინციას და ტერიტორიით გაცილებით ვრცელია პორტუგალიაზე, ხოლო თავისი ძლიერებითა და მდგომარეობით არ ჩამოუვარდება ევროპის მრავალ სამეფოს. შირაზის ხანი კი, უეჭველად, ყველაზე დიდი პიროვნებაა მთელს ირანში შაჰ-აბასის შემდეგ, მას ძლიერ უყვარს ქრისტიანები და მეგობრობს ევროპელებთანო.

კათოლიკე მისიონერთა სიტყვით, იმამყული-ხანს უდიდეს პატივს° სცემდნენ ქვეშევრდომნი. ვერ მოიძებნებოდა მთელს ირანში კეთილშობილი და გამოჩენილი პირი, რომელსაც არ გამოეცადა მისი უსაზღვრო გულუხვობა. ვის ასაჩუქრებდა თვალმარგალიტით, ვის — ძვირფასი ხალათებით, იარაღითა თუ ცხენებით. სადაც კი ნახავდა კაცი უძვირფასეს თვლებს ან ცხენებს, ყველანი ამბობდნენ, ეს იმამყული-ხანის საჩუქრებიაო.

გერმანელი ადამ ოლეარიუსი წერს, რომ იმამყული-ხანს უზარმაზარი სიმდიდრე გააჩნდა და ამასთან ერთად ქველმოქმედიც იყო. იგი ყველა ლაშქრობაში იჩენდა თავს, როგორც უბადლო გმირი და რაინდიო.

განსაკუთრებით გაითქვა სახელი იმამყული-ხანმა 1622 წელს, როდესაც მისი სარდლობით და ინგლისის სამხედრო ხომალდების მხარდაჭერით დაპყრობილ იქნა პორტუგალიელთა ციხე ჰორმუზის კუნძულზე, სპარსეთის ყურეში. ამიერიდან ირანს შეეძლო საზღვაო გზით გაეტანა დასავლეთ ევროპაში თავისი აბრეშუმი და საბაჟო შემოსავალი მოესპო ოსმალეთისათვის.

...უკვე შვიდი წელიწადი იმყოფებოდა ქეთევან დედოფალი შირაზში შაჰ-აბასის ტყვედ. კათოლიკე მისიონერთა გადმოცემით, იგი იშვიათად ტოვებდა თავის სასახლეს და მხოლოდ იმამყული-ხანს თუ ეწვეოდა სტუმრად.

1624 წელს შაჰმა შემოუთვალა შირაზის ხანს: „ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს, ნურას აწყენო, და თუ არ გათათრდეს, აწამე და სახჭელით მოჰკალო".

თეიმურაზი მოგვითხრობს:

იმამყული-ხანს რა ესმა საქმენი საზარონია,
მეტად გაკვირდა, ესე თქვა: მისი რა საკადრონია?
ვიცი, რომ არ გათათრდების, თუცა აჯრა აქვს დრონია,
თეიმურაზის დედასა ვით ვკადრო უკადრონია?

შირაზის ხანს მოციქულის პირით მოუხსენებია შაჰისათვის: „ბერი დედაკაცი არისო და ახლა ეს არ გათათრდებისო, და რას აქნევთო ამის გათათრებასაო, დაეხსენითო, თქვენთვის სირცხვილი არისო ამისი ხიკვდილი".

ალბათ იმედის ნაპერწკალი უღვიოდა, რომ გადაათქმევინებდა სასტიკ ბრძანებას. ადრე ხომ შეძლო თითქოსდა შეუძლებელი: როდესაც შაჰმა გადაწყვიტა თეიმურაზის შვილების დახოცვა, შირაზის ხანმა გადაარჩინა ისინი, ტკბილი სიტყვით დაიყოლია შაჰი, რომ ხელი აეღო ამ საქმეზე. ერთხელ გადაარჩინა, მეორედ გადაარჩინა, მაგრამ ბოლოს ველარაფერი უშველა.

ამჯერად კი ერთხელაც ვერ გაჭრა შირაზის ხანის ჩარევამ. ულმობელი განაჩენი გამოტანილი იყო. სამი თვე საიდუმლოდ ინახავდა ქეთევანისგან შაჰის ბრძანებას იმამყული-ხანი, თუმცა კარგად იცოდა, რომ ასეთი მოქმედება სახიფათო იყო მისთვის. სასოწარკვეთამ შეიპყრო, გამოსავალს ვერ პოულობდა ორ ცეცხლშუა ჩავარდნილი.

ვით უამბო, ვით შევკადრო ტყვესა ჩემსა ანაბარსა,
მე მინდოდა სამსახური, არ ჴძახდი განაბარსა,
არ ვისმინო, რაღა უყო ხელმწიფისგან დანაბარსა?

სამი თვე აყოვნებდა, მაგრამ სხვა გზა აღარ დარჩენოდა, უნდა გამოეცხადებინა და ბოლოს გამოუცხადა კიდეც. „ვიცი, რომ არ გათათრდების", — ფიქრობდა შირაზის ხანი და მაინც ევედრებოდა, შეესრულებინა შაჰ-აბასის მოთხოვნა. არწმუნებდა, რომ მისი შვილის — თეიმურაზის ბედ-იღბალი მის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, რომ ასეთი მცირე დათმობით დედოფალს შეუძლია განკურნოს მშობელი ქვეყნის მრავალი სატკივარი. გამაჰმადიანდიო, მოთმინებით ურჩევდა თავისი სიტყვების უნაყოფობაში დარწმუნებული, ჩვენ თუ მაჰმადის რჯული გვიჭირავს, განა ქართველები აღარა ვართო? მოწიწებით სთხოვდა: „სატანჯველს ნურას იკადრებ, არ არის შენი წესია". მაგრამ დედოფალი მზად იყო წამებისა და სიკვდილისათვის.

„ფრიად მადრიელ ვარ და მაქებელ კაცობრიობითსა ლმობასა მაგას შენსა ზედა გულმტკივნეულებასა ჩემთვის, მაგრამ შეუძლებელ არს ჩემ მიერ უარის ყოფა ქრისტე მეუფისა ჩემისა", — ასე მიმართა ქეთევანმა იმამყული-ხანს.

„დაშვრა იგი მრავლისა ვედრებითა და არა ისმინა დედოფალმან". მოახლოვდა გარდუვალი. ქეთევანმა უკანასკნელი ლოცვა აღავლინა ზეცას:

შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერსა ზედა,
ღვაწლთა ჩემთა აღმწერელი ედემს დასვი ტახტსა ზედა.

დედოფლის ნატვრა შვიდი თვის შემდეგ შეისხამს ფრთებს. ქართველი ხალხის გმირული აჯანყების შედეგად თეიმურაზი კვლავ დაეპატრონება თავის სამეფოს, ხოლო ქეთევანის სახელსა და ღვაწლს მთელს ევროპას მოჰფენენ უცხოელი მწერლები. დედოფლის წამებას აღწერს თვით თეიმურაზიც, ქალალდზე გადაიტანს იმ საზარელ ტანჯვას, რაც მის მშობელს დაატყდა თავს და გულიდან მწარედ აღმოხდება:

მე ავაზაკი, შემცოდე ახლოს არ ვიყავ, ვინანი,
მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამად ვარ ცრემლთა მდინანი.

...1627 წლის თებერვლის დამლევს სპარსეთის ყურიდან ისპაანს მიმავალი ინგლისის ელჩობა შირაზში ჩავიდა. თომას ჰერბერტი აგვიწერს იმამყული-ხანის მიერ ინგლისის ელჩის პატივსაცემად გამართულ მეჯლისს. სუფრა გაშლილი იყო უზარმაზარ დარბაზში, რომელსაც ამშვენებდა ოცი მოოქროვილი სვეტი და მშვენივრად მოხატული კედლები, სადაც გამოსახული იყო ჰორმუზის აღების ეპიზოდები. თვით შირაზის ხანი მხოლოდ ნადიმის დასასრულს გამოჩნდა დარბაზში. წინ მოუძღოდა მდიდრულად მოკაზმული და აღჭურვილი ოცდაათი ახალგაზრდა, მაჯაზე მიბმული შიმინოებით. მან საზეიმოდ შესვა ინგლისის მეფის სადღეგრძელო.

ყველაზე საინტერესო ჰერბერტის მონათხრობში ისაა, რომ იმამყული-ხანის ხელმარჯვნივ იჯდა თეიმურაზი — „უბედური მეფე საქართველოსი, მამაცი პიროვნება, ომებში გამოცდილი და მტკიცე ქრისტიანი". (შდრ. ქართულ წყაროში მოცემული დახასიათება, „მეფე თეიმურაზ იყო ვითარცა ძლი-

ერებითა და სამხედროს ზნითა და მამაცობითა ალმატებული, აგრეთვე მტკიცე სიყრმითგანვე თვისსა სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა“).

საიდან გაჩნდა თეიმურაზი იმ ქალაქში, სადაც სამიოდე წლის წინათ აწამეს ქეთევან დედოფალი?

საბედისწერო განხეთქილებამ თეიმურაზსა და გიორგი სააკაძეს შორის შაჰ-აბასის წისქვილზე დაასხა წყალი. თეიმურაზმა ირანთან მორიგება არჩია. ამას კარგი თვალით უყურებდა თვით შაჰიც. ქართველი ხალხის შეუპოვარმა წინააღმდეგობამ იგი დაარწმუნა, რომ საქართველოს მოთხრა მას არ ძალუძდა. 1625 წლის ამბები ფრიად მტკივნეული დარტყმა აღმოჩნდა თავისი ძლიერების ზენიტში მყოფი სეფიანთა ირანისათვის. არაბეთიდან ინდოეთამდე ფრიალებდა შაჰ-აბასის ძლევამოსილი დროშები. ჰორმუზის, ყანდაარისა და ბაღდადის დაპყრობის ტრიუმფს უეცრად გადაეკრა მარტყოფის, მარაბდისა და ქსნის ჩრდილი. სხვას რომ თავი დავანებოთ, 1625 წელს საქართველოში დაიღუპნენ შაჰ-აბასის გამოჩენილი სარდლები: ირანის სპასალარი ყარჩიღა-ხანი, შირვანის ბეგლარბეგი იუსუფ-ხანი, თავრიზის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი და ერევნის ბეგლარბეგი ამირგუნე-ხანი.

თეიმურაზთან მოლაპარაკება დაევალა იმამყული-ხანის ძმას, დაუდ-ხან უნდილაძეს. მათ შორის მიწერ-მოწერა და მისვლა-მოსვლა გაიმართა. და ბოლოს დაუდ-ხანმა ამცნო ისპაანს, თეიმურაზი „მორჩილების შარაგზას“ დაადგაო. იგი ქართლ-კახეთის ქრისტიან მეფედ ცნო შაჰმა.

თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო შაჰ-აბასისათვის თეიმურაზის შემორიგება, იქიდანაც ჩანს, რომ გაწეული სამსახურისათვის დაუდ-ხანს განჯის ბეგლარბეგობა ებოძა.

შაჰი კატეგორიულად მოითხოვდა თეიმურაზის ირანში ჩასვლას, მისი სრული მონანიების ნიშნად. თეიმურაზმა შეასრულა შაჰის მოთხოვნა, მაგრამ არასასურველი შეხვედრა მათ შორის არ შემდგარა. შაჰი იმითაც დაკმაყოფილდა, რომ მისი სახელმწიფოს უპირველეს დიდმოხელეს ესტუმრა „მორჩილების შარაგზაზე“ დამდგარი ქართველი მეფე. ასეთი კომპრომისი შირაზის ხანის დამსახურება უნდა იყოს.

სანამ ცოცხალი იყო შაჰ-აბასი, ძმები უნდილაძეები დიდი გავლენით სარგებლობდნენ და ქვეყნის ბედი ეკითხოდათ, მაგრამ შაჰ-აბასის სიკვდილის შემდეგ საკუთარი ბედიც უკუღმა შეუტრიალდათ.

სომეხი ისტორიკოსი ზაქარია სარკავაგი გადმოგვცემს, რომ აბასმა ანდერძად დაუბარა თავის შვილიშვილს, რომელიც ირანის ტახტზე ასვლის შემდეგ შაჰ-სეფის სახელით გახდა ცნობილი, რომ ჩამოეშორებინა მის მიერ აღზევებული პირნი, რათა ახალგაზრდა შაჰისათვის ზიანი არ მიეყენებინათ. შაჰ-სეფის, ჩანს, ჭკუაში დაუჯდა პაპის ანდერძი. ერთხელ, ბაღში სეირნობისას, მან ახედა ალვის ხეებს და თქვა: „ძალიან გაზრდილან და გამსხვილებულან ეს ხეები, უნდა მოვჭრათ და ახალი ნერგები ჩავყაროთ“. თანმხლები კარისკაცი უმალვე მიუხვდა ნათქვამს და დაუდასტურა: „დიახ, ხელმწიფეო, შენ კარგად ბრძანე; აჰა, ჰქმენ, რასაც ამბობ!“ დაეცა მუხლებზე და კისერი დაღუნა: „შენი მსახური ვარ, წამაცალე თავი“. მაგრამ შაჰ-სეფიმ დაამშვიდა შეშინებული კარისკაცი: „შენ ის ხე არ ხარ, რომელიც უნდა მოიჭრას“.

ცხადია, ამაღლებულ ხეებად შაჰ-სეფის, უპირველეს ყოვლისა, უნდილაძეები მოეჩვენებოდა. მათი უზომო ძალაუფლება საფრთხეს უქმნიდა შაჰის გვირგვინს. ტახტზე ახლად ასული სეფი, რომელიც ჯერ ოცი წლისაც არ იყო, შიშობდა, უნდილაძეთა ჩრდილქვეშ არ მოქცეულიყო და ამიტომაც ამოიღო ისინი მიზანში.

ქართული და უცხოური წყაროები გვამცნობენ, რომ შაჰ-სეფის ბრძანებით დაუდ-ხანი ერთხელ მეჯლისიდან გაუგდიათ და გაუჯოხავთ კიდეც „შეუფერებელი ქცევის გამო“, შემდეგ შაჰის ამალიდან დაუთხოვიათ. შეურაცხყოფილი დაბრუნდა განჯაში და შურისძიებაზე ფიქრობდა.

შაჰმა მეთვალყურენი მიუგზავნა დაუდ-ხანს, რათა ისინი გაერთიანებულიყვნენ უკმაყოფილო ხალხთან და ხელსაყრელ შემთხვევას თუ იპოვიდნენ, მოეკლათ იგი. დაუდ-ხანს არ გამოპარვია შაჰის მზაკვრობა, მაშინვე დაუკავშირდა „საყვარელ და ერთგულ“ თეიმურაზს (სხვათა შორის, დაუდ-ხანი თეიმურაზის დის ქმარი იყო) და სასწრაფოდ გაეშურა კახეთისაკენ მთელი თავისი ქონებითა და ამალით. თეიმურაზმა და დაუდ-ხანმა შეთქმულნი იორზე ამოჟლიტეს და 1632 წლის ოქტომბერში განჯა-ყარაბაღი დაარბიეს.

როგორც ჩანს, ისინი ვარაუდობდნენ, რომ აჯანყდებოდა იმამყული-ხანიც. პიეტრო ავიტაბილეს სიტყვით, თბილისიდან აცნობეს შაჰს, რომ თუ სურს დაეპატრონოს საქართველოს, აუცილებელია მოსპობა შირაზის ხანისა, რადგან ყველა ქართველის თვალი მისკენ არის მიპყრობილიო.

შაჰმა სასწრაფოდ მისწერა იმამყული-ხანს, ყაზვინში გამოცხადდიო.

შირაზის ხანმა უპასუხ . ჩემი პროვინცია მტრის საზღვრებთან არის და მიზანშეწონილი არ იქნება უპატრონოდ დავტოვო აქაურობა, ეს ზიანს მიაყენებს ირანსა და შაჰის გვირგვინსო.

მაშინ შაჰ-სეფიმ შეახსენა, სამეფოს მე ვმართავ და რაც გინდა უბედურება მოხდეს, ჩემს კისერზე იქნებაო. თუ არ მოხვალ, მე თვითონ გეწვევი მთელი ლაშქრით და დავსჯი ასეთ გაუგონარ ურჩობასო.

შაჰის მუქარას შირაზის ხანმა ქედმაღლური პასუხი გასცა. ჩემზე აღმდგარ ძალას ძალასვე დავახვედრებ და თავს დავიცავ, მთელს ირანში საუკეთესო ციხეები მიჭირავსო.

სამოქალაქო ომის საფრთხემ შეაშფოთა შაჰი შირაზის ხანს შეეძლო დახმარება ეთხოვა პორტუგალიელთაგან და მათთვის ჰორმუზი ჩაებარებინა. საქართველოშიც სახიფათო მდგომარეობა იყო შექმნილი. საგანგაშო ვითარებამ ტაქტიკა შეაცვლევინა შაჰს. მან უხვი დაპირებებითა და საჩუქრებით მოინადირა იმამყული-ხანის მეგობრები, რომლებმაც დაარწმუნეს იგი, ურჩობაზე ხელი აეღო და დამორჩილებოდა შაჰს.

ვინ იცის, რა მოჰყვებოდა შირაზის ხანის აჯანყებას. გამარჯვება? ერთობ საეჭვოა. დამარცხება? ალბათ დამარცხება მოჰყვებოდა. მაგრამ უკანასკნელი ნაბიჯი აღარ გადადგა, უკანდახევა ამჯობინა და მაინც ვერ აიცდინა სასჯელი. ნუთუ ფიქრობდა, რომ წარსული დამსახურებანი და დიდება გადაარჩენდა? ნუთუ ფიქრობდა, რომ ურჩობას შეარჩენდნენ?

შირაზის ხანი ჩავიდა ყაზვინში უზარმაზარი ამალის თანხლებით, რაც საკმარისად მიიჩნია თავისი უშიშროებისათვის. „და ვერ ხვდებოდა, რომ სადაც მეფობს ვერაგობა, ძალას იქ ფასი არა აქვს“.

ქალაქის ქუჩებში გამოფენილი ხალხი ისეთივე პატივით ესალმებოდა შირაზის ხანს, როგორც თვით შაჰს. შაჰ-სეფიმ გაიოცა: „ამას რას ვხედავ?! შენა ხარ ირანის შაჰი თუ მე? რატომ გეგებება ასეთი დიდი სიყვარულით ხალხი?“

იმამყული-ხანმა მიუგო: „ვინ იქნება, ჩემო ბატონო, ისეთი ჭკუადაკარგული და თავხედი, რომ თქვენთან გამატოლოს. მე რომ მესალმებიან, ამით თქვენ გცემენ თაყვანს, რადგან ყველასთვის ცნობილია თქვენი უამრავი წყალობანი ჩემდამი“.

„ალაჰის ჩრდილი“ ვითომდა დაკმაყოფილდა ამ პასუხით, მაგრამ გულში უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა შირაზის ხანის ბედი.

იმავე დღეს დაადგნენ თავზე იმამყული-ხანს. იგი თავის ჰარამხანაში იყო. აცნობეს შაჰის განაჩენი. შირაზის ხანმა მშვიდად მოისმინა ეს საბედისწერო ცნობა, მხნეობა არ დაუკარგავს და წარბშეუხრელად მიმართა ჯალათებს: „აი, მზად ვარ დავემორჩილო შაჰის ბრძანებას, მხოლოდ ერთსა გთხოვთ— ნუ მომკლავთ ამ საბრალო ქალების თვალწინ, თავზარი არ დაეცეთ“.

შირაზის ხანის უკანასკნელი სურვილი დააკმაყოფილეს.

შემდეგ წუთისოფელს გამოასალმეს მისი შვილებიც. დასჯილთა გვამები სამი დღე-ღამე ეყარა მოედანზე. იქვე ფეხმოუცვლელად იჯდა მოხუცი ქართველი ქალი, დედა იმამყული-ხანისა და მწარედ მოთქვამდა. ალბათ ქართულად დასტიროდა თავის „სპარსელ“ შვილსა და შვილიშვილებს.

ეს რომ შეიტყო შაჰ-სეფიმ, მაშინღა ბრძანა, მიწას მიაბარეთ გვამებიო.

დაუდ-ხანი საქართველოდან ოსმალეთში გადაიხვეწა და იქ დაასრულა სიცოცხლე. თეიმურაზმა კიდევ ერთხელ დაკარგა თავისი სამეფო.

ყოველივე ამას მოგვითხრობენ კათოლიკე მისიონერები.

„შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი“...

იმამყული-ხან უნდილაძემ მრავალთა რჩეულთა ხვედრი გაიზიარა. აღმოსავლეთის (და არა მარტო აღმოსავლეთის) ისტორიაში იგი არც პირველი ყოფილა, არც უკანასკნელი.

მაგრამ უნდილაძეთა სახელი დავიწყების უფსკრულში არ ჩაძირულა.

ქალაქ ისპაანში დღესაც დგას მდინარე ზენდერუდზე გადებული „მოხდენილი, გრძელი ქვის ხიდი“, რომელიც თავისი სახსრებით ააგო ალავერდი-ხანმა.

ცნობილი ფრანგი მოგზაური შარდენი აღწერს ბაზარსა და დიდ ქარავან-სარაის „აშენებულს სახელგანთქმული იმამყული-ხანის ძმის დაუდ-ხანის ბრძანებით“.

XVII საუკუნის დამლევს ინგლისელი ჯონ ფრაი შირაზიდან ისპაანში მგზავრობისას მოიხსენიებს „ქართველ ქრისტიანებს, მიწათმოქმედებს და მევენახეებს“ და აღნიშნავს მათ მიერ გორაკის კალთებზე გაშენებული ვაზის ნაყოფიერებას.

შაჰ-აბასის დროს საქართველოდან გადასახლებულ ქართველთა ერთი ნაწილის დაბინავება შირაზის მიდამოებში ალბათ იმით აიხსნება, რომ სწორედ ამ პროვინციის გამგებელი იყო იმამყული-ხან უნდილაძე.

ივანე ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ თეთრი ყურძნის ჯიშის ერთი სახელი ცნობილია ევროპელთათვის, როგორც „შირაზული“. მართალია, ეს ჯიში მიჩნეულია სპარსული ყურძნის ჯიშად, მაგრამ სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსი („ული“) აშკარად ქართულია. ეტყობა, ევროპელებს შირაზში დასახლებული ქართველებისგან შეუთვისებიათ ეს სახელწოდება, ხოლო შირაზის ღვინო საუკეთესო ღვინოდ ითვლებოდა ირანში.

**დ. ხაზარაძე**

ანგი არსენაშვილი

# ერთი განძის საიდუმლო

მოთხრობა

მილიციის რაიონული განყოფილების მუშაკებს თავსატეხი საქმე გაუჩნდათ. ახალგაზრდა უფროსზე რომ არაფერი ვთქვათ, სისხლის სამართლის დანაშაულთა ძიებაში გაჭალარავებული ბონდო მაისაშვილიც კი დაიბნა. მართალია, მაიორს უამრავი კითხვები დაუგროვდა, მაგრამ პასუხი არც ერთზე არ ჩანდა, მის წინაშე ჩახლართული, გამოუცნობი შემთხვევა იყო.

მოკლულს პირადობის დამადასტურებელი საბუთი არ აღმოაჩნდა. სახეზეც ვერავინ ამოიცნო. ხალათის მარცხენა გულის ჯიბეში პასპორტისათვის გადაღებული ორი ცალი სურათი შემორჩენოდა მხოლოდ და ისიც წვიმისაგან სულ ერთიანად გაცრეცილიყო.

უბეში, მოხერხებულად მიკერებულ საიდუმლო სამალავში საგულდაგულოდ შეხვეული მორფის ამპულები უპოვეს. ამპულები თბილისის ტელეფონების წიგნიდან ამოხეულ ფურცელში იყო გახვეული, რომელსაც საკმაოდ გაუმართავი ხელით დაწერილი ბარათი ერთვოდა.

„ეს კაცი საიმედოა, — ეწერა ბარათში, — გადანახული ამპულებიდან რამდენიც გთხოვოს, იმდენი მიეცი. ფასზე არ მოერიდო, ფულიანია და ეცადე ბევრი გამოსტყუო. ჩაჩანო".

ექსპერტმა მოკლე, ლაკონური დასკვნა დაწერა. ამ დასკვნაში მაისაშვილისათვის არაფერი იყო ახალი. უცნობი ნაგანით იყო მოკლული. ტყვიას პირდაპირ გულში გაევლო და მკერდზე ტატუირებული არწივისათვის კისერი მოეწყვიტა.

ბონდო დიდი გულისყურით აგროვებდა ერთი შეხედვით ამ უბრალო მასალებს და საქაღალდეში ჯერ აუკინძავად ინახავდა.

შოფერი გულწრფელად ჰყვებოდა ყველაფერს. მაიორს სჯეროდა მისი, მაგრამ არ ამჩნევინებდა. კვლავ ეჭვის თვალით უყურებდა სიმონას და ზოგჯერ ხმასაც აუწევდა ხოლმე.

— ეგ ზღაპრები სხვებს მოუყევი, ჩემთან სიმართლის თქმა გიჯობს.

მომხდარი შემთხვევა კი მართლაც ზღაპარს ჰგავდა.

გომბორსა და თეთრწყლებში გვამი ვერ ამოიცნეს. უფრო მეტიც — სასოფლო საბჭოებმა ოფიციალური ცნობები გასცეს: „ჩვენთან არავინ დაკარგულა, ყველანი შინ არიან და კარგად გრძნობენ თავსო".

ბონდომ სასწრაფოდ გაგზავნა შეკითხვები მეზობელ რაიონებში, შინაგან საქმეთა სამინისტროსაც აცნობა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ახლობლების ძებნა დაიწყო.

მაგრამ აქაც იმედი გაუცრუვდა. ხელმოსაჭიდი ვერაფერი შეიტყო.

ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ იმ დღეებში რესპუბლიკაშიც არ აღმოჩნდა უგზო-უკვლოდ დაკარგული კაცი.

შოფრის წინასწარი დაკავების დღეები მალე ამოიწურა. საბუთი არ ჰქონდათ და სიმონას დაპატიმრების სანქციას პროკურორმა ხელი ვერ მოაწერა.

მაისაშვილი უგუნებოდ დაბრუნდა განყოფილებაში. საქმის ერთადერთი მოწმე სახლში უნდა გაეშვა. იგი მოწმეს ეძახდა სიმონას, თუმცა ამ კაცმა მკვლელების გარეგნული აღწერილობაც ძლივს გაიხსენა.

ოფიციალური ამბები მალე მოთავდა. უცნობი კაცის გვამი თბილისიდან ჩამოსული მუშაკის თანდასწრებით დაკრძალეს, სათანადო ოქმი შეადგინეს და საქმეს დაურთეს.

ყველას გასაოცრად მაისაშვილმა მოკლულის თითების ანაბეჭდი აიღო და ისიც საქაღალდეში შეინახა.

ზოგიერთმა ურწმუნომ ჩუმად ჩაიქირქილა: რას წვალობს ნეტავი, ამ ხნის კაცია და როგორ ვერ ხვდება ერთი გაუხსნელი საქმე დაგვემატაო.

მხოლოდ მაისაშვილი არ ჰკარგავდა იმედს. იგი ჯიუტად ჩაჰკირკიტებდა შეკრებილ მასალებს, ექსპერტის დასკვნას, უცნობი კაცის გაცრეცილ სურათებს და შოფრის ნაამბობის მიხედვით შედგენილ სიტყვიერ პორტრეტებს. ეჭვით დასცქეროდა მოკლულის ჯიბეში აღმოჩენილ მორფის ამპულებს და ფიქრით დაეძებდა იმ იდუმალ ძაფს, რომელიც ოდნავ მაინც მიანიშნებდა, თუ რა მოხდა იმ ღამეს.

* * *

ჯერ კიდევ კარგად არ იყო გათენებული, როცა ბონდო მაისაშვილი განყოფილებაში გამოჩნდა, უხმოდ მიესალმა მორიგეს, კაბინეტი გააღო და სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა. შეშუპებულ თვალებზე ნათლად ეტყობოდა მთელი ღამის უძილობა. სახე ნაღვლიანი და შემცბარი ჰქონდა, გამოხედვა კი გათანგული, ვიღაცასთან შეტაკების მოლოდინში რომ დაიძაბება ხოლმე. ერთხანს გარინდებული იყო, მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, სწრაფად წამოდგა, კარადიდან ნაცნობი საქაღალდე გამოიღო და ჩანაწერების კითხვა დაიწყო.

განყოფილების უფროსიც სხვებზე ადრე მოვიდა. ცოტახანს სამორიგეოში გაჩერდა, იმ ღამით დაკავებულ ხულიგნებს დახედა, რაღაც დავალება მისცა მილიციელს და კიბეები გამოზომილი ნაბიჯებით აათავა. დერეფანში შესულმა უცბად შენიშნა, რომ სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსის კაბინეტი ღია იყო: კარები შეაღო და ქაღალდებში ჩაფლული მაისაშვილი რომ დაინახა, მეგობრულად გაუღიმა.

— შენ რა, აქ ხომ არ გაათენე?

ფეხზე წამომდგარი მაიორი უძილო თვალებით იღიმებოდა.

— ისევ იმ ამბავს უტრიალებ, არა? — განაგრძობდა უფროსი — ცუდი საქმე წამოვიკიდეთ. ალბათ ამ წელს კიდევ უფრო გაგვეზრდება გაუხსნელ საქმეთა პროცენტი.

— ჯერ ვნახოთ, იქნებ გაირკვას რამე, — მშვიდი, დამაჯერებელი ხმა ჰქონდა ბონდოს.

უფროსს აღარაფერი უთქვამს: ახალგაზრდა კაცს უკვე ჰქონდა გამოცდილება, რომ ანგარიში გაეწია მაისაშვილის აზრისათვის. იგი ოდნავ შეყოვნდა მხოლოდ და უხერხულობა რომ გაეფანტა, წასასვლელად მოემზადა.

— თუ გნებავთ, საქმის შინაარსს მოგახსენებთ, — კარებთან დაეწია მაისაშვილის ხმა.

— რას ჰქვია, მნებავს, — შემობრუნდა იგი მაისაშვილისაკენ, — განა ეგ საკითხავია? წავიდეთ ჩემთან. მდივანს ვეტყვი, კაციშვილი არ შემოუშვას...

მაგიდაზე გაშლილი საბუთები ბონდომ საქაღალდეში ჩაალაგა და დერეფანში გამოვიდა. ტყავგადაკრული კარები ღია იყო. უფროსს მოესწრო ფანჯრების გაღება და აფორიაქებულ ქუჩას გასცქეროდა.

— სად მოასწრო ნეტავ, — შემობრუნდა უფროსი, ფანჯარას მოშორდა და თავის სავარძლისაკენ გამოსწია, — ალბათ მთელი ღამე სვამდა. ძლივს მიბანცალებს სახლში. დედამისი რომ არ მენანებოდეს, ნამდვილად გავაგზავნიდი, სადაც ეკუთვნის.

ბონდო მიხვდა ვისზედაც ლაპარაკობდა უფროსი. სეფისკვერაძეს მთელი ქალაქი იცნობდა. ლოთსა და ხულიგანს დედამისის ხათრით ინახავდნენ. რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს მის მეტი არავინ ჰყავდა.

მაგრამ მაიორის ფიქრი და გონება ახლა სულ სხვა მხარეს იყო.

მოულოდნელად უფროსი დივანზე ჩამოჯდა და ბონდოს პირდაპირ შეხედა.

— აქედან მოგისმენ, ასე მირჩევნია...

მაისაშვილს უცებ მოეწონა უფროსის ასეთი გულითადი კილო, თითქოს შეუმჩნევლად რომ აღძრავდა ნდობას; ეს ახალგაზრდა კაცი კომკავშირული საგზურით მოიყვანეს მილიციაში და ყველაზე ურწმუნოებმაც კი აღიარეს ოთარ გურულის კეიკაცობა. საქმეს ბევრ რამეში დაეტყო უკეთესობა. ახალბედა უფროსმა მალე აუღო ალღო მილიციაში მუშაობას და ყველას ერთნაირად შეაყვარა თავი.

აი ახლაც იგი მშვიდად იჯდა დივანზე და ჰკვიანი თვალებით შესცქეროდა თავისზე ბევრად უფრო გამოცდილ მაიორს.

ოთარ გურულს სჯეროდა ამ კაცის.

— ჰა, რას იტყვი გასახარელს? — უფროსს მოუთმენლობა ეტყობოდა.

— სიხარული და ზარ-ზეიმი ჯერ ადრეა, მაგრამ თუ მოიწადინა კაცმა, შეუძლებელია სადღაც კვალს არ წააწყდეს. გაუხსნელი დანაშაული არ არსებობს.

— ეგ სიტყვები ტრიბუნაზეა ლამაზი სათქმელი, თორემ სინამდვილეში რომ ასე არ არის, შენც კარგად იცი.

— დამაცადე... იცი, საიდან უნდა დავიწყოთ? მკვლელები კი არა, ჯერ მოკლული უნდა ვეძებოთ. მერე საქმე გვიჩვენებს როგორ მოვიქცეთ. გვამის დათვალიერების პირველი დღიდანვე მე ერთ რამეს მივაქციე ყურადღება. მოკლულს ტანი ისე ძლიერ ჰქონდა დატატუირებული, რომ არა მგონია მთლად წმინდა წყლის კაცი ყოფილიყო. შეიძლება იგი ნაპატიმრალიცაა. ჯიბეში ხომ მორფის ამპულები ვუპოვეთ. უმეტესობა ამ საწამლავს სწორედ ციხეში ეჩვევა. ჰოდა, თუ ეს ვერსია გამართლდა, მაშინ მის ვინაობას სულ ადვილად დავადგენთ. მე ხომ დაკრძალვის წინ მოკლულის თითების ანაბეჭდი ავიღე.

ოთარმა ინტერესით შეხედა თანამოსაუბრეს.

— ალბათ მეორე ვერსიაც გექნება გადანახული, თუ პირველმა არ გაგიმართლა.

— ეგ თავისთავად იგულისხმება, მაგრამ იგი ჯერ მხოლოდ ჩემთვის არსებობს.

— უფროსსაც არ ენდობი?! — გაეღიმა ოთარს.

— უფროსს ვენდობი, მაგრამ ჩვეულებას არ ვღალატობ.

— არ გედავები. შენ ოღონდ ეს დანაშაული გახსენი და, თუ გინდა, მკვლელების დაპატიმრებამდე კრინტსაც ნუ დასძრავ.

— არა, მარტო მე ვერაფერს გავხდები. თქვენი დახმარება აუცილებლად მჭირდება. იმის გარდა, რომ ყველაფერს დეტალურად მოგახსენებთ ხოლმე, ერთი ოპერრწმუნებულიც უნდა დამახმაროთ. თბილისში მინდა გავგზავნო, იქაურ მუშაკებს უნდა ვთხოვოთ დახმარება, მიწერ-მოწერა ძალიან ბევრ დროს წაგვართმევს.

— უარს როგორ გეტყვი, ვინც გინდა აარჩიე.

— მე რეზო გელაშვილი უფრო გამომადგება.

— რეზო იყოს, ყოჩაღი ბიჭია...

მაიორი გაჩუმდა. ოთარ გურულმა ღილაკს დააჭირა თითი და კაბინეტში შემოსულ მდივანს მაგიდასთან მისვლა არ აცალა.

— სასწრაფოდ დაუძახეთ რეზო გელაშვილს.

მდივანმა უცბად შენიშნა, რომ განყოფილების უფროსი კარგ ხასიათზე იყო.

**გაგრძელება იქნება**

* გაგრძელება. იხ. „დროშა", № 11.

„დროშის" სპორტულ კლუბს დღეს მხიარული პროგრამა აქვს — ვაქვეყნებთ ცნობილი უკრაინელი მწერლის ვასილ ბოლშაკის იუმორისტულ მოთხრობას ფეხბურთზე. ავტორი გვაცნობს კიევის „დინამოსა" და დონეცკის „შახტიორის" გულშემატკივრებს.

მოთხრობის დამთავრების შემდეგ სიტყვას მივცემთ ჩვენი კლუბის წევრს — ექიმ გია გურაშვილს.

კლუბის დირექცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილ ბოლშაკი

# ფეხბურთი

ტრამვაიში თავისუფალი ადგილები მხოლოდ მარშრუტის დასაწყისში არის ხოლმე. მე პოდოლში ჩავჯექი. გაჩერება „დნიპრომდე" კარგა გზა გვქონდა გასავლელი, ტრამვაი კი უკვე გაიტენა.

ერთ ახალგაზრდას ყველაზე პოპულარული გაზეთი „საბჭოთა სპორტი" ეჭირა ხელში და თქვენ წარმოიდგინეთ, კითხვასაც ახერხებდა.

შუახნის კონდუქტორი დეიდა დაშა მხიარულად გაიძახოდა:

— გაიწიეთ! ნუ გერიდებათ, გაიწიეთ!

ახალგაზრდის უკან წითური მამაკაცი იჯდა, გრძელი სახე და ერთობ დიდი ცხვირი ჰქონდა. უცებ მან გაზეთში ჩაიხედა და საცოდავად შეჰყვირა:

— სირცხვილო! ვაი, სირცხვილო! კიევის „დინამოს" ისევ წაუგია.

ახალგაზრდამ მიხედა და ირონიულად ჰკითხა:

— იმედი გქონდათ, რომ მოიგებდა?

ახალგაზრდას გვერდით მჯდარი ზორბა მამაკაცი, კარგა მაგრად გატენილი პორტფელი მუხლებზე რომ ედო, ზანტად ჩაერია საუბარში:

— თვით ბიბას რომ ეთამაშა ცენტრში, „დინამოს" მაინც არაფერი ეშველებოდა.

მოხუცმა ქალმა, მთელი გზა ჭორებს რომ ჰყვებოდა, პორტფელიანს მხარი დაუჭირა;

— მართალი ხარ, შვილო, ჩვენი მეშახტეები ჩემპიონებივით თამაშობდნენ.

— რაში არიან ჩვენები?

— სიძე მყავს მეშახტე. გასაგებია?

ვაგონში ხალხი გამოცოცხლდა, დეიდა დაშამ მოკამათეებს ჰკითხა:

— თუ იცით, რად წააგო „დინამომ"?

ვაგონში სიჩუმე ჩამოდგა.

— იმიტომ, რომ მედვიდი დაცვაში დააყენეს. მედვიდს თავდასხმაში რომ ეთამაშა, ანანჩენკო ბადიდან ბურთების გამოტანას ვერ აუვიდოდა.

— რა სისულელეს ამბობთ, — წამოენთო პორტფელიანი, — თქვენი მედვიდი კვერცხის მდებელი ქათამივით დარბოდა, მეშახტეებს კი ბურთები გამქონდათ.

— გინახავთ, როგორ ურტყამს მედვიდი? — მიეშველა დეიდა დაშას დიდცხვირა, — არასოდეს დამავიწყდება, მედვიდმა ცენტრიდან დაარტყა კარში... ნაკრებში როგორლა თამაშობდა!

— როცა არ იცი, ნუ ლაპარაკობ. მედვიდი მხოლოდ მესამე წელია რაც „ა" კლასში თამაშობს. ნეტავ, ნაკრებში როდისღა მოასწრო!

წინა რიგებიდან ვიღაცამ დაიძახა:

— მადლობა თქვით, რომ ქარი იყო...

— რა ქარი, რის ქარი!

— მედვიდი? მედვიდს სამი ბიჭი ჰყავს, მინდორზე კი ყმაწვილივით დაჰქრის.

— სამი კი არა, ორი ჰყავს.

დეიდა დაშამ ველარ მოითმინა:

— მართალია, სამი ჰყავს, მაგრამ ორი ბიჭი და ერთი გოგონა. გაიგეთ!

— დეიდა, ნუ გვატყუებთ.

— მედვიდის ამბავს შენ მასწავლი! მთელი სამი წელი ჩვენ ერთად ვთამაშობდით ჟიტომირის ახალგაზრდულ გუნდში.

საუბარში კიდევ ერთი მგზავრი ჩაერია:

— სიმართლე არც ერთმა არ იცით. ის ბავშვები მედვიდის შვილები არ არიან.

— ამით რისი თქმა გინდა, ჩემო პატარავ?

— ქალბატონო, სანამ რამეს იტყოდეთ, ჯერ უნდა დაფიქრდეთ, — იწყინა მგზავრმა, — მე შვილიშვილების პატრონი გახლავართ, თქვენ კი — ჩემო პატარავ.



— არა უშავს რა, მე შვილიშვილების შვილები მყავს უკვე, — დაამშვიდა დეიდა დაშამ, — ჰო, რას ამბობდი მედვიდის შვილებზე?

— ის ბავშვები მედვიდისა კი არა, მისი ცოლისაა. წინა ქმრებისაგან ჰყავს...

სანამ კონდუქტორი და მგზავრების ერთი ნაწილი ცდილობდა მედვიდის შვილების შესახებ ჭეშმარიტების დადგენას, ვაგონის ბოლოშიც ატყდა კამათი:

— მეორე ტაიმში რომ არ დაემტვრიათ ბაზილევიჩი, ის გაჩვენებდათ კლასს!

— გინახავს „შახტიორელი" მიზერნის თამაში?.. შენი ბაზილევიჩისნაირებს ორმოცდაათს უდრის.

— იმდენი შენ რა გითხარი!

— კბილებს გაუფრთხილდი!

— აბა სცადე.

— რა უნდა ვცადო. გთხლიშავ და — ეგ იქნება!

ტრამვაი კარგახანია გასცდა გაჩერება „დნიპროს". ამ გაჩერებაზე მუდამ ხალხმრავლობაა.

დეიდა დაშა გაცხარებით ამტკიცებდა, მედვიდს სამი შვილი ჰყავსო. არამარტო ბილეთების გაყიდვა დაავიწყდა, არამედ ისიც, რომ კონდუქტორი იყო.

— მე თუ არ ვიცი, მედვიდს რამდენი შვილი ჰყავს, მაშ ვიღამ იცის?

მგზავრები ახლა ორ ნაწილად გაიყვნენ. კამათი გაცხარდა.

შუახნის კაცმა, წვრილი, დანაოჭებული კისერი რომ ჰქონდა, გულშემატკივრების დამშვიდება სცადა.

— არც კი გრცხვენიათ, სულ დაკარგეთ სინდისი! მთელი უბედურება იმაშია, რომ მსაჯი მოსყიდული იყო!

ტრამვაი გაჩერება „რუსანივკაზე" დადგა.

დეიდა დაშა კვლავ მედვიდის შვილებზე ლაპარაკობდა. ვატმანმა ველარ აიტანა ამდენი, ჯიხურიდან გამოვიდა და იყვირა:

— რომლები ხართ „შახტიორის" გულშემატკივარნი?

ერთ-ერთმა მგზავრთაგანმა შეიცხადა:

— მერე რა იყო: არ მოგწონს? მე ვარ!

ვატმანი წამოენთო:

— ჩადი ახლავე ვაგონიდან!

— თვითონ არა მაქვს სურვილი იმ ტრამვაიში ვიჯდე, სადაც ისეთი უსუსური გუნდის გულშემატკივრები სხედან, როგორიც თქვენი კიევის „დინამოა", — თქვა და ტრამვაიდან ჩახტა.

შემდეგ გაჩერებაზე კონტროლიორი ამოვიდა.

კონდუქტორს ფოსტის მოედნის შემდეგ არც ერთი ბილეთი არ გაუყიდია.

ერთი მგზავრი, ვერ იქნა და ვერ დაწყნარდა.

— ეგრე იყოს! ვთქვათ „დინამო" ძლიერი გუნდია, მაგრამ „შახტიორმა" მოუგო. თამაშიც კორექტული იყო. მხოლოდ ორი ფეხბურთელი მოცელეს, მახსოვს, თბილისში...

— სისულელეებს მოროშავთ! — იყვირა უცებ ვატმანმა.

დეიდა დაშა თავისასა განაგრძობდა.

— მედვიდს სამი შვილი ჰყავს და სამივე მისია. აქედან ადგომა არ მეღირსოს, თუ ეს სიმართლე არ იყოს!

— რა მოხდა? — დაინტერესდა კონტროლიორი.

— „შახტიორმა" სუფთად მოუგო „დინამოს", ესენი კი...

კონტროლიორი „შახტიორის" გულშემატკივარი აღმოჩნდა. ვატმანისა და კონტროლიორის სპორტული სიმპათიები ერთიმეორეს არ დაემთხვნენ.

ვატმანი გაიძახოდა:

— ჩვენი დაჯარიმება გინდა? დაგვაჯარიმე? ქაღალდი ყველაფერს აიტანს. ჯარიმას გადავიხდით, სიტყვას კი არ შევიცვლით. გაუმარჯოს „დინამოს"!

საქმეში მილიცია ჩაერია, რომლის გამოჩენის მიზეზიც ტრამვაიში ატეხილი ალიაქოთი გახლდათ.

— რა ამბავია? — მკაცრად იკითხა ახალგაზრდა სერჟანტმა.

— „შახტიორმა" მეორე ბურთი ოფსაიდიდან გაიტანაო.

— რომელმა სულელმა თქვა? — შეიცხადა სიმპათიურმა მილიციელმა.

— ოფსაიდიდან კი არა, ხელზე მოხვდა.

— აბა, აბა, გამომივიდნენ მცოდნენი, — შუბლი შეიკრა მილიციელმა. — რის ოფსაიდი, რის ხელი...

სერჟანტი ახლა მე მომიბრუნდა:

— შენ საიდან ხარ?

— ქალაქ ბელაია ცერკოვიდან.

— მაგას არ გეკითხები. რომელი გუნდის გულშემატკივარი ხარ?

— არც ერთის, — მივუგე, თან ჩემი ნეიტრალიტეტი მომეწონა.

სერჟანტმა ისეთი მზერა მომაპყრო, თითქოს სწორედ ჩემში აღმოეჩინოს ის ჯიბგირი, რომლის კვალსაც აგერ მთელი წელი დაეძებდა მილიცია.

— გაიგონეთ? — მიუბრუნდა იგი მგზავრებს. მერე თავი ნაღვლიანად გააქნია და ხელმეორედ შემეკითხა: — ვის მხარეს ხარ?

— არც ერთის.

— თქვენს ქალაქში სულ ეგეთები ხართ?

— არა, ყველანი არა, — ვაღიარე მე.

— კიდევ კარგი.

სერჟანტი ახლა ზორბას მიუბრუნდა:

— თქვენა?

— მე? მე არაფერი. მე არ წამომიწყია...

— ვისი გულშემატკივარი ხარ?

— ვისიც მინდა, იმისი... თქვენა?

ვაგონში ახალი ძალით გაჩაღდა კამათი

მე დრო ვიხელთე და კარი რომ გაიხსნა, ტრამვაიდან ჩავხტი...

კიეველებს ძალიან უყვართ ფეხბურთი.

ესაა და ეს.

უკრაინულიდან თარგმნა **ჯაბა ასათიანმა.**



# შეკითხვები და სურვილები

პატივცემულო რედაქციავ!

ამას წინათ თქვენს ჟურნალში წავიკითხე, რომ „დროშის" რედაქციასთან შეიქმნა სპორტული კლუბი, რომლის წევრობა შეუძლია ყველა მკითხველს; მე სპეციალობით ექიმი გახლავართ, ქირურგი-ტრავმატოლოგი. ვმუშაობ ზესტაფონის ცენტრალური საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილების გამგედ. ვარ 35 წლის. სპორტსმენი, ჯომარდი, სრული მისი გაგებით, არასდროს ვყოფილვარ, თუმცა ჩემი წილი ვარჯიშობა-თამაშობანი არასოდეს მიმიტოვებია. უფრო მეტად ვარ სპორტის გულმხურვალე და თავდადებული გულშემატკივარი და თაყვანისმცემელი. აი, ამაში რომ ეძლეოდეს თანრიგები, ვიმედოვნებ, პირველ თანრიგს მაინც მივიღებდი. ამასთან, ერთი რომელიმე სახეობის კი არა, სპორტის ყველა სახეობაში, დიახ, ყველა, დაწყებული მძლეოსნობითა და ძალოსნობით ალპინიზმამდე, აქვე დავუმატებდი მობურთალთა თამაშის ყველა სახეობას, ტანვარჯიშს, ჭიდაობას, ფარიკაობას და ა. შ. ავადმყოფურად განვიცდი ჩვენი სპორტსმენების ყოველ წარმატებას თუ დროებით წარუმატებლობას, მარცხსა თუ გამარჯვებებს.

ამდენად, ვთვლი ჩემს თავს უფლებამოსილად ვითვლებოდე თქვენი სპორტული კლუბის წევრად და ვბედავ მოგმართოთ აქ მოყვანილი ლექსით. თუმცა მასში სურვილები უფროა, ვიდრე შეკითხვები. მაგრამ ვფიქრობ, რომ იგი ემთხვევა თაყვანისმცემელთა მრავალრიცხოვანი არმიის სურვილებს.

პატივისცემით: **იური (გია) გურაშვილი.**

* * *

„დროშის" სპორტულ კლუბს მივმართავთ
შემდეგი სურვილებითა,
ქართველიც მალე გვენახოს
კოსმოსში გაშლილ ფრთებითა!
რომ, როგორც ყველგან, ზეცაშიც
მხნეობდეს, გაგვახარებდეს,
მარტო საბჭოეთს კი არა,
მსოფლიოს აზანზარებდეს!

აწ ფეხბურთელებს მივმართავ,
ჩემი მხურვალე ვედრებით,
გაისად ჩამოიტანონ
თბილისში ოქროს მედლები!
ქართველ ფალავნებს ოდითგან,
მახსოვს, არ ჰყავდათ ბადალი,
დღეს ლომიძე გვყავს ცალადა,
როგორც უჯარო სარდალი.
ირემი ცალად ცოდვაა,
მთად იყოს, გინდა ბარშია...
მსოფლიო ჩემპიონები
გვიმრავლოს ქართულ გვარშია;
მომავალ ექიმს, კოლეგას,
ლეკვეიშვილის ქალიშვილს:
ლეკვი ლომისა სწორია!
გასწი, გაცურე, რა გიშლის,
რომ რაინდებად ბრძოლებში
ვაჟებიც გაიყოლიო,
მათი რეკორდიც ემატოს
ჩვენს ქართულ სპორტულ სკოლიოს.
ეხ, სხვებთანაც მაქვს სათქმელი,
მაგრამ ახლა დრო არ ითმენს...
ყველას ხომ ერთად არ ვკითხავ,
დანარჩენს მერე გაგიმხელთ.
კვლავ ვიტყვი — ორბი ორბია,
მთად იყოს, გინდა ბარშია,
მსოფლიო ჩემპიონებო,
გამრავლდით ქართულ გვარშია!

# მოზაიკა



## რა ხდება ფრანგულ რივიერაზე

მეორე მსოფლიო ომში, როგორც ცნობილია, ამერიკელთა არმიამ დახმარება გაუწია ფრანგებს, როცა ისინი საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროს განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ.

გავიდა ცოტა ხანი და ფრანგებმა ისევ დაიწყეს ბრძოლა, რათა საფრანგეთის სამხრეთ სანაპირო გაანთავისუფლონ... ამერიკელებისაგან.

საქმე ის არის, რომ ათასობით მდიდარმა ამერიკელმა სანაპიროს გასწვრივ, 200 მილის მანძილზე მდიდრული ვილები გააშენა. ეს ვილები მათ მაღალი ღობეებით, ქვის კედლებით, ეკლიანი მავთულებით შემოღობეს და პლაჟზე მისასვლელი გზები გადაღობეს.

ფრანგებმა არა ერთხელ გამოთქვეს პროტესტი ამ „ექსპროპრიაციის" წინააღმდეგ, მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაციები, მთავრობას გაუგზავნეს სათანადო პეტიციები...

ამ ბრძოლის შედეგი ჯერჯერობით უმნიშვნელოა: ზოგიერთმა მოწყალე მილიონერმა ნება დართო ფრანგებს, ისარგებლონ პლაჟის ნაწილით, მაგრამ იმ პირობით თუ ისინი გონიერებას გამოიჩენენ და „წყნარად მოიქცევიან".



## მოტოციკლეტების გამტაცებელი

იტალიის ქალაქ პეზაროში ბოლო ხანებში ძალიან გახშირდა მოტოციკლეტების გატაცება. საკმაო იყო ცოტა ხნით ქუჩაში უმეთვალყუროდ დაგეტოვებინათ მანქანა, რომ მეორე წუთში მას ველარ იპოვიდით.

პოლიციამ, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა შეიპყრო დამნაშავე, რომელიც აღმოჩნდა 19 წლის ბიჭი აგოსტინო.

როგორც გამოირკვა, აგოსტინო ქურდობას ანგარებით არ ეწეოდა. „ჩვენს ქალაქში მრავალი მოტოციკლეტია. ისინი ისე ხმაურობენ, რომ ნორმალური ცხოვრება შეუძლებელია. მე გადავწყვიტე, გამეკეთებინა ის, რისი გაკეთებაც არ სურთ ქალაქის მესვეურებს — სიმშვიდე დავამყარო აქ", — განაცხადა დაკითხვის დროს აგოსტინომ.

სიმშვიდის მაძიებელმა აღიარა, რომ გატაცებულ მოტოციკლეტებს იგი ზღვაში ჰყრიდა. აგოსტინოს სიტყვა გამართლდა! მყვინთავებმა ზღვიდან დაიწყეს დაუზიანებელი მოტოციკლების ზედიზედ ამოღება. უკვე პირველსავე დღეს იპოვეს 11 მანქანა.



## ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს

იტალიის ქალაქ უდინას გარეუბანში ამას წინათ მოწყობილი ულტრათანამედროვე მუსიკის ფესტივალი მოულოდნელი ფინალით დამთავრდა.

ფესტივალის მომწყობებმა ყურადღება არ მიაქციეს იმ ამბავს, რომ იქვე ახლოს შინაური ფრინველის ფერმა იყო. და აი ელექტროგიტარების ყურთასმენის წამღებმა ხმაურმა ფრთოსნებს პირზე უარესი საქმე დამართა. ორასმა ქათამმა პირველსავე დღეს განუტევა სული.

ფერმის მეპატრონეს ზარალის ანაზღაურება არ მოუთხოვია. ანდა, რა პირით უნდა მოეთხოვა, როცა იგი თვითონ იყო ამგვარი მუსიკის თაყვანისმცემელი და ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი.



## მსოფლიოში ყველაზე ლამაზი

პირველ ხანებში ლიბანელები ზეიმობდნენ: მათი თანამემამულე, 19 წლის გეორგინა რიცკი გამარჯვებული გამოვიდა „მსოფლიოს ულამაზესი ქალიშვილის" ტიტულის მოსაპოვებლად გამართულ წლევანდელ კონკურსში.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ლიბანში მოვიდა ცნობები ამერიკის შეერთებულ შტატებში გეორგინას მოგზაურობის შესახებ, ლიბანელები აღშფოთებამ მოიცვა. პირველსავე პრესკონფერენციაზე „მსოფლიოს ულამაზესმა ქალიშვილმა" განაცხადა, რომ მისი აზრით, ამერიკელი მამაკაცები ფრიად თავაზიანი არიან, ლიბანელები კი ხეპრეები და [illegible]. შეკითხვაზე, თუ ვინ არის მსოფლიოში ამჟამად ყველაზე დიდი ადამიანი, გეორგინა რიცკიმ უყოყმანოდ უპასუხა — ნიქსონი! შემდეგ დაფიქრდა და დასძინა, მეორე ადგილზე აყენებს თავისი ქვეყნის პრეზიდენტს ფრანჟიეს. და ბოლოს, „სილამაზის დედოფალმა" ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს ქალისა და კაცის სასიყვარულო კავშირს დაქორწინებამდე.

ასე მოსჭრა თავი ლიბანელებს თავიანთმა თანამემამულემ.

ლიბანში დაინტერესდნენ გეორგინას წინაპრებით; გამოირკვა, რომ იგი არც ლიბანელია და არც არაბი. მამა მისი თურმე იტალიელი იყო, დედაც ევროპული წარმომავლობის მანდილოსანი აღმოჩნდა.

## შეისწავლეთ უცხო ენები

ტეხასის შტატის (ამერიკის შეერთებული შტატები) ხელისუფალნი ყოველწლიურად 60 ათას დოლარს ხარჯავენ იმისათვის, რომ მექსიკის საზღვარზე მდებარე ქალაქ ელ-პასოს პოლიციელებს ესპანური გინება და უწმაწური სიტყვები შეასწავლონ.

უცხო ენათა ინსტიტუტის ლექტორმა ქ-ნმა ივონა დიურანმა, რომელსაც მინდობილი აქვს ეს საპატიო ამოცანა, ლექსიკის ამ „სამკაულთა" შესწავლის აუცილებლობა ასე ახსნა: „ამერიკელ პოლიციელებს კარგად უნდა ესმოდეთ ესპანური გინება, რათა იცოდნენ როდის აყენებენ მათ შეურაცხყოფას".

ეტყობა, მექსიკელები მართლაც ულმერთოდ აგინებენ ტეხასელებს, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ დიდ ხარჯებს აბა რატომ გასწევდნენ?

გარეკანის პირველ გვერდზე: ნორჩი კომპოზიტორი ლია გაბაშვილი. ფოტო გ. კიკვაძისა. მეოთხე გვერდზე — შემოდგომის სურათები. ფოტო მ. დათიკაშვილისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.— რედაქტორის— 99-54-66, პ/მგ. მდივნის— 99-82-69, განყოფილებების— 93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 9/XI-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/XI-71 წ. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 2,8. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,1. ტირაჟი 51.100. შეკვ. № 3942. უე 02222.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.





ვახტანგ კუცია

მეგობრული შარჟი შესრულებულია ჟურნალ „კროკოდილის“ სამხატვრო რედაქტორის ე. შუკაევის მიერ.



— ამდენს რომ არ სვამდეს, ჩემზე უფრო რთულ რამეებს გააკეთებდა ჩემი პატრონი...

— „ნევა“ არა გაქვს, ან „ზოლინგენი“?

— ბატონო დირექტორო, თქვენს მაღაზიას ჯერ არ მიუღია და მე საიდან მექნება?!





— კიდევ იტყვიან, ქრთამი თავისი ხელით აიღოო?!

შემთხვევა საკომისიო მაღაზიაში

— უკანასკნელად გეკითხებით, მიიღებთ თუ არა ჩემს ჭედურობას?






— ხომ არ გაგიჟდი, შვილო, ეგ ხომ ჩემი ფეხებია!



ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა





